

4570.




ცხანოსან
■ ■ ხარის
შეღილების შესრეგა
ნაზილი

I

ცხალის სრულება
და

1896 წელსა უცენოსან წყობილების წესდების
სახელმძღვანელო მუხლები.



თანდართი

უცენოსან წყობილების წესდების პირველი ნაწილისა
დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლიკური მინისტრის მიერ
1919 წელს 20 იანვარს.

ტეილისი.

ცუაზა სამხედრო სამინისტროსი.

1919

გამოცემა ოფიციალური.

თ ბ ი ლ ი ტ

357(06)

ცხადოსან ღ ღ
ღ ღ ხ პ რ ი ს
ფ ყ ვ ი ლ ე გ ი ს ფ ე ს დ ე გ ა
ნ ა წ ი ლ ი

I

ც ა ლ კ ა ს წ ა ვ ლ ე გ ა
დ ა

1896 წელსა ცხენოსან წყობილების წესდები
სახელმძღვანელო მუხლები.



თ ა ნ დ ა რ ი ტ

ცხენოსან წყობილების წესდების პირველი ნაწილისა


დამტკიცებულია საქართველოს რესპუბლ. სამხედრო მინისტრის
1919 წელს 20 იანვარს.

1337.

(16x13) C3
ტურქისი.
სტამბული სამხედრო სამინისტრო
1818

4530.


ସାହାରତ୍ୟେଲୋଲେ ରେଖିବୁଦ୍ଧିକୀସ ସାମନ୍ତେଫରିର ମିନି-
ଶ୍ରୀରିସ ପରିଚାରିବିଳି ତାନାଥମାର ଶ୍ରେଷ୍ଠଦେବ ପରି-
ପରମିଶିବାମ, ଲେନ୍ଦ୍ରରାମି ଅଭିଶ୍ରେଣିବିଳି ତାଙ୍ଗମଜାତିମାନେ-
ବିଳ ଏବଂ ଶ୍ରେଷ୍ଠରବିଳ—ଲେନ୍ଦ୍ରରାମ ଅରଜ୍ଞେବାନିଦିଶିବା, ପରି-
ପରମିଶିବାମିକିବିଳି: ଏବେଶାଦିଶିବା, ଏବଂ କାଲିଶିବାମିକିବିଳିଶିବା, ପରି-
ପରମିଶିବାମିକିବିଳିଶିବା: ଗ୍ରେନ୍ଦ୍ରରାମିଶିବା ଶ୍ରୀବିଳି ହେହେଲାମିକିବିଳି-
ଶିବାମିକିବିଳିଶିବା, ଲେ. ପ୍ରାଗାର୍ଯ୍ୟାମିକିବିଳିଶିବା, ଶ୍ରୀମଦ୍ଭାବିନିମିକିବିଳିଶିବା ଏବଂ
ମାନିମିକିବିଳିଶିବା, ଏବଂ ସାହିମିକିବିଳି ମହାରମ୍ଭମିକିବିଳିଶିବା ପାତିଶିବା
ତେବେଶିବାମିକିବିଳିଶିବା, ଗାନ୍ଧିଶିବାମିକିବିଳି, ଶ୍ରୀମଦ୍ଭାବିନିମିକିବିଳି ଏବଂ
ରମ୍ଭମିକିବିଳିଶିବା ଏବେ ଶ୍ରେଷ୍ଠବିଳି, ରମ୍ଭମିକିବିଳିଶିବା ଏବଂ ଶ୍ରେଷ୍ଠବିଳି
ଜାରୀବିଳି ସାହେଲିମିଦିଲଗାନିମିକିବିଳିଶିବା.



୦୦୧୬୨୩୦

୧୯୫

ମିନ୍ଦ୍ରମିତି ମିନ୍ଦ୍ରମିତି ମିନ୍ଦ୍ରମିତି ମିନ୍ଦ୍ରମିତି



୧୯୫

ნაზილი I.

სალპე სწავლება ცხენზე.
ცხენოსნობის შესები.

თავი I.

როგორ უდია იჭირებოდეს და იტარებოდეს დალაგმული ცხენი.

1. დალაგმულ ცხენს ლაგმის ტოტების კისერზე გადაგდებული უნდა დაეტოვოს, აღვირის ტოტები უნდა გადმოსცილდეს თავზე ისე; რომ ლაგმისებზე ზემოდგან მოვიდეს; შემდეგ, მხედარი დგება ცხენის მარცხნივ, პირით მინდვრისკენ, ნიდაყვში მოხრილ მარჯვენა ხელით აღვირის ტოტები დაიჭირება ცხენის ყბების ქვეშ, ლაგმის ტოტებს ზემოდგან და თან საჩვენებელ თითით გაიყოფიან, აღვირის ტოტების გადაკერძებული ბოლოები უნდა დაიჭიროს თავისუფლად ჩაშვებულ მარცხენა მუჭაში, ცოტათი ბოლო გასული. ცხენი უნდა ოთხთავე უეხებზე სწორედ იდგეს, გაუჭიმავი და ფეხ აუკრევად (ტანის ქვეშ უეხის წაუღგმელად). (ნახ. 1).

მოძრაობისთვის ცხენი მარჯვენა ხელით წინ წაიწევა, შეყენებისთვის — უნდა მოსწიოთ, ორთავ შემთხვევაში ცხენს საშუალება არ უნდა მიეცეს თავი ჩაქინდროს (ნახ. 2).

შენიშვნა 1. თუ მხედარს (ინოხს) ხმალი აქვს ზედა, მაშინ მოძრაობის დროს მას იჭერს მარცხენა ხელით ქვემოთა რგოლის ქვეშ, ოთხ ცოტათი შეკუმშულ თითებით გარედგან, ცერათი უკანიდგან და შიგნიდგან, მასთან არ უნდა გაიშვებოდეს აღვირის ტოტების ბოლოები.

თუ მხედარს შუბი აქვს, ადგილას იგი იჭირება მარცხენა მხართან, დამორილ ნაწილით მარცხენა ფეხის წვერთან, გარედგან. მარცხენა ხელს ჩაწევს შუბის ტარზე, ოთხი თითი, აღვირის ტოტებით გაყრილი, გარედგან, ცერა—უკანიდგან და შუბის შიგნითა მხრიდგან. მოძრაობის დროს მხედარს შუბი უდევს მარცხენა მხარზე, დამორილ ნაწილით ქვემოთ და აღვირის ტოტებით მარცხენა მუჭაში; ამ ხელით იჭერს შუბს.

შენიშვნა 2. ცხენოსნობის თავდაპირველ სწავლების, აგრეთვე ჯიელ ცხენების გახედვნის დროს, ლაგამი უნდა უჯაჭვოდ გაუკეთდეს; ცხენოსნობის პირველ გაკეთილებზედვე შეიძლება სრულიად არ ამოედოს ლაგმის რკინა, მაგრამ ტოტე-

ბის გათავოვადების; წესები ისეთივე რჩება, ლაგმის ტოტების გამოკლებით.

მხედრები (ინოხები) როგორც კი მოიპოვებენ ქუჯდომაში ცოტა რამ გაბედულებას, არ დაუწყე-
ონ აღვირის ტოტებს ცქერას ისე, როგორც ერ-
თად-ერთ საშველ საშუალებას იმისთვის, რომ
უნაგირში გაჩერდენენ და შესძლებენ შეგნე-
ბით გამოიყენონ მოხმარების ილეთები, მაშინ შეი-
ძლება ცხენოსნობა მოხმარებით ჯაჭვ-მიმაგრებით.
ამ დროს მოხმარების წესები ისეთებივია, როგორც
უჯაჭვოთ ცხენოსნობის დროს, მაგრამ, რადგანაც
ბერკეტული მოქმედება ლაგამისა ძლიერდება ჯაჭვ-
მიმაგრებულობის დროს, ამიტომ მხედარს მოეთხოვება
დიდი მოხერხებულება და ყურადღება ცხენის ლა-
შების გაუფუჭებლად შენახვისთვის, რაიც მიიხტევა
ხელის სიმჩატით.

**როგორ უნდა ცხენზე შეჯდომა, ტოტე-
ბის გათავთავადება და ჩამოხდომა.**

2. ცხენზე შეჯდომის წინ ცხენი უნდა და-
უნდეს, და მხედარიც გვერდზე დაუდგეს, როგორც
ეს მოხსენებულია წინა მუხლში.

ცხენზე შეჯდომა ვ ილეთად ხდება:

პირველი ილეთი. უნდა მიბრუნდეთ მარ-

ჯვნივ, აღვირის ტოტები გადაეყაროს ცხენს კისერ-ზე, ნახევარი ნაბიჯი წასდგათ მარჯვნივ, მარჯვენა ხე-ლით გაასწოროთ აღვირის ტოტები, მათზე დაადოთ ქედის ზემოთ მარცხენა ხელის თათი, ხელის გუ-ლით ქვემოთკენ, ჩაიჭიროთ ისინი ფაფარის ბლუჯა თმებთან, ერთად 4 თითით, ცერაზე გადაიხვიოთ ამ ბლუჯა თმების ბოლო და მარჯვენა ხელით აი-ლოთ უზანგის ღვედი (თასმა) უზანგთან ახლო (ნახ. 3).

შენიშვნა. თუ მხედარს შუბი აქვს, მაშინ იგი მარცხენა ხელით ტარს ავლებს შუაზე, მიბრუნ-დება რა მარჯვნივ, ნახევარ ნაბიჯს სდგამს მარჯვნივ, შუბს მიადებს ცხენის ქედს, დამორილ ბოლოს აბ-ჯენს მიწას, წინა ფეხებიდგან განზე, ერთს ნაბიჯზე და დანარჩენს აკეთებს, როგორც ზემოთ არის ნა-თქვამი.

მეორე ოლეთი. იწევა მარცხენა ფეხი დ უზანგში გაიყრება ტერფის ნახევრამდის, გაფრთხი-ლებით, რომ ფეხის წვერით ცხენს არ შეეხოთ; მარჯვენა ხელი უნდა მოევლოს უკანა ტახტას, მა-რჯვენა ფეხით უნდა აისკუპოს მიწიდგან და ავიდეს ამ დროს აქვს სადგნობი მარცხენა მუხლით უნა-გირზე, მარცხენა ფეხი და ხელები; სხეულის სწო-რედ ჭერით უნდა გადიტანოს გაჭიმული მარჯვენა

ფეხი ცხენის გავაზე მოუხვედრებლივ და, ამასთანავე მოაშორებს მარჯვენა ხელს უკანა ტახტას, მის გაჭიმულ თითებით მიებჯინება უნაგირის წინა ნაწილს მარჯვნივ; ამის შემდეგ მუხლების მოჭერით, მსუბუქად ეშვება უნაგირზე (ნახ. 4 და 5).

მესამე იღეთი. მარჯვენა ფეხი გარედგან შეიდგმება უზანგში, მასთან ყური უნდა ეგდოს, რომ უზანგები მოდიოდეს ტერფის განიერ ნაწილითან. შემდეგ ფაფარი გაიშვება, აღვირის ტოტები გატარდება: მარცხენა — ნეკას ქვეშ ხელის გულის ზემოთ, მარჯვენა — მარცხენა ხელის საშუალო და საჩვენებელ თითებს შუა; მარჯვენა ხელით იღება ლაგმის ტოტები, გადაეცემა მარცხენას და გაიყოფა მარცხენა ხელის უსახელო თითით; ტოტების გასწორების შემდეგ, მათი ბოლოები უნდა გადაიყაროს საჩვენებელ თითის ზემოდგან მარჯვენა მხრისკენ და შეკუმშულ ხელში ტოტები დაიჭირება ცერათი. გადაუტრიალებელი ტოტები თავის შიგნითა მხრით უნდა ცხენის კისერს უყურებდეს: ტოტები ღრმად, თითების ძირებთან უნდა იჭირებოდეს.

მარცხენა ხელის თათი იჭირება ფრჩხილებით ქვემოდ. მარჯვენა ხელი, თუ იარაღი არ უჭირავს, თავისუფლად ჩაეშვება ქვემოდ; როცა საჭიროა ცხენის მართვისთვის მარცხენას მიშველება, მარჯვე-

ნას თათი დაიდება მარცხენა თაოზე. მასთან მარჯვენა ხელის შუა თითი გაჰყოფს ტოტების მარცხენა მწყვილს, ნეკა—მარჯვენას (ნახ. 6).

ტოტების ასეთ გათავთავდებას ეწოდება წყობრივი.

შენიშვნა 1. როცა ცხენი საკმაოდ არ ემორჩილება ტოტების ძვრას, მაშინ მართვის მეტ მოხვერხებულობისთვის ტოტები უნდა ორთავე ხელში გათავთავდდეს. მასთან აღვირის და ლაგმის მარცხენა ტოტები მარცხენაში, მარჯვენა ტოტები მარჯვენაში. როგორც კი საჭირო აღარ იქნება ასეთი დაყოფა, მარჯვენა ტოტები გადაიცემა მარცხენაში, მარჯვენა კი დაიშვება ან დაიდება მარცხენაზე, როგორც ზევით იყო ნაჩვენები.

მარცხენა ხელის განთავისუფლების საჭიროებაში ტოტები რჩება მარჯვენაში, როგორც იყო დადებული მარცხენაზე, და მათი ბოლოები გადაიყრება მარჯვენა ცერას ზემოღვან მარცხენა მხრისკენ.

შენიშვნა 2. თუ მარჯვენა ხელი დადებული არ არის მარცხენაზე, მაშინ მარცხენა ხელის თათი არ შეიძლება დარჩეს შერჩებილებით ქვემოდ ჩატრიალებული, რაღანაც ეს გამოიწვევს თათის დაჭიმვას. თათი თავისუფლად უნდა იყოს, მასთან მისი ცერა ცოტა ზემოთ იქნება ნეკაზე (ნახ. 20,

24, 26 და 31); აკრძალული არ არის, თუ კი უფრო მოხერხებულად მიიჩნევს ვინმე, მარცხენა ცულის თათი დაიჭიროს დგომელა.

შენიშვნა 3. თუ მხედარს შუბი აქვს, მაშინ, შესდგამს რა მარჯვენა ფეხს უზანგში, იღებს მარჯვენა ხელით შუბს დაბლუჯით და ზემოთ შეისვრის, ორჯელ აიქნევს და წასწვდება და, როცა ქვემოთა ნაწილი ტახტას გაუსწორდება, გადააქვს ცხენის კისერზე (ნახ. 7), სდგამს თასმის ყულფში (ვა ნუშვავთ), მიიბჯენს რა შუბს მხარზე, ტოტებს ათავთავადებს და ჩაუშვებს მარჯვენა ხელს ტარზე თითებით ქვემოდ.

3. ლაგმის ტოტები რომ გასწორდეს, შემოკლდეს ან დაგრძელდეს, ამისთვის მარჯვენა ხელის ცერათი და საჩვენებლით უნდა აიღოს მათი ბოლოები, გაიჭიმოს მთელი სიგძით მაღლა და ასე გასწორდეს, შემოკლდეს ან დაგრძელდეს. აღვირის ტოტების გასწორება, დამოკლება ან გაგრძელება მარჯვენა ხელით ყოველ მათგანის ცალკე მოწვევით ან მიშვებით ხდება.

როცა ერთბაშად ოთხთავ ტოტის გაგრძელება ან დამოკლებაა საჭირო, მაშინ უნდა მარჯვენა ხელში აიღოს მათი ბოლოები, მარცხენა ხელით ტოტები უნდა წაიწიოს ან გამოიწიოს.

ნათქვამის შესრულების შემდეგ მარჯვენა ხელის თათიდგან უნდა გაიშვას ტოტების ბოლოები და ორთავე ხელი შესაფერისად დაიჭირება.

4. ტოტების წყობრივი გათავთავადების გარდა, ცხენოსნობის და ცხენის მართვის თავდაპირველ სწავლების დროს გამოიყენება ტოტების გათავთავდება ორთავე ხელში.

ამისათვის ტოტები ჯერ გათავთავდება, როგორც ნაჩვენებია მე-2 მუხ. (მესამე ილეთი), მაგრამ რაკი ლაგმის ტოტები გადაეცემა მარცხენა ხელს, უნდა მარჯვენა ხელით აიღოთ აღვირის მარჯვენა ტოტი, გაატაროთ ნეკას ქვეშ ხელის გულზე აყოლებით, საჩვენებელ თითი ზემოდგან უნდა გადიდოს და თათი იკუმშება მუშტად (ნახ. 8). ამ დროს ორთავე ხელის მუშტები ერთს სიმაღლეზე და დგომელა უნდა იყოს, ერთი მეორისაგან მუშტის სიგანეზე; ლაგმის ტოტები იმდენად მიშვებული უნდა იყოს, რომ ცხენს მეტი სადგნობი აღვირისაზე ჰქონდეს. *)

5. ერთ-ერთ ზემონაჩვენებ გათავთავადებით ტოტების მჭერალმა მხედარმა, რომ სხვა გვარად დაიჭიროს ტოტები, წარმოითქმება ამის შესაფერი განკარგულება:

*) ამის შესაფერისად გათავთავდება ტოტები ორთავე ხელში აღვირით ცხენოსნობის დროს.

ტოტი წყობრივად, აღვირი ორთავე ხელში.

როცა განკარგულებით ტოტების გათავთავ-
დება არ არის ნაჩვენები, მაშინ ისინი გათავთავდე-
ბიან წყობრივად.

6. ცხენიდგან ჩამოხდომა 3 ილეთად უნდა:

პირველი ილეთი. ლაგმის ტოტები გაიშვე-
ბა და მარცხენა ხელით, აღვირის ტოტებით შიგ,
წაევლება ქედს (ქეჩოს) ზემოდგან ფაფარს, მარჯვე-
ნა ხელი დაედება უნაგირის წინა ნაწილს მარჯვენა
მხრიდგან და გამოილება მარჯვენა ფეხი უზან-
გიდგან.

შენიშვნა. ოუ მხედარს შუბი აქვს, რაკი
გაათავთავადებს ტოტებს, როგორც ზემოთ არის ნა-
ჩვენები, გამოილებს მას თასმის ყულფიდგან, აისვ-
რის ზემოთ, გადააქვს ცხენს ზემოდგან მარცხნივ,
მარცხენა ხელის შიგნით და, გადასცემს რა ამ ხელს
შუბს, დააყენებს უკანასკნელს, როგორც ეს ნა-
ჩვენებია მე-2 მუხ. პირველ ილეთის შენიშვნაში.

მეორე ილეთი. დაებჯინება რა მარჯვენა
ხელით უნაგირს, მარჯვენა გაჭიმული ფეხი გადა-
იტანება ცხენის გავას ზემოთ მიუკარებლივ და
დაიდგმება მიწაზე; ამის შემდეგ გამოილება მარცხე-

ნა ფეხი უზანგიდგან, მიიღომება მარჯვენასთან,
მარჯვენა ხელი კი ჩაიშვება პირდაპირ.

მესამე ილეთი. გაიშვება ფაფარი, ნაბიჯი
გაიღომება მარცხნივ, აღვირის მარცხენა ტოტის
ხელიდგან გაუშვებლად, მარჯვენა ხელით ლაგმის
ტოტები გაღმოიყრება ცხენის კისრიდგან და დაი-
კირება ყბებს ქვეშ, როგორც ნაჩვენებია მუხ. 1,
ამის შემდეგ, კედაროზე მობრუნებით, მარცხენა
ხელი ჩაიშვება პირდაპირ.

შენიშვნა. თუ მხედარს შუბი აქვს, მაშინ
კედაროზე მიბრუნების თანავე იჭერს ისე, როგორც
ნაჩვენებია პირველ მუხ. შენიშვნაში.

7. ცხენზე შესაჯდომათ და ჩამოსახდომათ
ილეთებით გაიცემა განკარგულებები: ილეთებად
შეჯე ან ილეთებად ჩამოხდი, შემდეგ შეა-
სრულე—ერთ, შეასრულე—ორ, შეასრუ-
ლე—სამ.

ამისავე შესასრულებლად უილეთოდ წარმო-
ითქმება განკარგულებები: **შეჯე ან ჩამოხდი.**

უკანასკნელ განკარგულებებით მხედართ ნაჩ-
ვენებ ილეთებს ასრულებს გაუკერძოობლივ.

შენიშვნა. განკარგულება გაიყოფა საწი-
ნაშოდ და ასასრულებლად; საწინაშოები
წესდებაში აღნიშნულია შავ ასოებით, ასასრულე-
ბელი—დიდებით.

8. ცხენზე შესაჯდომად და ჩამოსახდომათ მარჯვენა მხრიდგან წარმოთქმება განკარგულება: ილეთებად, მარჯვნივ შეჯე (ჩამოხე) ანარადა მარჯვნივ—**შეჯე (ჩამოხე).**

თუ მარჯვენა მხრივ მდგომ მხედრის შეჯდომა საჭიროა მარცხენა მხრიდგან, მაშინ წარმოთქმება განკარგულება: მარცხნივ—**შეჯე.**

9. მარცხენა მხრიდგან შესაჯდომათ, ასასრულებელ განკარგულების (თუ განკარგულება ილეთებად, მაშინ განკარგულებით შესარულე—**მრთი)** შემდეგ მხედარი უნდა გადავიდეს ცხენის მარჯვენა მხრისკენ და შეჯდეს მე-2 მუხ. ნაჩვენებ წესებით, მხოლოდ იქ ნათქვამი მარცხენა ფეხზე და ხელზე, აქ ეკუთვნის მარჯვენა ფეხს და ხელს, და წინაუკმო. ტოტების გათავთავადება ხდება მე-2 და მე-4 მუხ. თანახმად.

ასევე უნდა ჩამოხდომა მარჯვნივ და დადგომა ცხენის მარჯვენა მხრივ თანახმად მე-6 და 1 მუხლებისა.

ჯ დ ღ მ ა.

10 უნაგირზე ჯდომა უნდა იყოს თავისუფალი (ნებიერი), სრულიად მშვიდი და გაუჭიმავი, სხეულის ყველა ნაწილების, ერთმანეთის დამოუკი-

დებლად, თავისუფალ მოძრაობის დაცვით. დაჭიმვა (დაძაგრვა) ჯდომის დროს ცხენოსანს საშუალებას უკარგავს ცხენის სხვა და სხვა გვარ მოძრაობის შეგრძნობისას და, საჭირო შემოხვევაში, მის მიშველებისას ან წინააღმდეგობისას.

11. მხედრის სხეული სამ ნაწილად იყოფა: ორი მოძრავი, სახელდობრ: ზემოთა — თავიდგან წელამდე, და ქვემოთა — მუხლიდგან ქუსლებამდე, და ნაკლებად მოძრავი — შუალა, წელიდგან მუხლებამდე.

12. სწორე ჯდომის დროს უნაგირზე რამდენადაც კი შეიძლება ღრმად უნდა იჯდეს კაცი ორ საჯდომ ძვლებზე; სხეულის ჩვეულებრივი მდგომარეობა უნდა იყოს შვეულ ხაზებრივი, წელი შეუზნექვად შიგნით, რადგანაც, მხოლოდ მის ასეთ ჭერის დროს შემსუბუქდება ბიძგები მხედრისთვისაც და ცხენისთვისაც.

მხრები თავისუფლად დაშვებულები იჭირება; წაკუზვა არ შეიძლება. თავი და კისერი იჭირება სწორედ, უკან გადაუხრელად, ნიკაპი არც გამოიშვირება წინ, არც დაიშვება ძირს; ცქერა პირდაპირი, თავის გასწვრივ.

13. მკლავები სამ ნაწილად იყოფა: ზემოთა — მხრიდგან ნიღაუვამდე (მხრის ძვალი), შუალა ნიღა-

ყვიდვან თათამდე (მხრის წინადი) — და თათი (ხელი).

მკლავების ზემოთა ნაწილი, თავისუფლად ჩაშვებული, უნდა ეხებოდეს, მაგრამ არ უნდა იყოს მიკრული სხეულზე.

მკლავების შუალა ნაწილი ცოტათი უნდა ეხებოდეს მხედარს, რითაც მოიპოვება მკლავების უფრო მკვიდრი მდებარეობა (მკლავების მიკვრა სხეულზე იწვევს მხრების აწევას და მოელ ჯდომის არა სასურველ დაჭიმვას (დაძაგვრას).

მკლავების თათები (ხელები) უნდა ცოტათი მოლუნული იყოს შიგნითკენ, თითები შეკუშშული მუშტად, მაგრამ თითები იმდენად უნდა მოიხმარებოდნენ, რომ მათი საშუალებით შესაძლებელი იყოს ესა თუ ის ტოტი მიეშოს ან მოიწიოს. ცერები უნდა ნახევრად მოხრილები იყოს და მათით იჭირებოდეს გატარებული ტოტები.

მართვის სინაზისთვის მოითხოვება, რომ არამც თუ თითები (ხელები), არამედ მოელი მკლავიც მოძრავი იყოს საჭირო დროს, და არა გაშეშებულსავით მიკრული ნიდაყვებით სხეულთან.

14. ტოტების წყობრივი გათავთავდების დროს მარცხენა ხელი ფრჩხილებით ქვემოდ უნდა იჭირებოდეს (მე-2 მუხ. შენიშვნა მე-3 ილეთს) წინატახტის შუაზე, ამასთან ყურადღება უნდა მიექ-

ცეს, რომ იგი იყოს გაგრძელება მხრის წინადისა; მარჯვენა ხელი, თუ მას არ უჭირავს შუბი ან ამო-წვდილი ხმალი, თავისუფლად ჩაეშვება ან მარცხე-ნაზე იდება, როგორც ნაჩვენებია მე-2 შუბა.

აღვირის ორ ხელში, გათავთავდების დროს თათები უნდა მუშტად შეიკუმშოს და დგომელა იჭირებოდეს ნიდაყვის ძვლის გასწვრივ. თათებს შუა მუშტის ოდენა სიშორე უნდა იყოს; თითების მეორე სახსრები უნდა ერთს შვეულ ხაზზე იყოს, ნა-ხევრად მოხრილ ცერა თითის ბოლო კიდევ რბილი ნაწილით მიბჯენილი საჩვენებელის მეორე სახ-სარზე.

მკლავების თათები (ხელები) (მარცხენასი ან მარჯვენასი, როცა ტოტები ერთს ხელშია) ტოტე-ბის ყოველ გვარ გათავთავდების დროს იჭირება წინა ტახტზე ერთი მუშტით ზევით.

შენიშვნა. განსწავლილ მხედრიდგან მოითხოვება უფრო მეტი შეგნებითი მართვა ცხენისა, შესაფერისად მის ხასიათისა და გახედნის მენაკისა. ამასთან, რადგანაც ცხენის უკბილო კიდეზე აღვი-რის რკინების სისწორით მოქმედებისთვის ტოტებს უნდა ჰქონდეს ამ კიდისკენ მიმართულება რამდე-ნადაც კი შეიძლება მიახლოვებული სწორე კუთ-ხესთან, ამიტომ, რაც უფრო მაღლა მოაქვს ცხენს

თავი, იმდენად დაბლა უნდა იჭირებოდეს მკლავების თათები-ლა წინაუკმო.

15. სწორედ გაწყობილ უზანგების დროს, ბარძაყები დაშვებულია ძირს და, მხედრის აგებულების მიხედვით, ცოტა წინ და უნდა მიკრული და ბტყლად იდვნენ უნაგირის გვერდებზე; მუხლები კიდევ მიხრილნი მისკენ და უძრავნი. მხედრის სხეულის შუა ნაწილის რაც უფრო მეტი წერტილები ექნება შეხებული ცხენს, მით უფრო ღრმა და მტკიცეა ჯდომა, მით უფრო ნაკლებად ჰუმრდება მხედარი უნაგირს ცხენის გაღმომგდებ მოძრაობის დროს და მით უფრო მაგრა ზის უნაგირზე ე. ი. აქვს შლუსი.

16. შლუსი და ბალანსი (წინასწორობა), მოქმედებენ რა ერთმანეთზე, ჰუმრელიან ჯდომის სიმაგრეს: არა საკმარის შლუსის დროს მხედარი მხოლოდ წონასწორობით სარგებლობს, რაიც ჯერ მთლად ვერ შეადუღებს მას ცხენთან; არა საკმარის წინოსწორობის დროს კიდევ მხედარი ტყუილ-უბრალოდ ჰხარჯავს ძალას, რომ უნაგირზე დარჩეს შლუსის შემწეობით.

17. ფეხის შიგნითა ნაწილი, ცხენის შემხები, მუხლიდგან კვირისტავამდის იწოდება წვივა დ

(შენკელი) და მის საშუალებით იმართება ცხენი. ფეხის ეს ნაწილი, მუხლიდგან თავისუფლად ჩაშვებული, შიგნითა მხრით უნდა ეხებოდეს ცხენის გვერდს: ამასთან ქუსლი ცოტა ქვემოდ უნდა იყოს ფეხის წვერზე, ფეხის წვერი კიდევ ცოტათი განზე გაწეული.

18. დაუჭიმავი ფეხები ყოველთვის უნდა გრძნობდნენ ცხენს; თავისუფალი, დაუბჯინებლივი უზანგი ტერფის განიერ ნაწილთან უნდა იყოს მუდაშ.

შენიშვნა. უზანგი ისე უნდა იყოს გაწყობილი, რომ მხედარს, ამდგარს უზანგებზე, ფეხებგასწორებულს და ტერფებ ტატნობრივ მჭერალს, უნაგირს და ლაჯს შუა ქარი ჰქონდეს მუშტი.

უზანგის ამ-გვარ გაწყობის და სწორე ჯდომის ღროს ფეხ-გაუყრელი უზანგი უნდა მოდიოდეს ორი თითით მაღლა წალის ქუსლის ზემოთა კიდურზე.

უზანგებიანად ცხენოსნობის თავდაპირველ გაკვეთილების შემდეგ, ცხენოსნობა უნდა ხდებოდეს უუზანგოთ, რადგანაც მხოლოდ ასეთ ცხენოსნობით მოპოვება შლუსიც და ბალანსიც, ურომლისებოდაც შეუძლებელია უნაგირზე მტკიცე (მაგარი) ჯდომა.

ସାହିତ୍ୟ.

ସାହିତ୍ୟ ଫାରିଗ୍ଯେବେଦି.

19. ମାର୍ତ୍ତିଵା ମିମାଞ୍ଚି ମଧ୍ୟମାର୍ଗେବୁବୁ, ରମ ମ୍ବେଦା-
ରୀ, ଗାଦାଶ୍ରୀମି ରା କ୍ଷେତ୍ରପାଇଲେନିର ମ ସାମ୍ଭୂଲ୍ଲେବେଦି,
ରାଜ୍ଯ କ୍ଷେତ୍ର ଅକ୍ଷେତ୍ର, ତଥିର ନେବିର-ୟାନା ପାଇଲେନି, ଅନ୍ୟ-
ଲ୍ଲେବୁବୁ ମାତ୍ର ଶ୍ରୀଶର୍ମାଲୀର ତାତ୍ତ୍ଵବୀର ମନୋବିନ୍ଦୁବେଦି.

ଶ୍ରୀ ଶବ୍ଦନା. କ୍ଷେତ୍ରପାଇଲେ ମ୍ଭୁବଲ୍ଲେବୁବୁ ମନ୍ୟବାନିଲୀର
କାନ୍ତିରାଜନିଲୀ ପାଇଲେନିର ମାର୍ତ୍ତିବୁବୁ, ରମଲ୍ଲେବୁବୁରୁ ଉନ୍ନା
ଶ୍ରୀତଥିରେବୁଲ୍ଲ କ୍ଷେତ୍ରପାଇଲେନିର ତାତ୍ତ୍ଵବିନ୍ଦୁବେଲେ
ମ୍ଭୁବଲ୍ଲେବୁବୁରୁ ଫରାର. ଶ୍ରୀମଧ୍ୟ ମାତ୍ର ଗାମନ୍ୟବେଶବୁବୁ ଉନ୍ନା
ରେବୁଲ୍ଲେବୁବୁ ପାଇଲେନିର ବାସିନିତିର, କିମ୍ବାବେଶବୁବୁ ରୁ ଗାନ୍ଧିର-
ନିର ଶିବପାରିଗିର ମିଥେଦିବି.

20. ପାଇଲେନି ମାର୍ତ୍ତିବୁବୁ ସାମ୍ଭୂଲ୍ଲେବେଦି ସାମିନା:
ଶ୍ରୀଶ୍ରୀବେଦି (ଶ୍ରୀକୃତ୍ତିବେଦି), ଶ୍ରୀଜୁଲିର ମାତ୍ରା-
ମାନୋକରା ରୁ ଶ୍ରୀତ୍ରୀବେଦି.

ଶ୍ରୀବେଦିର ମିଥେର ପାଇଲେନି ପାଇଲେ ମିନି ଶ୍ରୀଶ୍ରୀବେଦିର ରୁ ଶିବ-
ତାତ୍ତ୍ଵବୀ ମିଥେ ଉତ୍ତାନା ନାଥିଲୀ (ଉତ୍ତାନା); ଶ୍ରୀଜୁଲିର ମାତ୍ରା-
ମାନୋକରାର ଶିବପାରିଗିର ମାର୍ତ୍ତିବୁବୁ; ଶ୍ରୀତ୍ରୀବେଦିର ଶ୍ରୀଶ୍ରୀବେଶବୁବୁ
(ଶ୍ରୀନାଥିଲୀ), ଅମିତିର ମିଥେର ମାନୋକରାରମା ଉନ୍ନା ମାନୋକରା-
ରୁ ଶିବପାରିଗିର ମାନୋକରାର ରୁ ଶିବତାତ୍ତ୍ଵବୀ ପାଇଲେନି ପାଇଲେନି
ଶ୍ରୀବେଶବୁବୁ, ଅମିତିର ମିଥେର ମାନୋକରାରମା ଉନ୍ନା ମାନୋକରା-
ରୁ ଶିବପାରିଗିର ମାନୋକରାର ରୁ ଶିବତାତ୍ତ୍ଵବୀ ପାଇଲେନି ପାଇଲେନି

უნდა იმოქმედოს წვივებით (შენკელებით), შემდეგ
სხეულის წახრა-წამოხრით და ტოტებით.

21. წვივები (შენკელები) და ტოტები არის
შიგნითები და გარეთები. შიგნითა წვივი და
ტოტი ისეთებს ჰქვიანთ, რომლებიც მიბრუნ-მო-
ბრუნების, მიწევ-მოწევის და ნავარდის დროს მოე-
ქცევიან იმ მხარისკენ, რომელზედაც მოძრაობა-
სრულდება; გარეთები—პირისპირი.

22. მართვის უმთავრეს საშუალებათა გართა
არის დამხმარეები—დეზები და წკეპლა, რომელ
თა დანიშნულებაც ორნაირია: წვივების მოქმე-
დების გასაძლიერებლად და დამოუკიდებლად, რო-
გორც სასჯელი მხედრის ნების-ყოფის წინააღმდე-
გობის ან ურჩობისთვის ცხენის მიერ.

წვივებით მოქმედება და მათით მართვა

23. წვივებით მართვა იმაში მდგომარეობს
რომ მხედარი თავის ნების ყოფის გადასაცემაც
ცხენისთვის მოქმედობს მის უკანა ნაწილზე წვი-
ვების ან ერთის ღონით ან ერთ ერთის
უფრო მეტის დაჭირებით.

24. ამასთან მოქმედება უნდა შეუხამდეს ცხე-
ნის კიდოვნებას და იმას, რასაც მისგან მოითხოვთ.

თუ წვივით დაჭირება საქმარისი არ არის, მაშინ უფრო მეტად საგრძნობ იძულებისთვის იხმარება წვივით ბიძგი.

წვივით დაჭირება ან მით ბიძგის გაკეთება მოსართავების შუაზე უნდა (ორ გაწეულ მოსართავების დროს) ან ერთი მოსართავის დროს უკანა მის კიდურთან.

25. წვივით ისე უნდა მოქმედება, რომ დააჭირო თუ ურტყამო მითი, თავის დღეში არ უნდა მოაშოროთ და ასწიოთ მუხლი უნაგირიდგან და არ უნდა შესცვალოთ ჯდომა.

26. ორთავე წვივის დაჭირება გამოიყენება ცხენის წინ წაგზავნისთვის აგრეთვე ნაკლებ ალურზე გადასასვლელად, შეჩერების და ცხენის შეკრეფისთვის, როცა საჭიროა ავიცილოთ უკანა ფეხების ჩამორჩენა.

27. ორთავე წვივის დაჭირით, მაგრამ სხვა და სხვა ძალით ცხენი მოიხრება გვერდში (გვერდის ამართვა მუხ. 34) მიბრუნ-მობრუნებაზე, მიწევ-მოწევაზე და ნავარდზე გადასვლისას.

28. ერთ-ერთ წვივის დაჭირით. ცხენის უკანა საპირისპირო მხრივ მიიწევა. საპირისპირო წვივი მოაწესრიგებს და შეაყენებს ამ მოძრაობას.

სხეულის წაწევ-წამოწევა.

29. სხეულის წაწევ-წამოწევა ცხენის და მხედრის სიმძიმის ცენტს ადგილს უცვლის და ამიტომ ხელს უწყობს ცხენის მიბრუნ-მობრუნებას და მოძრაობას. წინ წაწევა ასუმბუქებს ცხენის უკანას; წამოწევა უკან ასუმბუქებს ცხენის წინანას; გადაწევა გვერდზე ჰშველის ცხენს წონასწორობის შენარჩუნებაში მიბრუნ-მობრუნებისას.

სხეულის გვერდზე გადაწევის დროს სხეულის სიმძიმე გადაეცემა ~~შეაფერ~~ საჯდომ ძვალს, და არა მხედარი გადიწევ-გადმოიწევა უნაგირზე და მოიხრება ფერდში.

ტოტების მოქმედება და მათით მართვა.

30. ტოტებით გადაეცემა მხედრის ნების ყოფა ცხენის წინანას და მსუფუქ კავშირს შეადგენს მხედრის მკლავისას ცხენის პირთან, მაგრამ არა დროს არ უხდა იყოს უნაგირზე შერჩენის საშუალებად.

31. ტოტები მოქმედობენ: აღვირისა — რკინის დაწოლით ენაზე, ქვემოთა ყბის უკბილო კიდურზე, ლაგმისები — ლაგმის რკინის დაწოლით ქვემოთა ყბის უკბილო კიდურზე (იხ. დართვა).

ამის გარდა, ტოტები მოქმედებენ უშუამავლო
დაწოლით, კისერზე.

32. ტოტებით შეჩერდება ან შეკავდება მოძ-
რაობა და იმართება ცხენის წინანა, ე. ი. იჩვენება
მოძრაობის მიმართულება და დაიღვინება თავის და
კისრის მდგომარეობა (ამართვა).

33. როგორც ადგილას, ისე სიარულის დროს
ტოტები იმდენად უნდა დაჭიმულები იყოს, რომ
მხედარი გრძნობდეს მსუბუქ სადგნობს ცხენის პი-
რისას, უმთავრესად აღვირის რკინაზე.

საერთოდ ცხენის მართვა ცხენოსნობის დროს
აღვირით უნდა, ვიდრე ეს საკმარისია მხედრის ნე-
ბის დამორჩილებისთვის ცხენისა, ლაგამს კი მიჰ-
მართავს ყოველთვის, როდესაც აღვირის მოქმედე-
ბა საქმაო არ არის და შესწყვეტს ლაგმით მოქმე-
დებას მაშინვე, როგორც კი საჭიროება აღარ მო-
ითხოვს.

შენიშვნა: ჩქარ ალიურებზე დგნობა ცხე-
ნისა აღვირზე მატულობს, მაგრამ იგი არ უნდა
მიეყრდობოდეს მთლად ტოტზე, ამისათვის ყოველ-
თვის უნდა შენახულ იყოს ხელის სისუმბუქე. მკლა-
ვის სისუმბუქე არამკოტუ ხელში მოქნილობით
მიიხვევა, არამედ მხედრის მოხერხებითაც იმ მხრივ,
რომ შეუნარჩუნებს რა ცხენს მსუბუქ დგნობას

ტოტზე, საჭირო დროს წაიშიოს მკლავი ნიდაყვში
 და მხარში წინ, ცხენის თავის და კისერისთვის
 თავისუფლების მისაცემად.

34. პირდაპირ მოძრაობისთვის ტოტები უნდა
 მოქმედებდნენ სწორედ (პირდაპირი ამართვა). მიბ-
 რუნ-მობრუნებისას და მიწევ-მოწევისას, როცა
 ცხენი შეკრეფილ უნდა იქმნეს მოძრაობის მხრის-
 კენ (გვერდის ამართვა), ტოტების მოქმედება სხვა
 და სხვა ნაირია: შიგნითა ტოტი იძლევა ამართვას,
 აიძულებს ცხენს ცოტათი (მხედარი უნდა ჰქედავ-
 დეს ცხენის ნახევარ თვალს) მოატრიალოს თავი
 კისრით ამართვის მხრისკენ; გარეთა ტოტის დაჭე-
 რით და კისერზე დადებით, აწესრიგებს თავის მიბ-
 რუნ-მობრუნებას, რომ ცხენმა მხარი არ გასწიოს
 გარეთ და არ გადაიგდოს კისერი.

წვივების (შენკელების) უმოქმედოთ, მარტო
 ტოტებით მუშაობა უშედეგოა, რაღვანაც ამისთა-
 ნა შემთხვევებში ცხენი არ იზნიქება გვერდებში
 და არ წაუდგავს უკანა ფეხებს, ე. ი. მას არ ეძ-
 ლევა სწორი ამართვა. გვერდის ამართვისთვის სა-
 ჭიროა უფრო მაგრა დაეჭიროს! შიგნითა წვივი (შენ-
 კელი).

35. ტოტის მისაშვებად, საჭიროა: წყობრივ
 ცხენოსნების დროს — მარცხენა მკლავის ხელი წა-

იწევა წინ; ცხენოსნობის დროს ტოტები ორთავე მკლავში — ორთავე ხელი წაიწევა წინ.

36. ტოტების თავისკენ მოწევისთვის, უნდა: წყობრივ ცხენოსნობის დროს გასწიო მარცხენა მკლავის ხელს უკან (ორთავე ხელი, თუ მარჯვენა მარცხენაზე დადებული); ცხენოსნობის დროს ტოტები ორთავე მკლავში — მოსწიე ორთავე ხელი უკან.

37. რომ მიიწიოს მარჯვენა ტოტი და დაეჭიროს კისერს მარცხენა, უნდა: წყობრივ ცხენოსნობის დროს — გადატრიალდეს მარცხენა (ან ორთავესი, როცა მარჯვენა დადებულია მარცხენაზე ხელი მარჯვნივ, ცერას თავისთან მიახლოვებით (რითაც შემოკლდება მარჯვენა ტოტები), და ამავე დროს ხელი უნდა მიიწიოს მარჯვნივ (ამით მარცხენა ტოტები დაეჭირება კისერს).

ცხენოსნობის დროს ტოტები ორთავე ხელში — მიიახლოვეთ თავისთან ნეკა და მარჯვენა ხელის ცერა გასწიეთ რამოდენიმედ წინ, ხელის მუშტის სიგანეს ოდენაზე დაშვებით და ცოტათი ფრჩხილების შემოტრიალებით ზემოთ (ამით შემოკლდება აღვირის მარჯვენა ტოტი); ამავე დროს, აღვირის მარცხენა ტოტის შეუსუსტებლად, მარცხენა ხელის

თათი მიიწევა მარჯვნივ (ამით აღვირის მარცხენა ტოტი დაეჭირება კისერს).

38. თავისკენ მარცხენა ტოტის მისაწევად და კისერზე მარჯვენის დასაჭერად, უნდა:

წყობრივ ცხენოსნობის დროს — გადატრიალ-დეს მარცხენა (ან ორთავესი) მკლავის ხელი მარც-ხნივ ნეკას თავისკენ მიახლოვებით (ამით შემოკ-ლდება მარცხენა ტოტები), და ამავე დროს ხელი მოიწიოს მარცხნივ (ამით მარჯვენა ტოტები დაე-ჭირება კისერს).

ცხენოსნობის დროს ტოტები ორთავე ხელში — თავისკენ უნდა მიიახლოვოს ნეკა და მარცხენა ხელის ცერა ცოტათი წინ წაიწიოს ხელის მუშ-ტის სიგანის ოდენაზე ჩაშვებით (იმით შემოკლდე-ბა აღვირის მარცხენა ტოტი); ამავე დროს, აღვი-რის მარჯვენა ტოტის შეუსუსტებლად, მარჯვენა მკლავის ხელი გადიწევა მარცხნივ (ამით აღვირის მარჯვენა ტოტი დაეჭირება კისერს).

39. განკარგულებით: **თავისუფლად** უნდა მოაშოროთ წვივები (შენკელები), მიუშვათ ტოტები იმდენად, რომ ცხენს შეეძლოს თავისუფლად გაი-ჭიმოს კისერი, მარჯვენათი კიდევ გადაეს-გადმოე-სოს ცხენს. **განკარგულებით:** **მოისამვეთ** უნდა გასწორდეს საჭურველი და ტანისამოსი. განკარგუ-

ლებით: სმენა—გათავთავადე ტოტები, ცხენი წვი-
ლებით (შენკელებით) მსუბუქად მოიჭირება და შე-
საფერი ჯდომა მიიღება.

დეზების და წრეპლის ხმარებაზე.

40. დეზები ჰშველიან ერთ ერთ წვივის
(შენკელის) ან ორთავეს მოქმედების გაძლიერებას,
როცა ცხენი იმედს არ ემორჩილება, ამ მიზნით
უნდა დაეჭიროს წვივი, ვიდრე დეზი არ შეეხება
ცხენის გვერდს, და თანდათან წვივთან ერთად
უნდა გაძლიერდეს დაჭირება დეზით.

41. დასასჯელ სამუალებად დეზი იხმარება
მაშინ, როდესაც ცხენი ურჩობს.

ამისათვის სხეულის რაოდენადმე უკან გადა-
წევით, უნდა ლრმად ჩაჯდეს მხედარი უნაგირზე
ბარძაყებით მაგრა შემოავლოს ცხენს (წინ წაგ-
ზავნისოვის — ცოტა უნდა მიეშოს ტოტები), მკაც-
რათ და მოკვეთით უნდა ჰქონოს დეზები მოსართა-
ვებს შუა ან ცალკე მოსართავის უკანა კიდურთან.
თუ ცხენი ერთბაშად არ ემორჩილება, მაშინ დას-
ჯა უნდა გაგრძელდეს დეზების განმეორებითი და
ხშირ კვრით და ამასთანავე არ უნდა შესუსტდეს
წვივების მოქმედება, ვიდრე სავსებით არ მიიხტევა
დამორჩილება.

42. წკეპლა იხმარება, როგორც დამხმარე წვივებისთვის (შენკელებისთვის) იმ შემთხვევაში, როდესაც წვივების და დეზების მოქმედებას არ ემორჩილება ცხენი.

43. წკეპლა უნდა იჭირებოდეს: მარჯვნივ ცხენოსნობის დროს — მარჯვენახელში, მარცხნივ*) ცხენოსნობის დროს კიდევ — მარცხენაში, ბოლოთი ყოველთვის ძირს.

წკეპლით დარტყმა უნდა ხდებოდეს უმეშვეოდ წვივების უკან.

შენიშვნა: მხარზე წკეპლა მხოლოდ მაშინ დაერტყმება, როდესაც ცხენი ერთ რომელიმე მხარისკენ მიიღდება; დარტყმა მიგდების მხრიდგან უნდა.

44. წკეპლით, როგორც სასჯელით, მოქმედებისთვის, უნდა ჯერ საჩქაროდ გადაიცეს ტოტები ერთ ხელში და წკეპლა ამოტრიალდეს ბოლოთი ზემოთ. წკეპლით დარტყმა უნდა ხდებოდეს არა გაშლით და არც გამართულ ხელით, არამედ მოკვეთით, მძაფრ მოძრაობით მოხრილი ხელით.

“) მოძრაობა მანეუში ან უბრალო წრეში ან სწორკუთხედში მარცნიდან მარჯვენისკენ იწოდება ცხენოსნობად მარჯვნივ. მოძრაობა მარჯვნიდგან მარცხნივ — ცხენოსნობად მარცხნივ.

ალიური, მოძრაობა ჭირ და ერთ ალი
შრიდგან მიღრებე გადასცლა; შეკრეფა
და ნახევრად შეძავება.

45. ალიური ეწოდბეა ცხენის სხვა და სხვა
სისწრაფით მოძრაობას.

46. ცხენოსან ჯარში მოიხმარება შემდეგი
ალიურები; ნაბიჯი, ჩორთი, ნავარდი და დაოთხე-
ბა (ჭენება).

ორკეც ალიურად ითვლება სისწრაფით მომ-
დევნო ალიური. მაგალითად: ნაბიჯის მიხედვით
ორკეცი ალიური იქნება ჩორთი; ჩორთის მიხედ-
ვით — ნავარდი და სხვ.

შენიშვნა: გადათვლილ ალიურებს გარდა
მოიხმარება კიდევ: მომატებული და შემოკლებული
ჩორთი (ტროტი) და სამანეულ ნავარდი.

ეს ალიურება გამოიყენება ცხენოსნობის სწავ-
ლების და ცხენის გახედნის და მუშაობის დროს,
როგორც სავარჯიშო ილეთები.

47. ადგილიდგან რომელიმე ალიურით და-
ვრისთვის ან ნაკლებ ალიურიდგან მეტზე გადა-
სასვლელად ითქმის განკარგულება: ნაბიჯით, ჩორ-
თით, ნავარდით, საფელო ნავარდით — შპ, მოძრა-
ობისთვის ან გადასასვლელათ დაოთხეპაზე — და-
ოთხებით (ჭენებით) — შპ — შპ.

მეტ ალიურიდგან ნაკლებზე გადასასვლელ აღგანკარგურება შე არ წარმოითქმება, მხოლოდ წარმოითქმება გაგრძელებით განკარგულება, რომელიც აღნიშნავს ახალ ალიურს და რომლის შემდეგიც ხდება ასრულება.

შენიშვნა: ასევე წარმოითქმება განკარგულებები: შემოკლებულ ჩორთით, ჩორთი უმატე და სამანეჟო ნაგარდით — შპ.

მომატებულ ჩორთიდგან ჩორთზე გადასასვლელად წარმოითქმება განკარგულება: უკლე.

48. ყოველ მოძრაობის წინ უნდა ცხენი შეიკრიფოს (წინასწარ აგრძნობინოთ ცხენს) მოძრაობაში მიმართულების ან სისწრაფის შეცვლისთვის და შეყენების წინ უნდა ნახევრად შეკავება გაკეთდეს.

შეკრეფა და ნახევრად შეკავება იმაში მდგომარეობს, რომ უკანა ფეხების მიტანით სხეულის ქვეშ და კისრის და თავის აწევით ცხენი გადაწევს თავის სიმძიმის ცქიტს უკანას ახლო, რითაც შეისუმბუქებს წინანას. ამისათვის უნდა გაძლიერდეს ორთავე წვივის (შენკელის) დაჭირება და ტოტების მსუბუქად მიწევით, რაოდენადვე აიწიოს მკლავების თათები. მკლავების ხელების მოძრაობის თანავე წვივებიც თავის აღგილას დაიწყობა.

49. ოომელი ალიურითაც გინდა წაიგზავნოს ცხენი ადგილიდგან, სიჭიროა მისი შეკრეფა, როგორც წინა მუხლშია ნაჩვენები, ამის შემდეგ ცოტა მიეშვება ტოტი წვივების შეუსუსტებლივ და მით ხდება ცხენის თანაბარი გასვლა წინ.

მეტ ალიურიდგან ნაკლებზე გადასვლისას წვივების დაჭირებით და სხეულის ცოტა უკან გადაწევით, უნდა მოხდეს ნახევრად შეკავება და თანაბარი გადასვლა ახალ ალიურზე, რის შემდეგაც შეწყდება გაძლიერებული მოქმედება წვივების და ტოტების.

თანაბარ გადასვლას ამ შემთხვევაში მეტად ღილი მნიშვნელობა აქვს ცხენის დაზოგისთვის.

50. ნაბიჯი — 10—12 წამში ვერსი.

ნაბიჯით ცხენი ყოველ ფეხს ცალკე გადადგავს, ამასთან გაისმის ოთხი თანდათანი დარტყმა ფეხებისა მიწაზე, თანასწორ დროის გამოშვებით (ტემპი).

ნაბიჯით სიარულის დროს, ცხენი უნდა ატაროთ შეკრეფილი, ხალისიანი და საშუალო (გაზომილ) ტარებით; ამასთან ყური უნდა ეგდოს, რომ ცხენი არ გადადიოდეს ჩორთზე.

51. ჩორთი — 5 წუთში ვერსი.

ჩორთით მოძრაობის დროს ცხენი არ ტემ-

პად მიღის და სდგამს ფეხებს მწყვილ მწყვილად ჯვარედინად — წინა მარჯვენას და მარცხენა უკანას და წინაუკმო — ერთდროულად.

ჩორთის დროს ყური უნდა ეგდოს, რომ ცხენი თანაბარ და სწორი ტემპით მიღიოდეს, არ ვადაჰქონდეს უკანა ფეხი წინაზე და არ ირტყამდეს უკანა ფეხებს წინაზე.

52. მოშატებულ ჩორთის დროს ცხენი უნდა წაიგზავნებოდეს რამდენადაც კი შეიძლება მეტად წინ დანება არ უნდა მიეცეს მას ტოტზე დაწოლისა; შემოკლებულ ჩორთის დროს ცხენი უნდა წვივებით (შენკელებით) იტარებოდეს, სრულიად შეკრეფილი, უფრო მსუბუქ ტოტებით, რამოდენადმე სიარულის შემოკლებით და ჩორთის გარკვეული ტემპის შენახვით.

53. როგორც ნაბიჯზე, ისე ჩორთზე უნდა დაცულ იყოს ჯდომა, მე-10—18 მუხ. ნაჩვენები, ჩორთზე მსუბუქად უნდა ეშვებოდეს მხედარი ყოველ ნაბიჯის შემდეგ (სასწავლო ჩორთი).

54. ცხენის და მხედარის შეღავათისთვის გამოიყენება შემსუბუქებული ჩორთი რომელიც ზემორე მოყვანილისაგან მით განსხვავდება, რომ ცხენის ბიძგებისაგან აწევა და თანაბრივ დაშვება უნაგირზე ნაბიჯ გამოშვებით ხდება. როცა მხედარი დაე-

ეშვება ცხენის წინა მარცხენა ფეხის მიწაზე დადგომასთან ერთად, მაშინ იგი ცხენოსნობს შემსუბუქებულ ჩორთით მარცხენა ფეხიდგან, და წინაუკმო,

შემსუბუქებულ ჩორთით ცხენოსნობის დროს უნდა ცოტათი წინ წაიწოოს და გაძლიერდეს შლუსი, შემსუბუქება ჩორთიდგან სამოსწავლოზე და წინაუკმოდ გადასვლისთვის წარმოითქმება განკარგულებები: სამოსწავლო ჩორთით ან შემსუბუქი ჩორთით.

შემსუბუქებულ ჩორთით ცხენოსნობა უნდა ყველა შემთხვებში, გარდა საცერემონიო გავლისა და განკარგულებით ნაჩვენები რეპრიზებისა ცხენოსნობის სწავლების დროს.

შენიშვნა: ფეხ გამოშვებით მხედრის დაშვება უნაგირზე ჰლლის ცხენის ერთ რომელიმე ფეხს, ამიტომ შემსუბუქებულ ჩორთით ცხენოსნობის დროს ფეხი უნდა შეიცვალოს ხოლმე. ამისათვის უნდა აღვეთ უზანგებზე და ამ მდგომარეობაში გაუშვათ ორი ნაბიჯი და იწყოთ მოძრაობა შემსუბუქებულ ჩორთით სხვა ფეხით.

მანეჟში მარჯვნივ ცხენოსნობის დროს შემსუბუქებულ ჩორთით უნდა იაროთ მარჯვენა ფეხით, მარცხნივ ცხენოსნობის დროს — მარცხენით.

კარგს მხედარს უნდა შეეძლოს შემსუბუქი-
ბულ ჩორთით იცხენოსნოს უუზანგოთაც.

55. ნავარდი — ვ^ე წუთისა ვერსი

ნავარდის ყოველ აწოდაში სამი ტემპი აქვს:
პირველი — ცხენი წასდგამს წინ უკანა გარეთა ფეხს
და მასზე გადააქვს მთელი თვის სიმძიმე; მეორე —
წაუდგამს წინ და სხეულს ქვეშ უკანა შიგნით
ფეხს და ამავე დროს სდგამს მიწაზე გარეთა წინა
ფეხს; მესამე — გადასცემს სხეულს შიგნითა წინა
ფეხზე; შემდეგ კვლავ გადაეცემა სხეული გარეთა
უკანა ფეხს (პირველ ტემპი) და სხ. ნავარდით
ცხენს შეუძლიან წასვლა მარჯვენა ან მარცხენა
ფეხით. როცა ცხენი მარჯვენა ფეხით მიღის, მა-
შინ თავის ქვეშ წინ წასდგამს უფრო მეტად უკა-
ნა მარჯვენა ფეხს, მარჯვენა წინას კიდევ წასწევს
წინ. მარცხენაზე შეტად და უფრო მაღლა. ნავარ-
დით მარცხენა ფეხით პირიქით — ცხენს გააქვს წინ
უფრო მეტად მარცხენა ფეხები.

მარჯვენივ ცხენოსნობის დროს ცხენი უნდა
წაიყვანოთ მარჯვენა ფეხით; მარცხენივ ცხენოსნო-
ბის დროს — მარცხენათი.

შენიშვნა: ნავარდის დროს მეტი მუშა-
ობა მოსდის იმ ფეხებს — წინა და უკანას, რო-
მელნიც მეორე ტემპს აღნიშნავენ; საერთოდ კი

უფრო მეტად მუშაობს უკანა, რაღანაც მისგან თავის
ხდება წაგზავნა წინ.

თუ ნავარდის დროს ცხენს არ გააქვს წინ
ფეხები ერთ და იმავე გვერდისა, ე. ი. წინანათი
მიღის ერთი ფეხით, უკანათი სხვით, მაშინ იგი
მიღის არა სწორ ნავარდით (ცხენი აჯვარედინებს)
რაც არ უნდა დაიშვებოდეს.

56. მარჯვენა ფეხით ნავარდათ გატარების-
თვის საჭიროა უწინარეს ყოვლისა დააჭიროთ ორ-
თავე წვივები (შენკელები) და წაიგზავნოს ცხენი
ტოტზე, რომ შეიკრიფოს იგი; შემდეგ უნდა მი-
ეცეს ამართვა მარჯვნივ (34 მუხ.), შემდეგ ორ-
თავე წვივის მოქმედებით, მაგრამ უფრო მეტად
მარცხენათი, უნდა აიძულოთ ცხენი წავიდეს ნა-
ვარდით.

ამასთან უნდა ყური ეგდოს, რომ ცხენი არ
იგდებდეს უკანას მარჯვნივ, რისთვისაც წაიწევარა
ხელები მარჯვნივ და, ამ გვარად, წარიგზავნება
რა ცხენი ამ მხარისკენ, უნდა წინაღმდეგობა გა-
ეწიოს უკანას მიგდებას მარჯვენა წვივით (შენ-
კელით).

ნავარდით გატარების დაწყების შემდეგ, ცხე-
ნი უნდა წვივებით იჭირებოდეს ნავარდის დროს,
ტოტებით კიდევ მოწესრიგდებოდეს ტარება.

57. მარცხენა ფეხით ნავარდათ გატარებისთვის უნდა ჯერ ორთავე წვივები დაეჭიროს და წაიგზავნოს (მიეშოს) ცხენი ტოტზე, რომ შეიკრიფოს იყი; შემდეგ უნდა მიეცეს ამართვა მარცხნივ (34 მუხ.) და ორთავე წვივების შოქმედებით, უფრო მეტად კი მარჯვენით, უნდა აიძულოთ ცხენი იწყოს ნავარდი.

ამასთან უნდა ყური ეგდოს, რომ ცხენი არ იგდებდეს უკანას მარცხნივ რისთვისაც უნდა მოიქცეთ ისე, როგორც ნაჩვენები იყო მარჯვენა ფეხით ნავარდით გატარებისთვის.

გატარების შემდეგ უნდა მოიქცეთ როგორც წინა მუხლშია ნაჩვენები.

58. ნავარდის დაწყება მშვიდათენდა შესრულდეს; ნავარდით მოძრაობის დროს კიდევ მხედარი უნდა ცდილობდეს ღრმად ჩაჯდეს უნაგირში, შიგნითა მხარს ცოტა უკან სწევს, გადასცემს სხეულის დგნობას ამავე მხარეს, მაგრამ არ ჰშორდება უნაგირს, არ უკეთებს ბიძგებს ცხენის ზურგს, არ არყევს სხეულს და ფეხებს და უჭირავს ბარძაყები და მუხლები მიტრიალებულნი შიგნით.

შენიშვნა. ნავარდით მოძრაობა 7—8 წუთით ხელს უწყობს სწორ და თავისუფალ ჯდომის გამომუშავებას და ცხენს კიდევ აჩვევს სწორ და წყ-

ნარ აწოდას; ნავარდის შემდეგ კარგია ჩორთზე გა-
დასვლა, მაგრამ ცხენები ამ დროს არ უნდა ირ-
ტყამდნენ ჩლიქს ჩლიქზე.

59. ცხენის ნავარდზე გამოწვრთვნისთვის, რო-
გორც ჰიმნასტიური ვარჯიშობა, იხმარება სამანეჟო ნა-
ვარდი — 5 წუთში ვერსი. ამ ალიურის საფუძველია
ცხენის სრული მიკრეფა, სამანეჟო ნავარდით მო-
ძრაობის დროს ჯდომა უნდა რამდონადაც კი შეი-
ძლება ღრმად, რათა სიმძიმის ცქიტი (ცნოტი)
გადაეცეს უკანალის სიახლოვეს.

60. ჩორთიდგან ნავარდზე გადასასვლელად ჯერ
უნდა ნახევრად შეკავება მოხდეს, მხოლოდ ამის
შემდეგ შეასრულეთ ნავარდის დაწყებისთვის მოხ-
სენებული ზევით.

ნავარდიდგან ჩორთზე გადასვლისთვისაც ჯერ
ნახევრადა შეკავება ხდება. ამევე დროს შიგნითა
წვივის უფრო მაგრად დაჭირებით და შიგნითა
ტოტის თანაბარ ჭერით უნდა გადაიყვანოთ ცხენი ჩო-
რთზე, რის შემდეგაც შესუსტდება ტოტების მოქმე-
დება, წვივების დაჭირებით კიდევ მიყვანება ცხე-
ნის ტარება მიღებულ ზომამდე.

61. საველე ნავარდი — $2\frac{1}{2}$ წუთში ვერსი.

საველე ნავარდი მიიხტევა ცხენის უკანანის

ძლიერ მუშაობით, რისგანაც ხდება მთელი წაგზავნა წინ.

დაწყება ისევე ხდება, როგორც ნავარდის დროს, მაგრამ კენს შეძლებას აძლევენ გაიჭიმოს, რომ იგი წინ უფრო ფართო აწოდით მიიწევდეს თავისუფლად დაშვებულ თავით და ცოტათი აწეულ გავით.

62. საველე ნავარდის დროს, ღრმა ჯდომის შენახვით, უზანგებში უნდა რამდენადაც შეიძლება ღრმად გაუკეთდეს ფეხები; ხელები ცოტათი დაეშვება.

63. დაოთხება (ჭენება) — კენის სრული აწოდა.

დაოთხებით მოძრაბის დროს ხელები ცოტა წინ და ძირს იწევა, რომ კენს შეძლება მიეცეს რამდენადაც კი შესაძლოა მეტად გაიჭიმოს და განავითაროს უდიდესი სისწრაფე; წაიგზავნება რა წვივებით ან დეზებით ცენი წინ, მხედრის სხეული ცოტათი წინ წაიწევა და დაეყრდნობა მუხლებს, ნაწილად უზანგებსაც.

შეჩერება.

64. შესაჩერებლად წარმოითქმება განკარგულება: სდეპ.

ამ განკარგულების შემდეგ, ტოტების მოწე-

ვით, მოქმირება წვივები ცხენს და, გადასწევს რა სხეულს ცოტათი უკან, მხედარი თანაბრად შეაყენებს ცხენს. ამ დროს წვივების და ტოტების მოქმედება მკაცრად უნდა იყვნენ შეთანხმებული; როგორც ნააღრევი, ისე მეტის მეტად მძლავრი მოქმედება ტოტებით ერთნაირად მავნებლებია.

65. ცხენის მართებულად შეყენების დროს, იგი, მისდგამს რა ფეხებს სხეულის ქვეშ და ამავე დროს ღამდაბლებს რა უკანანს, იწევს ყელს ზევით, მოილუნავს კისერს და ოთხთავე ფეხებზე შესდგება სწორედ, სწრაფად მაგრამ თანაბრად, ტოტებზე არადიდათ მიბჯენით.

66. ნაბიჯზე შეყენება სიძნელეს არ წარმოადგენს, მოძრაობის სინელის გამო. ჩორთზე შეჩერება უფრო ძნელია და მხედრისაგან მოითხოვს უფრო მეტ ენერგიულ მოქმედებას. სწორი შეყენება ნავარდზედა დაოთხებაზე ამაზე კიდევ უფრო მეტ ჯაფას და გამოცდილებას მოითხოვს მხედრისაგან და უფრო ძნელია ცხენისთვის. ყველა ალიურებზე შეჩერების ილეთები ერთნაირია, მხოლოდ სხეულის და წვივების მოქმედება მძლავრდება ალიურის სიცქვიტის მიხედვით.

67. ჩქარ ალიურებზე შეყენება ხდება წინასწარად შემოკლებულ ტარებით, უამი-

სოდ შეჩერება მეტად ავნებს (ჰსფამს) ცხენების უკანა ფეხებს.

განკარგულება **სდეპ** უნდა წარმოითქვას ალი-ურის მიხედვით, რომლითაც მიღის მხედარი, 5—50 ნაბიჯზე იმ ადგილიდგან, სადაც იგი უნდა შესდგეს.

ცხენოსნობა პირდაპირ მიმართულებით.

68. პირდაპირი მიმართულებით ცხენოსნობის დროს ცხენი სწორ წვივებში იტარება, მსუბუქ და თანასწორ მიბჯენით ტოტებზე, მასთან ყური ეგ-დება, რომ არც ერთ მხარისკენ არ უხვევდეს; თუ ეს მოხდება ცხენი უნდა იძულებულ იქმნეს წვივების და ტოტების მოქმედებით აიღოს თავდაპირ-ველი მიმართულება. ან, თუ ცხენი უკანანს უწყებს აქეთ-იქით მიწევ-მოწევას, ამას უნდა ვეწინაალმდევოთ შესაფერ წვივის მოქმედებით.

მოძრაობის დროს მიბრუნ-მობრუნება და მხრით შემოვლა.

69. ყოველგვარ მიბრუნ-მობრუნების დროს წვივები აიძულებენ ცხენს წინ მოძრაობაზე. შიგნითა ტოტი მიჰმართავს ცხენს, უჩვენებს რა მიტ-რიალებას; შიგნითა წვივი არ უშვებს მას გადიხა-როს შიგნით; გარეთა წვივი და გარეთა ტოტი გან-საზღვრავს მოტრიალების სიღიდეს და ფიგურას.

70. წრის $\frac{1}{4}$ ნაწილზე მიბრუნებისთვის მარჯვნივ ან მარცხნივ წარმოითქმება განკარგულება: მარჯვნივ ან მარცხნივ — **შპ.** უკანასკნელ განკარგულების შემდეგ მოძრაობაში ცხენი მიტრიალდება ნაჩვენებ მხრისკენ წრის $\frac{1}{4}$ ნაწილზე და გაგრძელდება მოძრაობა ახალ მიმართულებით.

მოტრიალება ისე უნდა შესრულდეს, რომ ცხენმა ასწეროს რკალი (დუგა). ამისთვის მას მოეჭირება წვივები, შიგნითა ტოტის თანაბრად ჭერით და მით ახალი მიმართულების ჩვენებით, უნდა დაეჭიროს გარეთა ტოტი ცხენის კისერს და, შიგნითა წვივის მოუშორებლივ, გარეთათი ვაიძულებთ შეასრულოს მიტრიალება; ამავე დროს სხეული გადიხრება შიგნითკენ.

71. ნახევრად მარჯვნივ ან მარცხნივ მიტრიალებისთვის წარმოითქმის განკარგულება: **ნახევრად მარჯვნივ ან ნახევრად მარცხნივ — შპ.** უკანასკნელ განკარგულების შემდეგ უნდა ვიხელმძღვანელოთ წინა მუხლში მოხსენებულით, მოძრაობაში ცხენი მიტრიალდება დანიშნულ მხარისკენ წრის $\frac{1}{8}$ ნაწილზე და განაგრძობს მოძრაობას ახალ მიმართულებით.

72. ზურგისკენ მიტრიალებისთვის წარმოითქმება განკარგულება: **მარჯვნივ ზურგისკენ ან მარცხ-**

ნივ ზურგისკენ— 75. უკანასკნელ განკარგულების შემდეგ ცხენი შეყენდება, მიტრიალდება მე-82 მუხ. თანახმად და ადგილას რჩება, ვიდრე არ წარმოითქმის განკარგულება **პირდეპირ**, რომლის შემდეგაც მოძრაობა გრძელდება იმავე ალიურით, როგორც იყო მოტრიალებამდინ; თუ ეს ნავარდი იყო, მაშინ ნავარდით მეორე ფეხით გაგრძელდება.

76. წრის სხვა ნაწილზე მიმართულების გამოცვლისთვის წარმოითქმის განკარგულება: **მარჯვენა ან მარცხენა მხარი წინ—** 75, და როდესაც შეედარი წამოიწევს წრის სასურველ ნაწილზე—**პირდეპირ**. მხრით წამოწევა სრულდება მე-70 მუხ. თანახმად.

მიმართულების შეცვლა განვითი.

74. მიმართულების შეცვლა სრულდება ორნაირად: მანეჟის შუაზე გადავლით ერთი კედლიდგან მეორემდე სწორე კუთხით, ან კუთხიდგან გამოსვლის შემდეგ მანეჟის გრძელ კედლებზე, ცერად ერთი კუთხიდგან მეორესკენ (ნახ. 9)

მიმართულების შეცვლისთვის წარმოითქმება განკარგულება: **მიმართულების შეცვლა—** 75. პირველ შემთხვევაში ასასრულებელ განკარგულების შემდეგ ცხენის მოტრიალება ხდება მე-70 მუხ. თანახმად, მიღის პირდაპირ კედლისკენ და მივა რა მას-

თან, მიტრიალდება მეორე მხარისკენ, რითაც შეიცვლება მიმართულება. მეორე შემთხვევაში განკარგულება წარმოითქმება, რომ მხედარმა იწყოს მიმართულების შეცვლა, გაივლის რა 6 ნაბიჯს გრძელ კედლის კუთხიდგან; ამასთან ცხენის მიტრიალდება იმდენად უნდა რომ გაიაროს მანეჟი და ცერებით, გავიდეს პირდაპირ გრძელვე კედელთან კუთხიდგან 6 ნაბიჯის მანძილზე და ამ გვარად შესცვალოს მიმართულება.

75. თუ მიმართულების შეცვლა ნავარდზე ხდება, მაშინ პირდაპირ კედლიდგან 3 ნაბიჯზე ცხენი უნდა გაიყვანოთ შეშოკლებულ ჩორთზე, კედელთან მისვლისას კიდევ — იწყოთ ნავარდი მეორე უეხით.

წრევბი (გოლტები).

76. გოლტები ეწოდება ცხენის მოძრაობას წრეზე, რომელსაც დიამეტრი 6-9 ნაბიჯი აქვს.

გოლტის შესასრულებლად წარმოითქმება განკარგულება: გოლტი მარჯვნივ (მარცხნივ) — **წა**

უკანასკნელ განკარგულების შემდეგ უნდა ცოტა ცოტაობით მოაშოროთ ცხენი კედელს, ასწეროთ წრე ნაჩვენებ ზომისა, რისთვისაც დაეჭირება წვივები, ალიურის შეუმოკლებლივ, შეიკავება შინითა ტოტი, გარეთა ტოტის მოუშვებლად, ცოტათი

გადიხრება სხეული წრის გულისკენ და ცხენი აიძულება შეასრულოს ვოლტი ისე, რომ მისი უკანა მიღიღდეს წინას კვალზე.

შენიშვნა. თუ ცხენი კედლიდგან მოკლედ ჰშორდება (გადავარდება წრეში) ამას უნდა ვეწინააღმდეგოთ შიგნითა წვივის და გარეთა ტოტის მოქმდებით; ამ შემთხვევაში ხელები გადიწევა გარეთკენ.

თუ, წინაუკმო, ცხენი აკეთებს დადებულზე მეტ წრეს (ამოვარდება წრიდგან). მაშინ გარეთა წვივის და ტოტის ძრიელ მოქმედებით და სხეულის და ხელების მეტის გადახრით წრის გულისკენ საჭიროა ვაიძულოთ იგი მიიღოს შესაფერი მიმართულება.

თუ ცხენი უკანას გაიგდებს გარეთ ან მიიგდებს შიგნითკენ, მაშინ ამას უნდა ვეწინააღმდეგოთ შესაფერ გარეთა ან შიგნითა წვივის მოქმედებით.

მოძრაობა მარჯვნივ ან მარცხნივ უჩან.

77. მარჯვნივ ან მარცხნივ უკან მოძრაობისათვის წარმოითქმება განკარგულება:

მარჯვნივ—უკან ან მარცხნივ—უკან—წპ.

უკანასკნელ განკარგულების შემდეგ ჯერ უნდა აიწეროს ნახევარი წრე (ვოლტი) წინა მუხ-

ლში ნაჩვენებ წესით, ამის შესრულების შემდეგ კი, აღმართვის შენახვით მიბრუნებას მხრისკენ უნდა წავიდეს ნახევრად მიბრუნებით კედლისკენ, რომელთან მისვლისას უნდა მიეცეს ცხენს პირდაპირი აღმართვა და გასწიოს ახალ მიმართულებით (ნახ. 10).

78. თუ მარჯვნივ ან მარცხნივ—უკან სრულდება ნავარდზე, მაშინ მოძრაობის გასაგრძელებლად უნდა ვიხელმძღვანელოთ მე-75 მუხ მოხსენებულით.

79. მოძრაობა მარჯვნივ ან მარცხნივ—უკან შეიძლება შესრულდეს მეორე მხრისკენაც, ე. ი. მარჯვნივ ცხენოსნობისას—მარცხნივ—უკან, მარცხნივ ცხენოსნობისას—მარჯვნივ—უკან, მაგრამ მხოლოდ ნაბიჯით და ჩორთით.

ამისთანა შემთხვევებში ცხენი უნდა მანეჟის გულისკენ წაიყვანოს ნახევრად მიტრიალებით, შემდეგ, მიეცემა რა აღმართვა მიტრიალების მხრისკენ, აიწერება ნახევარ ვოლტი კედლისკენ (ნახ. 11).

ადგილას მიზრუნ-მობრუნება.

80 წრის $1/4$ ნაწილზე მიტრიალებისთვის მარჯვნივ ადგილას წარმოითქმება განკარგულება: მარჯვნივ—
81. განკარგულების შემდეგ ცხენი ისე უნდა ვაიძულოთ მოტრიალდეს, რომ მისმა წინამ აწეროს

$\frac{1}{4}$, წრისა, უკანანი კი ადგილას დარჩეს, ამასთან
მიბრუნების ღერძი უნდა უკანა ფეხებს შეა
მოჰვედეს.

ამისათვის ცხენი დაიჭირება წვივებში და,
როდესაც იგი შზათ არის წაიწიოს. წინ, შეკავდება
მარჯვენა ტოტი, მარცხენა დაეჭირება ცხენის კი-
სერს და გაძრიელდება მარცხენა წვივის მოქმედება,
ეგდება რა ყური, რომ მან წინა მარცხენა ფეხი
გადაიტანოს მარჯვენას ზემოთ (ნახ. 12)

მიტრიალების ბოლოში უნდა შეჩერდეს ცხენი,
ვიჟერთ რა მარჯვენა წვივით და გარეთა ტოტით,
ამავე ღროს შევწყვეტთ შიგნითა ტოტის მოქმედე-
ბას და მარცხენა წვივის გაძრიელებულ მუშაობას.

წრის $\frac{1}{4}$ ნაწილზე მიტრიალება ხდება განკარ-
გულებით: მარცხნივ—შპ, დასრულდება ზემო აღ-
წერილის თანახმად წრის $\frac{1}{4}$ ნაწილზე მარჯვნივ.

81. ნახევრად მიბრუნ-მობრუნებისათვის ან
მარცხნივ ადგილას წარმოითქმება განკარგულება:
ნახევრად მარჯვნივ ნახევრად მარცხნივ—შპ, ამ განკა-
რგულების შემდეგ სრულდება წინა მუხლში ნათქვა-
მის შესაფერისად, მხოლოდ არა წრის $\frac{1}{4}$ ნაწილზე
მიბრუნების, არამედ წრის $\frac{1}{8}$ მიბრუნების შესახებ.

82. ზურგისკენ ადგილას მიბრუნებისთვის წა-
რმოითქმება განკარგულება: მარჯვნივ ზურგისკენ

(შარცხენივ ზურგისკენ) — 75 განკარგულება წე-ს
 შემდეგ საჭიროა, წრის $\frac{1}{4}$ ნაწილზე
 მიბრუნებისთვის აწერილ წესების შესრულებით
 გააკეთოთ სრული მიბრუნება, ე. ი. ცხენის წინა-
 თი აღწეროთ წრის $\frac{1}{2}$, მოძრაობის შეუჩერებლივ,
 ვიდრე ცხენი არ დადგება წინა მიმართულებაზე
 თავით მეორე მხრისკენ (ნახ. 13).

წრის მეორე $\frac{1}{4}$ შესრულებისას საჭიროა ცო-
 ტათი შესუსტდეს ტოტების მოქმედება და წვივე-
 ბით უნდა ყური ვადევნოთ, რომ ცხენმა უკან არ
 დაიხიოს.

უკუდაწევა.

83. უკუდაწევა ცხენის უკან მოძრაობაა პირ-
 ლაპირი ხაზით, რომლის დროსაც იგი წინა ფეხებს
 ადგამს უკანა ფეხების კვალზე. ფეხების მოძრაობის
 წესი აქ ჯვარედინია, როგორც ჩორთზე.

84. უკან დაწევა ყოველთვის ნაბიჯზე ხდება.
 ცხენი უნდა იწევდეს უკან სწორ, აუჩქარებლივ
 ნაბიჯით, რომლის დროსაც თავის და კისერის სწო-
 რი პირლაპირი ჭერა აქვს და მოჰქმენავს უკანა ფე-
 ხებს.

უკან დაწევა იწყება წინა ფეხებით. ამ გარე-
 მოების გამო წინა ფეხები მიუახლოვდება უკანებს,
 რომელნიც მოიღუნებიან და დაიდგნობენ სხეულის

მთელს სიმძიმეს. თუ ცხენი უკანა ფეხებით იწყებს მოძრაობას, მაშინ იგი პირველ ნაბიჯთანავე დაჰკარგავს მოკრეფილებას, რაიც საფუძველია ყოველგვარ მოძრაობისა, და გაიჭიმება.

85. უკან დაწევისთვის წარმოიოქმება განკარგულება: **სწორდი უკან — შპ.** უკანასკნელ განკარგულების შემდეგ, ცოტა მოეშვება წვივები, მოიწევა ტოტები სწორად და, სხეულის ცოტა გადაზნექით უკან, თანაბარათ უნდა დააწევინოთ ცხენს ნაბიჯნაბიჯ; ამ დროს თანდათან ეფონება საღავე და წვივებით ყური ეგდება, რომ უკანას არ იგდებდეს აქეთ-იქით.

როცა ცნენი 3-4 ნაბიჯს დაიხევს, უნდა შესუსტდეს მოქმედება ტოტებით და წვივებით და ცხენი უნდა შეყენდეს. შემდეგ კვლავ დაახევინებთ 3-4 ნაბიჯს და ასე გაგრძელებით, ვიდრე განკარგულება **სღემ — ამდის**, რომლის შემდეგაც სრულიად შეყენდება ცხენი. უკან დაწევა (უკან დახევა) არ უნდა ხდებოდეს 6-10 ნაბიჯზე მეტი მანძილით.

86. მოძრაობისას უკან დაწევისთვის ჯერ შეყენდება ცხენი და შემდეგ შესრულდება ყველაფერი ის, რაც ნათქვამია აღვილას უკან დახევისთვის (უკან დეწევისთვის) უკან დახევის გათავების შემდეგ მოძრაობა გრძელდება წინანდელ ალიურით, განკარგულების შემდეგ: **პირდაპირ.**

გვერდ-გვერდი მოძრაობა.

87. გვერდ-გრერდ მოძრაობისას (მიწევ-მოწევა), მიწევის მხრისკენ შეკრეფილი ცხენი მიღის გარეთა ფეხების გადატანით შიგნითებზე და იწევს უფრო წინ, ვიღრე გვერდისკენ; ამასთან წინა მიღის ერთ ხაზზე (კვალზე), უკანა სურ, სხვა ხაზზე, მასთან პარალელზე.

გვერდ-გვერდი მოძრაობა ყოველთვის შემოკლებულ ჩორთით ხდება ხოლმე.

88. ყველაზე უფრო მეტად გვერდ-გვერდ მოძრაობისთვის არის საჭირო მიმართოთ ცხენის უკანი წვივებით, წინანი კიდევ ტოტებით. წვივების, წარგზავნის რა ცხენს წინ ტოტებზე და სტოვებს რა ცხენს შეკრეფილად, იმავე დროს მის უკანას მისწევს გვერდზე, ტოტებმა კიდევ, უჩვენებს რა ცხენს მოძრაობის მიმართულებას, არ უნდა შეაჩერონ ცხენის მოძრაობა წინისკენ.

89. მიწევ-მოწევის დროს შიგნითა წვივი ცხენს სდრეკს გვერდში, გარეთა უკანანს აგზავნის გვერდზე, ორთავე წვივების მოქმედება კიდევ წარგზავნის ცხენს წინ ტოტებზე და აიძულებს იაროს ორ კვალად: შიგნითა ტოტი შეანარჩუნებს შეკრეფას (ამართვას), გარეთა — მაკმართავს წინას.

ორკვალად მოძრაობის მოსასპობათ უნდა შესუსტდეს შიგნითა ტოტის და გარეთა წვივის მო-

ქმედება, ორთავე წვივების თანაბარ დაჭირებით კიდევ ცხენის უკანა დაყენდება წინანის კვ ლზე.

თუ მიწევ-მოწევის დროს ცხენი უკანანით ჩქარობს, მაშინ იგი უნდა შეკავდეს შიგნითა წვივით; თუ წინანათი ჩქარობს – გარეთა ტოტით. თუ ცხენი მიიწევს გვერდისკენ მეტად მოკლედ, მაშინ იგი წარიგზავნება წინ წვივებით; თუ მეტად წინ უსწრობს, მაშინ შეკავდება ტოტებით.

90. გვერდ გვერდ მოძრაობაზე მხედარმა სხეული უნდა გადაზნიქოს მოძრაობის მხრისკენ და მით უნდა ადევნოს ყური ცხენის მოძრაობას, რომ მთელი ხნის განმავლობაში დაცული იყოს წონასწორობა. მხრები სწორედ იჭირება, ამასთან შიგნითა მხარი მხედრისა არ უნდა წამოიწეოდეს წინ.

91. მანეჟის გადაჭრით მიწევ-მოწევისთვის: წარმოითქმება განკარგულება მიიწი მარჯვნივ (მარცხნივ) მანეჟის გადაჭრით წე; კედლის გასწვრივ მიწევისთვის — მიიწი მარჯვნივ (მარცხნივ) — წე.

კედლის გასწრივ მიწევისას ცხენი შეიძლება თავით კედლისკენ იყოს ან მანეჟის გულისკენ.

92. მანეჟის გადაჭრით მიწევისთვის ასასრულებელ განკარგულების შემდეგ ცხენი უნდა მოიკრიფოს მიწევის მხრისკენ, დაყენდეს ნახევრად მიბრუნებით იმავე მხრისკენ და უნდა წარიგზავნოს წინ

ორთავე წვივებით ახალ მიშართულებისკენ. 3 ნაბიჯის გავლის შემდეგ, აღმართვის და წინ წარგზავნის შენახვით ტოტებზე და გარეთა წვივის გაძლიერებით, უნდა აიძულოთ უკანამ იაროს წინას კვალით კი არა, არამედ კვალით მასთან პარალელით (ნახ. 14).

მიწევ-მოწევა შეჩერდება, როდესაც მხედარი მიახწევს პირდაპირ კედელს ან როდესაც იგანკარგულება პირდაპირ. ორთავე შემთხვევაში უნდა შესუსტდეს შიგნითა ტოტის და გარეთა წვივის მოქმედება და ორთავე წვივების თანაბარ დაჭირებით უნდა შეაგდოთ უკანა წინას კვალზე, ამასთან წარგზანოთ ცხენი წინ.

93. მარჯვნივ ცხენოსნობის დროს განკარგულებით: **მიიწი მარცხნივ — წ. ცხენის წინა უნდა მიიწიოს კედლიდგან ერთს ნაბიჯზე, მოეცეს აღმართვა მარცხნივ და წინა წაიყვანოთ მანეჟის უუმოკლეს ხაზით, ამასთანავე მარჯვენა წვივით უკანა შეკავდება კედელთან და ორთავე წვივების მოქმედებით წინა წაიყვანება კედლის გასწვრივ ორ კვალად (მუხ. 89).**

კუთხის გავლის დროს ცხენის წინა შეკავდება, უკანა შემოტარდება მის ირგვლივ დიდ რკალზე (დუგა-ზე). ამისათვის ტოტებით შემოკლდება მო-

ძრაობა წინასი, აღმართვის შენახვით მარცხნივ, მარჯვენა წვივით ცხენის უკანა შემოავლეთ წრის ხაზზე, საწინააღმდეგო წვივის შეჩერებით, როცა უკანა გასცდება კუთხეს და კვლავ კედელთან და-დგება, ორთავე წვივები წარგზავნის ცხენს ტოტზე და მიწევა გრძელდება განკარგულება პირდა-პირ-ამდის, რომლის შემდეგაც გარეთა (მარჯვენა) ტოტით წინა დაყენდება კედელთან და ცხენი წაიყვა-ნება სწორი აღმართვით (მუხ. 89).

94. მარჯვნივ ცხენოსნობისას განკარგულე-ბით: მიიწი მარჯვნივ — შპ მარცხენა წვივით უნდა გადიწიოს ცხენის უკანა ერთს ნაბიჯზე მანეჟის გულისკენ, შეიკრიფება ცხენი მარჯვნივ, ტოტებით წინა წაიყვანება კედელ-კედელ და ორთავე წვივე-ბით ცხენი წაიყვანება ორ კვალად, ვხელმძღვანე-ლობთ რა 89 მუხლით.

კუთხის გავლისთვის წვივებით უნდა შეყენდეს უკანას მოძრაობა, შეკრეფა შეინარჩუნება შიგნითა ტოტით და გარეთათი დაწვება რა ცხენის კისერს, წინა შემოევლება უკანას ირგვლივ. წინა როგორც კი გავა ახალ მიმართულებაზე, ცხენი ორთავე წვი-ვით იგზავნება ტოტზე, და მიწევა გაგრძელდება განკარგულება პირდაპირ-ამდე, რომლის შემდე-

გაც შიგნითა წვივით (შენკელათ) უკანა ყენდება კედელთან და წაიყვანება იგზ პირდაპირი აღმართვით.-

95. მე-93 და 94 მუხლებში ნათქვამის თანა ხმად ხდება მარცხნივ ცხენოსნობის დროს მიწევა მარჯვნივ და მიწევა მარცხნივ,

თ ა ვ ი II.

ცვლით ცხენოსნობა

96. ერთად სწავლებისთვის, რამოდენიმე თავ- მოყრილი მხედარი, შეადგენენ ცვლას.

სწავლების წარმატებისთვის, შეძლებისადაგვა- რად, ცვლაშიარუნდა შედიოდეს 15 მხედარზე მეტი, რაღანაც უამისოთ თვალყურის დევნება საძნელო ხდება.

შენიშვნა. ამ დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ცხენოსნობის სწავლების მიზანია მივიღოთ გაბედუ- ლი და მომქმედი მხედარი; ცვლით სწავლება კი როგორც ცხენებს, ისე კაცებს აჩვევს ნახირულ პასივურ შესრულებას წინას მიხედვით. ამიტომ რამ- დენადაც კი შეიძლება ხშირად უნდა იყოს ხოლმე სწავლება განცალკევებით, ამავე დროს ყური უნ- და ეგდოს და დარიგებები ეძლიოს სათითაოდ მხედ- რებს, ცვლით ცხენოსნობის დროს კიდევ მაღ-

მალ უნდა იცვალოს მეთაური მხედარი, რაღანაც
იმათ უხდებათ უფრო მომქმედათ (აქტივობით) ცხე-
ნოსნობა, და თვით ცხენოსნობაც რამდენადაც
კი შეიძლება უნდა სხვადასხვაფერდეს, რისთვისაც
უნდა გამოვიყენოთ: სხვადასხვა ნომრების სხვადა-
სხვა ალიურით ცხენოსნობა, ცვლის ნაწილებით
ცხენოსნობა სხვადასხვა მიმართულებით, რიგებით
ან სამობით ცხენოსნობა, ვოლტები თანდათან მე-
თაურ ნომერზე ან სხვადასხვა ნომრებით და სხ.

97. შეჯდომის წინ მხედრები აყენებენ ცხე-
ნებს მწკრივად, ერთმანეთის გვერდზე, არა ვიწროდ,
უზანგი უზანგთან, თვითონ კიდევ დგებიან, როგორც
ნაჩვენებია 1 მუხ.

ცვლის ასეთი მოწყობის წესს ჰქვიან დაჯრი-
ლი (მოჯრილი), თუ ცხენებს აყენებენ ერთი მეო-
რესაგან რამოდენიმე მანძილზე (2, 3, 4, და 16
ნაბიჯზე—როგორც განკარგულება იქნება), მაშინ
ასეთი წესს ეწოდება გაჯრილი.

98. ცვლის გასწორებისთვის წარმოითქმება:
სწორდი: ამა განკარგულების შემდეგ მხედრები
დგებიან ცხენების წინ, პირით მათკენ და, გასწორ-
დებიან რა თვითონ ფრთისკენ ან შუაზე, რო-
გორც ნაგანკარგულევი იქნება (თუ სწორება გან-
კარგულებით აღნიშნული არ არის, მაშინ მარჯ-

ვენა ფრთაზე), ამწკრივებენ ცხენებს ისე, რომ მათი თავები და წინა ფეხები ერთს ხაზზე იყოს.

მხედრებს ცხენები ორთავე ხელებით უჭირავთ: მარჯვენით აღვირის მარცხენა, მარცხენით—მარჯვენა ტოტები, აღვირის რკინილგან ერთს ჩარექჩე, მარცხენა ხელილგან ტოტების წვერების გაუშვებლივ და ცხენებისთვის ნება მიუცემლად თავები ჩაქინდრონ.

ამ დროს ხელები უნდა ერთს სიმაღლეზე იყოს, ნიღაყვები კიდევ სხეულს არ მიკრობილი.

განკარგულებით **სხენა** შემდეგ მხედარი თავის აღგილას დგება (მუხ. 1) ამის შემდეგ ხდება გათვლა ცხენებზე შესაჯდომათ და ჩამოსახდომათ.

99. ცხენებზე შესაჯდომათ და ჩამოსახდომათ დაჯრილი ცვლა გაითვლება ორ-ორად, რისოვისაც წარმოითქმება განკარგულება: ორ-ორად **გაითვალება.**

საწინაშო განკარგულების შემდეგ მოელი ცვლა მიიბრუნებს თავს მარჯვნივ, მარჯვენა ფრთისა—მარცხნივ; ასასრულებელ განკარგულების შემდეგ იგი იტყვის მოწყვეტით: **პირველი** და თავს სწორედ იჭერს; მარჯვენა ფრთილგან მეორე ნომერი მიიბრუნებს თავს მესამისკენ და იტყვის: **მეორე,** რის შემდეგაც თავს ისევ სწორედ იჭვრს; მესამე

წარმოსთქვამს, როგორც მარჯვენა ფრთის კაცი;
პირველი და ასე ქვემოთ.

100. განკარგულება **შეჯე**—ს შემდეგ ყველა
პირველ ნომრებს გაჰყავთ ცხენები 4 ნაბიჯით წინ,
მარჯვენა ფრთისა—6 ნაბიჯზე, შეჩერდებიან და ცვ-
ლის ყველა მხედრები ერთად სხდებიან ცხენებზე,
გადაჰქინდავენ რა მარჯვენა ფრთის კაცს.

101. განკარგულებით **სწორდი** მეორე ნომ-
რები შედიან პირველ ნომრებს შეა ხაზებში, მარ-
ჯვენა ფრთის კაცი კიღევ დასწევს უკან, პირველი
ნომრების ხაზზე, ყველანი მიიტრიალებენ თავებს
მარჯვნივ და ცვლა ისე სწორდება, რომ ყოველმა
მხედარმა დაინახოს მესამე მხედრის მკერდი, სადაც
თვითონ პირველად ითვლება, და გასწორების
ფრთისკენ ჰგრძნობდეს უზანგს მსუბუქად.

განკარგულება **სმენა** შემდეგ მხედრები თავს
სწორედ იჭერენ.

102. ცვლით ჩამოხდომა ზემოხსენებულთან
შეფარდებით ხდება განკარგულებებითა: **ჩამოხი,**
სწორდი, **სმენა.**

103. გაჯრილ ცვლაში მხედრები ჩამოხდებიან
და შეჯდებიან ყოველივე თავთავის აღგილას.

104. ცვლის მარჯვნიდგან გამოსაჭიმად თითო-
ობლივ, წარმოითქმება განკარგულება: მარჯვნიდ-

გან თითოობლივ, ამდენ და ამდენ ცხენზე, ალი-
ური— წპ.

უკანასკნელ განკარგულების შემდეგ პირველი
ნომერი გამოდის თავის პირდაპირ აღნიშნულ ალი-
ურით; მეორე და მესამე ნომრები, როდესაც ნა-
ჩვენები მანძილი გაუნთავისუფლდებათ, გამოდიან
ნახევრად მიბრუნებით პირველის კისერში; დანარ-
ჩენი • ნომრები, თან და თან, როგორც კი
გაუნთავისუფლდებათ მანძილი, მიბრუნდებიან
მარჯვნივ, მიღიან იმ აღვილას, სადაც პირ-
ველი ნომერი იყო, მიტრიალდებიან მარცხნივ და
მისდევენ მის კვალს.

გამოჭიმვა ცვლისა მარცხნიდგან იმავე წესით
სრულდება, მხოლოდ წინაუკმოდ.

მივა რა კედლამდი, მეთაური ნომერი, ოუ გან-
კარგულებით არ არის ნაჩვენები, მოტრიალდება:
ცვლის მარჯვნიდგან გამოჭიმვის დროს— მარჯვნივ;
მარცხნიდგან გამოჭიმვის დროს— მარცხნივ.

შენიშვნა. მანძილი (ზღვარ.) ჰქვიან სივრცეს
წინა ცხენის კუდიდგან მის მიმდევარ ცხენს თავამდე.

105. ცვლის გამოჭიმვის დროსი რომ ყოვე-
ლი ნომერი გამოვიდეს თავის პირდაპირ, წარმო-

ითქმება განკარგულება: მარჯვნიდგან (მარცხნიდგან) თითოობლივ, აშენ და ამდენ ცხენზე, თავის ადგილის პირდაპირ, ალიური—წა.

უკანასკნელ განკარგულების შემდეგ ყოველი მხედარი, მანძილის განთავისუფლებისთანავე, თანდათან გამოდიან დანიშნულ ალიურით თავის პირდაპირ კედლამდე და მიტრიალდება, როგორც წინა მუხლშია ნათქვამი.

106. როცა ცხენოსნობა შინჯვის წესით ხდება, მაშინ მხედარნი პირველ გავლის დროს, უფროსთან ვ ნაბიჯის სიშორეზე, უნდა უყურებდენ მას, რისთვისაც თანდათან მიატრიალებენ თავებს მისკენ. გასცილდებიან რა უფროსს, მხედრები თავს სწორედ იჭერენ და შემდეგ მთელი ცხენოსნობის განმავლობაში თავს აღარ იბრუნებენ უფროსისკენ.

107. ცვლით ცხენოსნობის დროს უნდა დაცულ იქმნას ალიური და ნაჩვენებ მანძილები სისწორე.

108. ცვლისთვის მიცემული განკარგულება მხედრების მიერ სრულდება ერთ დროს ასასრულებელ განკარგულების შემდეგ, მასთან მხედრები შეეხაბიან წინა მხედრებს.

109. ცვლით ცხენოსნობის დროს იგივე განკარგულებები მიიცემა, რაიც სათითაო ცხენოსნო-

ბის დროს, მხოლოდ შესაჩერებლად განკარგულება სდექ წინ უნდა ითქვას ცვლა.

110. მიმართულების შეცვლა და მარჯვენა ან მარცხენა მხარი წინ სრულდება ყოველთვის მეთაურ ნომერზე, აგრეთვე სრულდება მარჯვნივ და მარცხნივ უკან და გვერდის მოძრაობები, თუ წინასწარად წარმოთქმულია განკარგულება მეთაურ ნომერზე.

ყველა ამ შემთხვევებში ასრულებას ახდენენ მხედარნი თანდათან და იმავ აღგილას, სადაც იწყო შესრულება მეთაურმა ნომერმა.

111. ვოლტზე ყოველი მხედარი სწორდება წინ მიმავლის მხრივ, ე. ი. მარჯვნივ ვოლტის დროს ვოლტის პირველი ნახევარი სწორდება მარცხნივ, მეორე—მარჯვნივ; მარცხნივ ვოლტის დროს კიდევ—წინაუკმო.

112. მარჯვნივ ცხენოსნობის დროს ცვლის ყოველი მხედარი, ასრულებს რა მარჯვნივ ან მარცხნივ უკან, სწორდება მარცხნივ; მარცხნივ ცხენოსნობის დროს, აკეთებს რა მარცხნივ ან მარჯვნივ უკან, სწორდება მარჯვნივ.

113. ცვლის მისაჯრელად, რომელიც მანძილზე მიღიოდა, გაიცემა განკარგულება: დაიჯერ (მი-იჯერ) კუდზე—შპ.

უკანასკნელ განკარგულების შემდეგ მეთაური მხედარი მიღის იმავე ალიურით, სხვები გაორკეცებულ ალიურით დაიჯრებიან ერთს ნაბიჯზე.

დაჯრა (მიჯრა) შეიძლება მოხდეს მეთაურ ნომრის ალიურის შემოკლებით ან შის შეჩერებით. მაგ. ჩორთილგან განკარგულებით: მეთაურო ნომერო—**ნაბიჯით, კულტე დაიჯრი,** მეთაური გადაღის ნაბიჯზე, დანარჩენნი ჩორთით იჯრებიან და შემდეგ თანდათან გადაღიან ნაბიჯზე.

114. კულტე დაჯრილი ცვლის გაჯრისთვის წარმოითქმება განკარგულება: მეთაურ (უკანასკნელ) ნომერზე, თითოობლივ, ამდენ და ამდენ ცხენზე, ალიური—**შპ.**

განკარგულება **შპ** შემდეგ მეთაური (უკანასკნელი) ნომერი მიღის, თუ ალიური ნაჩვენები არ არის: მოძრაობის დროს—გაორკეცებულ ალიურით, აღვილილგან—ნაბიჯით; დანარჩენები, განკარგულებით ნაჩვენებ წესზე, მანძილის განთავისუფლების მიხედვით, მისდევენ მას იმავე ალიურით.

115. განკარგულება თავთავად—**შპ** ცვლის ყველა მხედრები მიღიან გათავთავებულნი და ცხენოსნობენ როგორიც უნდათ იმ მიმართულებით და იმ ალიურით, რომლითაც ცვლა მიღიოდა.

მხედრები შეხვედრისას აუვლიან ერთმანეთს
თავიანთ მარჯვენა მკლავის მხრივ.

116. განკარგულება თავთავად — შპ, ცხენოს-
ნობით მარჯვნივ (მარცხნივ) მხედრები მიღიან და
ცხენოსნობენ ნაჩვენებ მიზართულებით უმანძილოთ
იმ ალიურით, რომლითაც ცვლა მიღიოდა.

117. თუ მხედრებს ნაბრძანები ექნებათ იცხე-
ნოსნონ თავთავად, როგორიც უნდა მიმართულებით
და მათ შეხედულების თანახმა ალიურით, მაშინ
შეჩერება და ნაბიჯით ცხენოსნობა შეიძლება მხო-
ლოდ მანეჯის გულში, და არა მის კედლებთან,
რათა ადგილი დაუთმოთ დანარჩენებს სხვა ალიუ-
რით მოცხენოსნეთ.

118. თავთავად მოცხენოსნე ცვლა, რომ გა-
მოიჭიმოს თითობლივ, წარმოითქმება განკარგულე-
ბა: მარჯვნიდგან (მარცხნიდგან) თითოობლივ,
ამდენ და ამდენ ცხენზე, ცხენოსნობა მარჯვნივ
(მარცხნივ), ალიური — შპ.

ამ განკარგულების შემდეგ პირველი ან უკა-
ნაკნელი ნომერი მიღის კედლის გასწვრივ, აიღებს
რა მარჯვენა მკლავს თვის ადგილის აღსანიშნავად,
ვიღრე არ დაიწყება მოწყობა, დანარჩენები უმოკ-
ლეს გზით გამოიჭიმებიან თითოობლივ წინანდელ
წესით, დანიშნულ ალიურით.

119. მარჯვნიდგან (მარცხნიდგან) თითოობლივ გაჭიმულ ცვლის მოსაწყობად მანეუის ომელიმე კედლის გასწვრივ, წარმოითქმება განკარგულება: მეთაურო ნომერო მარცხენა (მარჯვენა) მხარი წინ, ცვლა, მოეწყე მარცხენივ (მარჯვნივ) წა.

უკანასკნელ გაკარგულების შემდეგ მეთაური ნომერი მიტრიალდება ნაჩვენებ მხრისკენ და, წაიწევს რა სამ ცხენზე წინ, შესდგება; დანარჩენნი გააგრძელებენ მოძრაობას კედლის გასწვრივ და მიტრიალდებიან დაჯრილ ცვლაში მათვის დანიშნულ ადგილების პირდაპირ, ამასიან ყოველი მხედარი, მიუახლოვდება რა წინ მავალის კუდს, ნახევრად შეკავებას აკეთებს და თანაბრად გადის თავის ადგილზე, თან სწორდება მეთაურ ნომრის მხრისკენ.

120. ამავე წესით მოეწყობა ცვლა გაჯრილად, მაგრამ განკარგულებას მოეწყე მარჯვნივ (მარცხნივ) ემატება: გაჯრილად, ამდენ და ამდენ ნაბიჯზე.

121. მარჯვნივ (მარცხნივ) თითოობლივ გამოჭიმულ ცვლის მოწყობისთვის, მოძრაობის მიმართულებისკენ შეჩერებით, წარმოითქმება: მეთაურო ნომერო, სდეჭ, ცვლა მოღვაწე მარცხენივ (მარჯვენივ).

განკარგულება **სლექ** შემდეგ მეთაური ნომერი
შეჩერდება, დანარჩენები, განკარგულებით **ცვლა**,
მომზადება მარჯვენი (მარცხენი), გააგრძელებენ
რა მოძრაობას წინანდელ ალიურით, მოტრიალდე-
ბიან $\frac{1}{2}$ ნაგანკარგულევ მხრისკენ და აკეთებენ $\frac{1}{2}$
მიტრიალებას იმ ადგილებით პირდაპირ, რომლებიც
მათ უნდა დაიჭირონ მოწყობილ ცვლაში, ამის შემ-
დეგ შედიან თავთავიან ადგილებზე, როგორც ეს
ნაჩვენებია 119 მუხლში.

122. მოძრაობის დროს ცვლის მოწყობის-
თვის, წარმოითქმება განკარგულება: **ცვლა მოეწ-
უ მარცხენი** (მარჯვენი) — **წვ.**

უკანასკნელ განკარგულების შემდეგ მეთაური ნო-
მერი გააგრძელებს მოძრაობას წინანდელ ალიურით,
დანარჩენი მოიქცევიან წინა მუხლში ნაჩვენების თა-
ნახმად, დანარჩენები ამ დროს აორკეცებენ ალიურს,
მაგრამ, მიახლოვდება რა ცხენის კუდს წინამავალი-
სას, ყოველი მხედარი ნახევრად შეკავებას აკეთებს,
თანაბრად გადადის წინა ალიურზე და შედის თავის
ადგილზე, სწორდებიან მეთაურ ნომრის მხრივ.

123. მხედრების მოსამზადებლად დაჭრილ
წყობილებისთვის საჭიროა ცხენოსნობის დროს ხან-
დისხან გაკეთდეს სწავლება მოწყობილ ცვლით
(მწკრივით), გაითვლება იგი სამ სამად, და სწარ-

მომბს მოძრაობა და გადაწყობა თანახმად ჩვენებისა, რომელებიც მწყობრისთვის არის აღნიშნული (ნ. II სამხ. წყობ. წესდ.).

თავი III.

გადახტომა დაბრკოლებებზე.

124. დაბრკოლებებზე გადასახტომად ჩვეულებრივ გამოიყენება ნავარდი. დაბრკოლებებისკენ, სადაც საჭიროა სიმაღლეზე გადახტომა, ცხენი ცოტა მოკლედ უნდა წაიყვანებოდეს, სიგანეზე ხტუნვისთვის—უფრო თავისუფალ ალიურით.

125. დაბრკოლებასთან ცხენი მიიყვანება პირდაპირი მიმართულებით.

ლრმა ჯდომით და უზანგებში ფეხებ ლრმად გაყრით საჭიროა ცხენს გამუღმებით თვალყური ედევნოს, და მზათ იყვნეთ მიჰმართოთ იგი ტოტებით და წვივებით ისე, რომ არ შემოუაროს დაბრკოლებას ან არ გაიგდოს თავი.

თუ ცხენი დაბრკოლების წინ შეფერხდება, მაშინ წვივების გაძლიერებულ მოქმედებით, თუ საჭიროა დეზებითაც, უნდა აიძულოთ იგი წავიდეს დაბრკოლებაზე.

126. რამოდენიმე ნაბიჯით წინ, დაბრკოლების რაოდენობის და ალიურის მიხედვით, საჭიროა ხელები ცოტათი ძირს და წინ წაიწიოს, ტოტები რამოდენადმე მიეშვას, რომ სრული თავისუფლება შეიცეს ცხენის თავს და კისერს.

127. ხტომის დროს უნდა გაძლიერდეს შლიუსი, დინჯად ჯდომის და ხტომის ყოველ მომენტში სხეულის ისარივით მდგომარეობის შენახვით; არამც და არამც ცხენს არ უნდა უშალოთ რაიმე ჩვენებით. წელის სისუმბუქის შენახვით, დაბრკოლებებზე არ უნდა მოშორდეთ უნაგირს, რომ გადახტომის შემდეგ აშოროთ ბიძგი ცხენის ზურგს; არ უნდა აღგეთ აგრეთვე უზანგრებზე და უნდა დაიკავოთ თავი წვივებით (შენკელებით).

128. როცა ცხენმა შეასრულა ხტომა, საჭიროა ფრთხილად და თანაბრად დაიჭიროთ კვლავ ალვირით, საჭირო არ არის ხელების აწევა ან ტუქსვა, ამის შემდეგ გრძელდება მოძრაობა იმავე ალიურით, როგორითაც მოვიდა დაბრკოლებამდე.

129. არხზე ცხენი უფრო ცქვიტი ალიურით უნდა მიიყვანებოდეს; თუ არხი მცირეა (დაახ. 2 არშ.) ან ნაკლებად შესამჩნევია, მაშინ უნდა ნაკლები სიარულით მიიყვანოთ, რომ ცხენმა მოასწროს დათვალიერება.

180. გადახტომაში ვარჯიშობისთვის უნდა ვი-
ქონიოთ შემდეგი დაბრკოლებები, რომლებიც არ
უნდა გადიზნიქ-გადმოიზნიქებოდეს:

- ა) ობებები (ნახ. 15) სიმაღლით $1\frac{1}{4}$ არშ.
- ბ) წნელის ბარიერი (ნახ. 16).
- გ) ქვის კედელი (ნახ. 17), სიმაღლით $1\frac{1}{4}$ არშ.
- დ) არხი ღია მანეუზე (ნახ. 18).
- ე) თხრილი ღია მანეუზე (ნახ. 19)

შენიშვნა. ამ მუხლში დაბრკოლებათა მხო-
ლოდ ტიპებია ნაჩვენები. საჭიროა მათი გამრავალ-
ფერობა, მოხსენებულ სიმაღლეების დაცვით და-
უნდა იდგმებოდეს ესენი სხვა და სხვა შეფარდე-
ბით, ერთი მეორის შემდეგ.

თავი IV.

საველე ცხენოსნობა.

131. მიღამოზე ცხენოსნობას (გზებით და უგ-
ზოთ) ეწოდება საველე ცხენოსნობა.

საველე ცხენოსნობით მრავალ გვარ უსწორ-
მასწორ მიღამოებზე მხედრები სრულიად იწვრონე-
ბიან ცხენის მოხმარებაში, ამიტომ ამით უნდა და-
გვირგვინდეს პირველდაწყებითი სწავლება ცხენოს-
ნობისა, ამიტომ მით უნდა მეცადინეობდნენ ყველა



მხედარი შემდეგ წლებშიაც. მინდორში ცხენოსნობა უმთავრესად თავთავად უნდა ხდებოდეს, ყური უნდა ეგდოს, რომ ყოველი მხედარი მოძრაობდეს და გადალახოს დაბრკოლებები სხვასთან დამოუკიდებლად.

ამას გარდა, სასარგებლოა მწკრივები და მწყობრები სხვადასხვა წყობილებში, სხვადასხვა ხანებით და მანძილებით მხედრებსა და რიგებს შუა, იტარებოდეს აფიცირის ან ნაცვლის მიდევნებით, რათა კაცები მიეჩივნენ, მიუხედავად ცხენოსნობისთვის ძნელ მიღამოსი, ყურადღებას უფროსის ნიშნების ან განკარგულების მიმართ.

132. მინდორში ცხენები ყველა ალიურის დროს იტარება თავისუფალ, მაგრამ არ მთლად მიშვებულ ტოტებზე.

133. შოსეზე და საერთოდ მაგარი გზით სიარულის დროს მომეტებულად ნარბილით უნდა იმგზავრონ.

134. უგზოთ, მძიმე უსწორ-მასწორ ადგილებზე მგზავრობის დროს სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ ცხენი, ბუნებრივ ალღოს წყალობით, ხშირად თვით ირჩევს ძნელ ადგილების გავლის წესს, ამიტომ არ უნდა შეუშალოთ ცხენს ამ ალღოს მოხმარება.

135. დიდ თავდალმართებში სხეული უკან უნდა გადიწიოს, მუხლები მოეჭიროს და სადავე (ტოტები) იმდენად მიეშვას, რომ ცხენს შეეძლოს კისრის გაჭიმვა; დიდ აღმართებში, მიუმდებთ რა ტოტებს, უნდა წაავლოთ ხელი ფაფარს ქედთან (ქე-ჩისთან) ახლო, სხეული წინ წაიწიოთ და დაადგეთ უზანგებზე. ამასთან უნდა გაურბოდეთ აღმართ-დაღმართის დროს ატაროთ ცხენი ცერად.

136. ხნულებში, კოპიჭნარზე, ჯაგნარით და-ფარულ ადგილებზე და საერთოდ ძაან უსწორ-მას-წორ ნიადაგზე ცხენოსნობის დროს არ უნდა მივ-მართავდეთ გაძლიერებულ ალიურებს.

137. სველ ადგილებზე ცხენოსნობის დროს, ამოარჩევთ რა უფრო მოხერხებულ გზას, ცხენი უმთავრესად ნაბიჯით წაიყვანება.

ამასთან უნდა ჩასჭიდოთ ფაფარში, აიწიოთ უზანგებზე და სხეული წინ წაიწიოთ; თუ ცხენი ჩაფლობას დაიწყებს, უნდა ჩამოხტეთ და ცხენი სა-დავეზე წაიყვანოთ.

ყინვებში და მოლიბულ ნიადაგზე ცხენოსნო-ბის დროს საჭიროა განსაკუთრებითი ყურადღებით ატაროთ ცხენი, მასთან უნდა გაურბოდეთ მოკლე და მძლავრ მიტრიალება-მოტრიალებას.

138. ცხენის შენახვის მიზნით უმნიშვნელო დაბრკოლებანი უნდა გადილახებოდეს, სადაც შესაძლოა, გადაუხტუნებლივ; რუკები და ოხრილები უნდა პირდაპირ გადიჭრებოდნენ და არა ცერად.

139. დიდ მანძილზე ცხენოსნობისას, ცხენის შენახვის მიზნით, როდესაც დასახული მიზანი ამის ნებას იძლევა, საჭიროა შემდეგის დაცვა:

ა) ადგილიდგან უნდა გაიაროთ ნაბიჯით არა ნაკლებ ერთი ვერსისა.

ბ) უნდა იაროთ ცვალებად ალიურებით, ამისათვის თავის დროზე უნდა სცვლიდეს ერთი ალიური მეორეს.

გ) აკეთოთ დასვენებები: პატარა — 10, წუთამდე პირველ ნახევარ საათის მოძრაობის შემდეგ; შესამჩნევ გადასვლების დროს (მანძილით ან სიძნელის მიხედვით), დიდი — როცა მანძილის ნახევარზე მეტია გავლილი, დაახლოვებით 3 საათით. ყოველ საათის მოძრაობის შემდეგ სასარგებლოა ჩამოხდეთ და ერთი ვერსი სადაცით.

როგორც დიდ დასვენების, ისე გადასვლის გათვების წინ, საჭიროა ერთი ვერსი ნაბიჯით და ერთი ვერსი სადაცით გაიაროთ. გაატაროთ.

140. საათში 8 ვერსის სისწრაფით მოძრაობისთვის, დასვენების ჩაუთვლელად, ალიურები უნდა

იცვლებოდეს ასე: 10 წუთით ნაბიჯით (ვერსი), 5 წუთი ჩორთით (ვერსი), 10 წუთი ნაბიჯით, 5 წუთი ჩორთით და სხვ.

საათში 9 ვერსის სისწრაფით მოძრაობისთვის: 10 წუთი ნაბიჯით (ვერსი), 10 წუთი ჩორთით (2 ვერსი), 10 წუთი ნაბიჯით, 10 წუთი ჩორთით და სხ.

საათში 10 ვერსის სისწრაფით მოძრაობისთვის: 5 წუთი ნაბიჯით ($1/2$ ვერსი), 10 წუთი ჩორთით (2 ვერსი), 5 წუთი ნაბიჯით, 10 წუთი ჩორთით და სხვა.

თ ა ვ ი V.

ცხენთან ერთად ცურვა.

141. უნაგირიანათ გადაცურვის დროს უნდა მოიხსნას ლაგამის რკინა, უზანგები აიჭიოს თასმაზე ზევით და ცოტათი მოეშოს უკანა მოსართავი.

142. ცურვით გადასვლის დროს მხედარი უნდა შევიდეს წყალში და, მიჰმართავს რა ცხენს, მიუ-შვებს ტოტებს და ჩასჭიდებს ფაფარშ, ქედიდგან ორი ხელის გულის სიგანის არა ზევით.

143. როცა ცხენი ფსკერს აღარ ებჯინება, მხედარი გადასხლტება იმ მხრისკენ, საიდანაც წყლის დენაა, და მასთან ერთად მისცურვავს.

მარჯვნიდგან დენის დროს მხედარი ფაფარს
იჭერს მარჯვენა ხელით, მარცხენათი კიდევ, ოუ
საჭიროა, პმართავს ცხენს ტოტების საშუალებით.

მარცხნიდგან დენის დროს იგი წინაუკმოდ
იქცევა::

როცა გაღმა ცხენი მოიკიდებს ფეხს მხედარი
კვლავ შეაჯდება ცხენს.

ილეთები მჭრელ იარაღით და თოვით, ლივერე-
ბის, საყვირების და ქუდების ჭერა და მისალმება.

თ ა ვ ი VI.

შიშვლება ხმლისა საომრად და მისალმებისთვის
და ჩაგება მათ ქარქაშებში.

144. საომრად ხმალი ამოილება განკარგულე-
ბით: ხმლები—საომრად.

ამ განკარგულებით ხმალი ამოილება სამ ილე-
თად, ამასთან პირველი ილეთი შესრულდება გან-
კარგულება ხმლები, დანარჩენი საომრად.

პირველი ილეთი. მარჯვენა ხელი გადაიტა-
ნება მარცხენას ზევით, მოეჭიდება ხმლის სადავეს
ხელის ტემლიაკში გაყრით, და ამოიწოდება ხმალი
ხელის გულის სიგანეზე (ნახ. 20).

მეორე ილეთი. ამოიღება ხმალი ქარქაშიდან და აიწევა წვერით ზევით, პირით კიდევ მარცხნივ ისე, რომ დავა თავზე მაღლა მოვიდეს.

მესამე ილეთი. დაიშვება ხელი ხმლით და მარჯვენა მკლავის ხელი დაედება მარცხენა ხელს.

მეოთხე და ნეკა თითები ამ შემთხვევაში შეიძლება დაიჭიროთ ვისაც როგორ ეხერხება, მაგრამ მარცხენა ხელს ჰშველიან ცხენის მართვაში, ხმალი დავით იჭირება საჩვენებელ და შუალა თითებით წინიდგან და ცერათი და უკანიდგან; ხმლის წვერი მხრიდგან არ უნდა ჩამოეშვას (ნახ. 21 და 22).

145. სალმისთვის ხმალი ამოიღება განკარგულებით: **ხშლებიჭიში-შვლე** სამ ილეთად, ამასთან პირველი ილეთი სრულდება განკარგულების შემდეგ ხმლები, დასარჩენი განკარგულება შვლე-ს შემდეგ.

პირველი და მეორე ილეთები წინა შუბლში ნაჩვენების თანახმად სრულდება, მაგრამ შინჯვაზე და პირადებზე მარჯვენა მკლავის ხელი არ გაიყრება ტემლიკში.

მესამე ილეთი. ხმალი ყუით ილება მარჯვენა მხარის ამორლმავებულში და დავის სახელური იჭირება მარჯვენას ცერათი შუალა და საჩვენებელ თითებით შემოჭდობილი; დანარჩენი ორი თითი თავისუფლად მიებჯინება ხელის გულს, მარჯვენა ხელი ჩაიშვება, ნიდაყვში ცოტათი მოღუ-

ნული და ხელის სირბილით იდება ბარძაყზე. ხმა-
ლი მხრის შუაზე ისე უნდა იყოს მიღებული, რომ
პირი არც მარჯვნივ და არც მარცხნივ არ იყოს
გადაწეული (ნახ 23 და 24).

შენიშვნა. თუ ჯ. კაცნი შეიარაღებულნი
არიან ხმლებით და შუბებით, მაშინ წარმოითქმე-
ბა განკარგულება: ხმლები იშიშვლე, შუბები
ხელში.

ამ განკარგულების შემდეგ ასრულება ხდება
ზემო აღწერილის თანახმად.

146. სიარულში, უფროსის შეხვედრის დროს,
ხმლები სასალმოდ არ ამოიღება.

147. აფიცრები, როცა ხმლები მხართან აქვთ,
უფროსის შეხვედრის და მისალმების დროს ხმალს
ასწევენ სასალმოდ განკარგულება ბბ. **ავიცრობო**
ორ ილეთად.

პირველი ილეთი, ხმალი აიშვა, ე. ი. სახე-
ლურს შემოევლება მარჯვენა ხელი, ამ ხელის ცე-
რა სახელურის გასწვრივ გვერდიდგან, შიგნითა
შტრივ მიიღება, გადაიტანება ჭხმალი საყელოსთან
ისე, რომ ხელი მოდიოდეს საყელოს სიმაღლეზე
და წინ ერთი ჩარექზე.

ხმალი იჭირება პირით მარცხნივ, წვერით
მაღლა და ცოტათი უკანა გადაღმერთილი.

გეორე ილეთი. დაეშვება ხმალი წვერით
ქვემოთ და პირით ცხენისკენ; მარჯვენა ხელი და
ხმალი ამ დროს უნდა თავისუფლად ჩაშვებული
იყოს შვეულად. (ნახ. 25).

აფიცრებმა რომ კვლავ დაიჭირონ ხმლები
მხართან, კვლავ ითქმება განკარგულება: ბბ. **აზიც-
რებო;** ამ განკარგულების შემდეგ აწერილის თა-
ნახმად შესრულდება ყველაფერი, მხოლოდ წინა-
უკმო წესით.

148. მარჯვნიდგან და მარცხნიდგან თითოობ-
ლივ გავლის დროს აფიცრები, როცა ცხენოსნო-
ბა ხმალამოლებულიანი ხდება, უფროსისაგან ვ ნა-
ბიჯზე ყოველ ალიურზე, ყველა თავისით ასწევს
ხმალს, ამისათვის განსაკუთრებულ განკარგულების
წარმოუთქმელად; გაშორდებიან რა უფროსს ვ
ნაბიჯზე, ყველა იჭერს ხმალს მხართან.

149. ხმლების ქარქასში ჩასაგებად წარმოით-
ქმება განკარგულება: **ხმლები ქარქა-სში.**

ამ განკარგულებით ხმლები ქარქასში ჩაიგება
სამ ილეთად;

პირველი ილეთი. მარჯვენა ხელით შემოიჭ-
დობა სახელური, აიწევა ხმალი წვერით ზემოთ,
პირით მარცხნივ ისე რომ დავა თავზე ზემოთ მო-
ვიდეს.

მეორე ილეთი. ამოტრიდალდება ხმალი წვე-
რით ქვემოდ, დაეშვება მარცხენა ხელისგარეთგან,
წვერი ჩაიყოფა ქარქასში (ნახ. 26) და დაიჭირება
მარჯვენა ხელი სახელის სიმაღლეზე.

მესამე ილეთი, ჩაიდება ხმალი ქარქასში და
მარჯვენა ხელი თავისუფლად ჩაეშვება ძირს ან
დაიდება იგი მარცხენა ხელზე.

თ ა ვ ი VII.

ილეთები შუბით.

150. ცხენებზე შესხდომის შემდეგ შუბები მხა-
რთან იჭირება, (მუხ. 2). ამ მდგომარეობაში შუბის
ტარის ბოლო თასმის ყულფშია ფოსოშია, შუბის ტა-
რი შპართანაა, მარჯვენა ხელი თავისუფლად ჩაშვე-
ბულია ტარის ჩასწვრავ: ოთხი ცოტათი მოღუნუ-
ლი თითო ტარს წინიდგანა აქვს დადებული, ცერა
შემოეჭდობა ხეს უკანიდან (ნახ. 27),

151. განკარგულება შუბები ხელ-ში შემ-
დეგ შუბი მარჯვენა ხელით უნდა დაიჭიროთ შე-
მოჭდობილი მარჯვენა მხართან და აღმა ხთოთ სწო-
რად, ამასთანავე ხელი ძირს დაიწევა, რომ იგი
მოვიდეს მარცხენა ხელის მუშტის სიმაღლეზე
(ნახ. 28).

შენიშვნა. შუბები ხელში აიღება სალამის მი-
საცემად და ყოველ ალიურზე ცხენოსნობის
დროს.

152. განკარგულება შუბები მხარ-თან შემ-
დეგ შარჯვენა ხელით შუბი მიიღება მხრის ამოღრ-
მავებულში, ხელი ჩაიშვება ტარის ჩასწვრივ და
დაიჭირება, როგორც ნაჩვენებია 150 მუხლში.

შენიშვნა. ადგილას და ნაბიჯზე განკარგულე-
ბების შემდეგ: **მოისამავთ და სწორდი შუბები**
იღება მართან უგანკარგულოდ.

153. განკარგულება შუბები ზურ-ბზე შემ-
დეგ შუბი უნდა მარცხენა ხელისკენ გადიზნიქოს,
ამ სულის შეშველებით; მარჯვენა ხელი გაიყრება
შუბის ტემლიაკში, გადიგდება ზურგზე და მარჯ-
ვენა ხელი დაიღება მარცხენაზე (ნახ. 29 და 30).

შენიშვნა 1. შუბები გადაგდება მხარზე ლაშ-
ქრობაში, ხელის ამოღებისას და თოფით მოქმედე-
ბის დროს.

ბენიშვნა 2. შუბის ტარზე გაკეთებული ყულ-
ფი საჭიროა ლაშქრობისას და ჩამოხდომისას ფეხ-
ზე წამოსაცმელად. უკანასკნელ შემთხვევაში, რო-
ცა მხედარს 2—3 შუბის ჭრია უხდება, იგი წა-
მოიცომს ყულფებით ფეხზე, მარჯვენა ხელს გა-
უყრის ტემლიაკებში და გადიყრის ზურგზე.

154. როცა შუბები ხელშია, მაშინ განკარგულება შუბები გვერდ-თან შემდეგ ხელი უნდა გადიტანო ტარზე ზემოთ მის შუაგულამდე აიწევა ზემოთ, წაზნიქება წინ და ცოტათი მარცხნივ და დაიდება ხელი ბარძაყზე ფერდის ქვემოთ ერთს ჩაეჭიე. ამ დროს შუბის წვერი უნდა მოვიდეს ცხენის მარჯვენა ყურზე ჩარეჭით მაღლა და წინ (ნახ. 31).

როცა შუბი მხართან არის შუბები ვერდ-თან შემდეგ მხედარი იმასვე ასრულებს, რაც ნაჩვენებია ზემოდ.

შენიშვნა ფერდთან შუბები იღება მინდორში მოქმედების დროს, როდესაც მოწინააღმდეგვთა დაახლოვება ხდება.

155. როდესაც შუბები ხელში, მაშინ შუბები ბრძოლად შემდეგ მარჯვენა ხელი გადიტანება ტარზე ზემოთ შუაგულამდე და დაეშვება წვერით ძირს ისე, რომ ტარის წინა ნაწილი ცხენის თვალზე ცოტა ძირს იყოს. შუბი მტკიცელიჭირდება იღლიაში, რისთვისაც ნიდაყვი მიებჯინება სხეულს. მარჯვენა ხელით შუბი მაგრა შემოიჭდობა ქვემოდან; თითები, ცერას გარდა, ფრჩხილებით ზემოდან არის, ცერა კიდევ ცოტათი მოშორებულია

დანარჩენებიდგან და ტარის გასწვრივ იჭირება (ნახ. 32 და 33).

როცა შუბი ფერდთან არის, მაშინ განკარგულება შუბები ბრძოლად შემდეგ შუბი დაიჭირება იღლიაში, როგორც ზემოთ არის ნათქვამი.

156. როცა შუბები ბრძოლად არის მაშინ განკარგულება შუბები ფერდ-თან შუბები დაიჭირება, როგორც ეს მე-154 მუხ. ნაჩვენებია.

157. როდესაც შუბები ფერდთან არის, მაშინ განკარგულება შუბები მხარ-თან ან შუბები ზურგ-ზე შემდეგ უნდა შუბი აიწიოს, ჩაიდგას ფოსოში და ჩათვარებული მხარზე, ან — მეორე შემთხვევაში — გაიყაროს ხელი ტემლიაკში და გადიგდოს შუბი ზურგზე.

158. როცა შუბები ბრძოლადაა, მაშინ განკარგულება შუბები ხელ — ში, შემდეგ შუბები იჭირება, როგორც ეს მე-151 მუხ. ნაჩვენებია.

თ ა ვ ი VIII.

ილეთები თოფით.

ზურგიდგან თოფის მოხსნა და მისი გადაგდება ზურგზე.

159. ზურგიდგან თოფი გადმოიდება მხოლოდ სროლისთვის.

• 160. ცხენზე ყოფნის დროს თოფის მოხსნის-
თვის, უნდა მოავლოთ მარჯვენა ხელი კონდახის
საკისურს; შემდეგ, რამდენადაც საჭიროა, გაიწევა
ხელი წინ და გადმოიგდება თასმა თავზე, რაკი მო-
იხსნება თოფი მარჯვენა ხელი შეჰველდება ისე,
რომ მით თოფი შემოიჭდოს კორას მორის და ლუ-
ლის ქვემოთა რგოლის შუაზე. დუმით დაიყრდობა
მარჯვენა ბარძაყზე; ამასთან თოფის ტუჩი წაზნექი-
ლი უნდა იყოს ცოტა წინ და ცოტათი გადაწეუ-
ლი მარჯვნივ.

შუბიანი მხედარნი, თოფის მოხსნის წინ, იკა-
ვებენ შუბებს მარცხენა ხელით; რაკი თოფს მოი-
ხსნიან, შუბებს გადიგდებენ ზურგზე.

161. თოფის ზურგზე გადასაგდებათ უნდა
აიწიოს იგი მაღლა, თოფის თასმა გადიღება თავზე
და დაიშვება თოფი ზურგზე.

შუბიანი მხედარნი წინასწარ მარჯვენა ხელი-
დგან იხსნიან ტემლიაკს.

ცხენზე ჯდომის დროს სროლა თოფით.

162. აღგილას ცხენზე ჯდომის დროს სროლა
შეიძლება: წინ, ნახევრად მარცხნივ და მარჯვნივ.

ადგილას ცხენზე ჯდომის დროს სროლის სწავლებისას ისკრიან მშოლოდ წინ.¹⁾)

163. თოფის გატენა, მიბჯენა მხარზე, და-
მიზნება და თვით გასროლა ცხენზე ხდება უგანკა-
რგულებოთ, „სროლის სწავლების დარიგებაში“
ნაჩვენებ სროლის წესების თანახმათ თოფით და
ლივერით. ამ დროს საღავე სრულიად თავისუფ-
ლად უნდა იყოს, რომ არა დაუშავოს აიზანში
მორტყმას.

164. გასროლისთვის უნდა თოფი დუმით
მხრის ამოღრმავებულში მიიღოთ, დაუმიზნოთ და
ეცალოთ რამდენადაც კი შეიძლება შეუნძრევლად
იყვნენ გასროლის დროს, რისთვისაც რამდენადაც კი
შეიძლება მაგრა უნდა მოუჭიროთ მუხლები ცხენს.

თ ა ვ ი IX.

ლოცვის დროს ლივერის, საყვირის და ქუდის
ჰერგა.

165. განკარგულება პილეთ ლიზერები
შემდეგ უნდა ლივერები ბუდეებიდგან ამოიღოთ
და დაიჭიროთ მარჯვენა ხელში, რომელიც ნიდაყვ-

¹⁾ კედაროს ხაზის მიხედვით და არა ცხენის მდგომა-
რებისა, რომლის დაყენებაც უკეთესია ნახევრად მარჯვივ,
რომ სროლა იყოს ცხენის მარცხენა მხრის მიმართულებით.

ში ისე უნდა იყოს მოხრილი, რომ დაკუმშული ხელი იყოს მარჯვენა მხარის პირდაპირ და ცოტა-თი მაღლა, ლივერის ტუჩი კიდევ ზევითკენ იყოს მიმართული (ნახ. 34).

განკარგულება ჩადეთ ლიცერები, მხედ-
რები ჩასდებენ ბუდეებში.

166. მესაყვირეთ სასალმოდ და უფროსის მახ-
ლობლად პირველად გავლისას მარჯვნიდგან, თი-
თოობლივ ნაბიჯით, აგრეთვე ნიშნების მიცემის-
თვის ყოველ ალიურზე, განკარგულება აიღო
საყვირი შემდეგ უნდა დაუშვას საყვირები ზო-
ნარის მთელ სიგძეზე, აიღება მარჯვენა ხელით შემოჭ-
დობილი მოხრილის ზემოთა კადურთან, ბოლოთი
დაიბჯინება ბარძაყზე და მოხრილი მარჯვნივ მი-
ტრიალდება (ნახ. 35).

167. ნიშნის მისაცემად უნდა წამოდგეს უზან-
გებზე, მიატრიალოს სხეული იმ შხრისკენ, საითაც
ნიშანი მიიცემა; ამ დროს საყვირი ისე იჭირება,
რომ მისი ბოლო ზევით იყოს მიმართული.

168. განკარგულება **მიიბით საქვირები**
შემდეგ საყვირები მიიმბება ქამრის ზემოთ, ერთ
ხელის გულზე მარჯვნივე, სატუჩეთი წინ.

169. განკარგულება: 1) **ლოცვად**, 2) **ქუდი-**
მოიხადე შემდეგ ქუდი მოიხდება მარჯვენა ხე-
ლით და გადაეცემა მარცხენას.

ქუდი დაიჭირება მარცხენა ხელში აღვირის ტოტებთან ერთად, ამასთან ცერას უკავია ქუდი შიგნიდგან, დანარჩენებს გარედგან.

ქუდი წინა ნაწილით მიტრიალებული უნდა იყოს მარჯვენა მრისკენ (ნახ. 36).

შენიშვნა. შუბიანი მხედრები, პირველ განკარგულების შემდეგ შუბებს მხართან იღებენ, მეორეს შემდეგ იხდიან ქუდებს ზემოთ ნაოქვამის თანახმად.

170. ქუდის დასახურად წარმოითქმება განკარგულება: **დაბიხურე.** ამ განკარგულების შემდეგ ქუდები იხურება მარჯვენა ხე: ით.

შენიშვნა. შუბიანი მხედარნი, რაკი დაიხურენ ქუდებს, შუბებს იღებენ ხელში.

171. სალმის მიცემა საერთო წესებით უნდა ხდებოდეს, რომლებიც მიღებულია ქვეითებისთვის (მუხ. 241—245). თუ ტოტები ორთავე ხელშია გათავთავადებული, მხედარი 4 ნაბიჯზე მიახლოვებისას მიატრიალებს თავს უფროსისკენ; შუბიანი მხედარი სალმის მიცემისას ასევე იქცევა, მხოლოდ შუბი იღება ხელში, თუ იგი სხვაგვარად იყო დაჭრილი.

ც ა ნ ვ ა რ ჯ ი შ თ ბ ა.

თავი X.

ტანგარჯიშობა ცოცხალ ცხენზე.

172. ცხენოსნობის თავდაპირველად შესწავლიების დროს, ცხენზე ტანგარჯიშობას მიზნად აქვს მოქმილობა და თავისუფალი მოძრაობა მისცეს მხედრის სხეულის ნაწილებს (თავს, სხეულის ზე ვითა ნაწილს, ხელებს და ფეხებს მუხლიდგან დაწყებული), აგრეთვე მტკიცი ჯდომა შლიუსის და წონასწორობის (თანაბრობის) განვითარებით. ასეთი ვარჯიშობები უნდა განმეორებულ იქმნას ხოლმე ძველ მსახურთა მიერაც დრო გამოშვებით, რომ შეუნარჩუნოთ სიკვირცხლე და იმედიანად ჯდომა უნაგირზე.

ამ ვარჯიშობათა წარმოების დროს განსაკუთრებით უნდა ეგდოს, სხეულის რომელიმე ნაჩვენები მოძრაობა არ გადიტანებოდეს სხვებზე, რომლებიც ამ დროს უმოძრაოდ უნდა დარჩეს. მაგალითად, ერთი ხელით მოძრაობას არ უნდა ჰქონდეს გავლენა არც თავის ჭერვაზე და მეორე ხელზე, არც ჯდომაზე, არც მხედრის ფეხებზე.

იძულებ

173. ცხენზე თავის, სხეულის, ხელების და ფეხების მოძრაობა ხდება თავისუფლად მიშვებულ საღავით, ან სრულიად კისერზე გადაყრილ (გამოკვანძილ) ტოტებით. ვარჯიშობა შეძლებისაღვარად უნდა გასხვაფერდეს ხოლმე, მაგრამ უნდა უფრთხილდეთ მხედარი არ მოიქანცოს.

ყველა ვარჯიშობა სრულდება განკარგულებებით და იმ წესების მიხედვით, რომელნიც მოხსენებულია „დარიგება ჯარების ტანვარჯიშობის სწავლება“-ში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მოძრაობის შესაწყვეტად განკარგულება **სდექ** მაგივრად წარმოითქმება განკარგულება **სდენა**.

174. თავის მოძრაობა მდგომარეობს შის მიბრუნ-მობრუნებაში მარჯვნივ და მარცხნივ და წინდა უკან გადახრ-გადმოხრაში.

175. ვარჯიშობა **სხეულისა** მდგომარეობს წინ, მარჯვნივ და მარცხნივ დახრა-გადახრაში და მარჯვნივ და მარცხნივ მიტრიალება-მოტრიალება-ში, ამ დროს რამდენათაც კი შეიძლება შაგრაა საჭირო უნაგირზე ჯდომა და სხეულის წინ დახრის დროს, იგი არ უნდა გადიზნიქოს ხოლმე აქეთ იქით.

176. ვარჯიშობა **ხელებისა** მდგომარეობს ხელების სხვადასხვა გვარ მოძრაობაში და ტრიალ-

ში, ამასთან ეს ვარჯიშობები შეიძლება შესრულდეს ცალკე ერთს ან ორთავე ხელით ერთად.

177. ვარჯიშობა ფეხებისა მდგომარეობს მთელი ფეხის, მის ქვეითა ნაწილის (შენკელის) და ტერფის მოძრაობაში.

ფეხის გაჭიმვა მდგომარეობს გასწორებულ ფეხის გაწევაში გარეთ და რამდენათაც კი შეიძლება უკან, ამასთან სხეულით წინ არ უნდა წაიზნიეროს მხედარი. ეს ვარჯიშობა ჰშველის შლიუსის განვითარებას.

ფეხის მოღუნვა მდგომარეობს იმაში, რომ უნაგირისკენ მტკიცედ მიტრიალებული, მუხლის ადგილას დატოვებით, მხედარი რამდენათაც კი შეიძლება მეტად მოპლუნავს და გაპლუნავს ფეხს მუხლში. ეს ვარჯიშობა ხდება ერთი ან ორთავე ფეხით ერთად, ამ დროს ყური უნდა ეგდოს, რომ მხედარმა არც წვივები (შენკელები) და არც დეზები არ შეახოს ხოლმე ცხენს.

ტერფის ტრიალი მდგომარეობს იმაში, რომ ტერფი ასწერს წრეს ფეხის წვერით ქვემოდან — ზევით — შიგნითკენ (ცხენისკენ), ფეხები კი უძრავად რჩება ამ დროს.

178. რაკი მოსწავლე მიიღებს ჯდომაში იმედიანობას და თავისუფლად მიხვრა მოხვრას, მაშინ

სხეულის, ხელების და ფეხების ვარჯიშობაში შეიძლება ერთად მოხდეს ხოლმე. მაგალითად: სხეულის გვერდისკენ მიტრიალება ხელის გაჭიმვასთან ერთად, რომლითაც ცხენის მხარს დაესმება რამდენათაც კი შეიძლება დაბლა; მოლუნვა ერთის ან ორთავე წვივების (შენკელების) და მასთანვე ერთის ან ორთავე ხელების მოძრაობა; განსაკუთრებით სასარგებლოა ხელების და წვივების ერთი მეორის საწინააღმდეგო მიმართულებით დანიშვნა, როთაც განვითარდება ერთი მეორისაგან დამოუკიდებლობა.

179. ყველა ნაჩვენები ვარჯიშობანი ცხენოსნობის დროს უზანგოთ ხდებიან; უზანგების წალების ნება ეძლევათ მხოლოდ ისეთ მხედრებს, რომელთაც ჯერ ვერ შეითვისეს მტკიცე ჯდომა უნაგირზე.

თავდაპირველად ვარჯიშობები სრულდება ადგილას; შემდეგ, საჭირო თანდათანობის დაცვით უნდა გადავიდეთ ნაბიჯით, ჩორთით და ნავარდით მოძრაობისას შესრულებაზე, ფეხის გაჭიმვა ხდება მხოლოდ ნაბიჯზე და შემოკლებულ ჩორთზე.

ჩორთი თავდაპირველად შემოკლებული გამოიყენება; იგი წესდების მოთხოვნილების ოდენისამდე მიიყვანება იმისდამიხედვით, თუ მხედრებმა შეითვისეს უნაგირზე სიმტკიცით ჯდომა, რათა

სწორი ჯდომა დაცულიყოს ტანგარჯიშობის დროს.
ნავარდზე ვარჯიშობათა შესრულების ხელის მი-
ყოფა დაუყონებლივ ხდება მას შემდეგ, რადგანაც
ამ ალიურზე მხედრები უკეთ ჩაჯდებიან უნაგი-
რებში და შეითვისებენ წელის მოქნილობას.

ცვლის სათავეში დაყენდება უფრო გამოც-
დილი ცხესოსანი, დანარჩენები მისდევენ მას, მას-
თან, როცა ვარჯიშობა გადაყრილ სადავით ხდე-
ბა, ყველაზე მოხერხებულია ცხენების მიჯრა კუ-
დებზე, როცა მთელ ცვლას ვაძმულებთ იარონ
წრეზე.

თავისუფალი ვარჯიშობა (ვოლფიუროვკა).

თ ა ვ ი XI.

ვარჯიშობანი ხის ცხენზე, ხის ცხენის მოწყო-
ბილება.

180. ხის ცხენი ყელიანად უნდა ტყავით იყოს
გადაკრული და უნდა ჰქონდეს ოოკის ფაფარი.

სიმაღლე და სიგძე ამ ცხენისა უნდა იყოს 2
არშ. და $1\frac{1}{2}$ ვერშოკიდან 2 არშ. $2\frac{1}{2}$ ვერშო-
კამდე. ცხენი უნდა შეკმაზული იყოს სავარჯიშო
უნაგირით (ნახ. 37).

ამას გარდა უნდა გვქონდეს ბოგირა (ტრამპ-ლინი) და ბალიში.

შენიშვნა. ყველა ქვემომოყვანილი ვარჯიშობები ხის ცხენზე უნდა სწარმოებდეს ჯერ მარცხენა მხრიდგან, შემდეგ კი მარჯვენიდგან.

ეს ვარჯიშობები შეიძლება შესრულდნენ უბო-გიროდაც.

გაქცევით ხელმები.

181. გავაზე გადავლით ხტომა უნაგირზე. გამოქანებით, ორთავე ფეხებით უნდა ისკუპოვ ბოგირიდან და ორთავე ხელის გავაზე დაკვრით შეხტეთ უნაგირზე ხელების გადუნაცვლებლად.

უნაგირზე დაშვების დროს უნდა მუხლებით შეიკავოთ სხეული, რომ აიცილოთ მძლავრი ბიძგი.

ამ ვარჯიშობის დროის თანდათანი მდგომარეობა ნაჩვენებია ნახატებზე 38 და 39.

182. გვერდიდგან უნაგირზე ხტომა. ცხენის მარცხენა მხრიდგან გაქანებით და ორთავე ფეხებით ასკუპებით ბოგირიდგან, მარცხენა ხელი იდება ყელზე, მარჯვენა—წინა ტახტაზე და თანაბრად დაეშვება უნაგირზე (ნახ. 40).

183. გვერდიდგან გადახტომა ცხენზე. ვს ხტომა წინასაგან მით განსხვავდება რომ ხტომის

შემდეგ უნაგირზე დაშვების მაგივრად, უნდა ორ-
თავე ფეხები ერთად გადიტანოს კაცმა გავაზე და
გადახტეს ცხენის მეორე მხარეზე და ნახევრად ჩა-
ცუცქდეს, პირით წინ, მარცხენა ხელის კისერზე
დატოვებით. (ნახ. 41).

გაუქანებლივ ხტომა, მაკრაჭელი.

184. გვერდიდგან ხტომა ქედთან. უნდა (ქეჩოსთან)
დღავეთ ბოგირაზე ცხენის მარცხენა მხრივ, პირით მის-
კენ, ქედიდგან ნახევარ ნაბიჯზე; იჭირება მარცხენა
ხელით ფაფარი, მარჯვენა დაიდება წინა ტახტაზე.

უნდა შეხტეთ და დაებჯინოთ ხელებს, შემ-
დეგ მუხლებით ჰკრათ და თანაბრად დაეშვათ უნა-
გირზე (ნახ. 42, 43, 44 და 45).

185. გვერდიდგან ხტომა კისერთან. უნდა
დადგეთ ცხენის მარცხნივ, მარცხენა მხრით მის
კისრისკენ; შემდეგ მარცხენა ხელით ფაფარს უნდა
წაევლოს, უნდა შეხტეს ბოგირზე მარცხენა ფეხის
გაწევით და, ორთავე ფეხების მძლავრად ასკუპე-
ბით, მოხდება შეხტომა უნაგირზე; ამ დროს მიე-
შველება მარჯვენა ხელი, რომელიც ბტყლად და-
დებულია წინა ტახტაზე (ნახ. 46 და 47).

186. ხტომა აწოდით. დგება კაცი ზურგით
კისრისკენ, ფეხებით ერთად და მარცხენა გაჭიმულ

ხელით ფაფარზე წავლებით, უნდა გაბედული ნაბიჯი გადადგას მოვარჯიშებ მარცხენათი წინ ბოგირისკენ, აისკუპოს მითვე; ამავე დროს მარცხენა ხელით მიიზიდება კაცი და ამას ჰუველის მარჯვენით, რომელიც დაბჯენილია წინა ტახტაზე, გადიტანს მარჯვენა გაჭიმულ ფეხს გავაზე და რბილად დაეშვება უნაგირზე (ნახ. 48 და 49).

187. მაკრატელი. უნაგირზე მჯდომარემ, უნდა გაიქნიოს ორთავე ფეხები უკან, დაეყრდოს უნაგირის სახელურებს და წელის მიტრიალებით და ფეხების გადაჯვარედინებით დაჯდეს უნაგირზე პირით ზურგისკენ.

ჩ ა მ თ ხ ლ ე მ ა.

188. ცხენიდგან ჩამოხტომა ხდება ორი წესით მარჯვენა ფეხის გადატანით ან კისერზე, ან გავაზე.

პირველ შემთხვევაში, მარცხენა ხელით უნაგირის-წინა სახელურზე მოვლებით უნდა შეკავდეს კაცი, შემდეგ მარჯვენა გაჭიმული ფეხი გადიტანება კისერზე და ჩახტება ცხენის მარცხენა მხრივ და ნახევრად ჩაცუცქდება, მარჯვენა ხელი უნაგირის წინა ნაწილს ევლება.

მეორე შემთხვევაში—ორთავე ხელით სახელურებზე დაბჯენით გაიქნევა ორთავე ფეხები და

გარჯვენა გალიტანება გავაზე, ჩამოხტება მიწაზე,
როგორც ზემოთ არის ნაჩვენები.

თავი XII.

თავისუფალი ვარჭიშობა ყოფილ ცხენშე.

189. თავისუფალ ვარჯიშობისათვის ცხენი უნდა
იყოს ღონიერი, ღუტუნი არ უნდა იცოდეს,
ჰევიანი, უნდა ჰქონდეს გარკვეული ჩორთი და
მშვიდი ნავარდი და მიჩვეული უნდა იყოს თოკით
ჭრეზე ტარებას.

190. ვარჯიშობისათვის ცხენი გამოიყვანება
აღვირიანი, რომელსაც აქვს ოთხი გასახსნელი და
ორი ხელის ტოტები (ნახ. 50) და შეკაზმულია
სავარჯიშო ან სამწყობრო უნაგირით.

გასახსნელ ტოტების ბოლოები სავარჯიშო
უნაგირის ღროს ამისთვის არსებულ რგოლებ-
ში გაიყრება, სამწყობრივო უნაგირით შეკ-
მაზვის ღროს—წინა მოსართავს ქვეშ გატარდება
და წინა ტახტაზე გადიყრება.

შენიშვნა. ზემოთა გასახსნელ ტოტებით
ცხენს ეძლევა თავის სწორი ჭერა; უამისოდ თა-
ვის დაშვებით და გავის აწევით ვარჯიშობას გააძ-

ნელებდა. თუ ცხენი თვით სწორედ ატარებს თავს,
შეიძლება ზევითა ტოტები სრულიად არ იყოს.

191. ვოლტზე თავისუფალი ვარჯიშობა ხდება ჩორთით და ნავარდით.

შენიშვნა. შეხტომ-ჩორხტომა ცხენიდგან,
როცა იგი ადგილის სდგას, როგორც სავარჯიშო
ისე სამწყობრო უნაგირიდგან ხდება თანახმად
მე-184 და 188 მუხ.; სამწყობრო უნაგირზე ხელები
დაეწყობა უნაგირის შესაფერ ტახტაზე.

მარჯვნივ ვარჯიშობის დროს ყველაფერი
სრულდება ისე, როგორც ეს ქვემოთ აწერილია
მარცხნივ ვარჯიშობისთვის, მხოლოდ წინაუკმო
წესით.

შესტომა ცხენზე.

192. ცხენზე შესახტომად უნდა კაცი მივიდეს
ცხენის მარცხენა მხრივ, დადგეს პირით წინისკენ,
წინა ფეხებიდგან ნახევარ ნაბიჯზე; რამდენადაც კი
შეიძლება მარჯვენა გვერდის მოშორებით ცხენიდ-
გან და მოჰკიდოს ხელები: მარცხენა—სავარჯიშო
უნაგირის მარცხენა წინა სახელურს ზემოდგან ბო-
ლოზე (თითების გაუყოფელად), მარჯვენა ტოტე-
ბით ერთად—მარჯვენა წინა სახელურს ზემოდგან,
ცერათი ქვემოდგან, ისე, რომ მარჯვენა ნიდაყვი

იდოს უნაგირზე, მკერდი კიდევ მიმართული იყოს
წინ, მოძრაობის მხრისკენ (ნახ. 51).

193. ჩორთით მოძრაობისას უნდა მირბოდეთ
ცხენის გვერდზე ფეხის წვერებზე, თითქმის არ უნ-
და ებჯინებოდეთ მარჯვენა ნიღაყვით უნაგირს და
ყოველთვის ორთავე ფეხები უნდა გქონდეთ სხეუ-
ლის წინ, და ოქვენი მოძრაობა შეუფარდოთ ცხე-
ნის მოძრაობას, ე. ი. მარცხენა ფეხი დაადგათ მი-
წაზე ცხენის მარცხენა ფეხის დადგმის დროს და
მარჯვენა—მარჯვენისას.

194. ნავარდით მოძრაობისას უნდა იხელმძღვა-
ნელოთ წინა მუხლში მოყვანილით და უნდა მირ-
ბოდეთ ხტუნვით მარცხენა ფეხის წინ ჭერით.

195. ცხენზე შესახტომად საჭიროა: ჩორთზე—
გაირბინოთ რამოდენიმე ნაზიჯი, ნავარდზე—გააკე-
თოთ რამოდენიმე ნახტომი და ცხენის წინა მარც-
ხენა ფეხის აყოლით აისკუპოთ ორთავე ფეხებით
მიწიდგან; შემდეგ ნაბიჯთან ცხენი, ასწევს რა წი-
ნანას, ასწევს მოსწავლესაც, რომელიც ამ დროს
რამდენადაც შეიძლება მეტად უნდა იყოს დაყრდო-
ბილი მარჯვენა ნიღაყვზე, მსწრაფად უნდა წარგზავ-
ნოს სხეული ზევით გასწორებულ მკლავებზე და
გასწორებულ მარჯვენა ფეხის გადატანით თანაბრად
დაეშვეს უნაგირზე (ნახ. 52).

ჩ ა მ ო ხ ფ ო მ ა.

196. ცხენიდგან ჩამოხტომა ორ გვარად ხდება: მარჯვენა ფეხის გადატანით ცხენის კისერზე ან გვაზე.

197. პირველ გვარად ჩამოხტომისთვის უნდა მარცხენა ხელი წაევლოს მარცხენა წინა სახელურს, მარჯვენა უკანას და მარჯვენა მუხლში გასწორებულ ფეხის აწევით რამდენადაც კი შეიძლება მაღლა გადიტანება იგ) ცხენის კისერზე (ნახ. 53); ამის შემდეგ ეჭიდება მარჯვენა ხელი მარჯვენა წინა სახელურს, შემდეგ მარცხენა ხელით მარჯვენა ფეხის ზემოთ წაევლება მარცხენა სახელურს და გვერდით ცხენის შეუხებლად, მსწრაფად უნდა ჩამოხტომა, მიწაზე, ფეხის წვერებზე დადგომით ცხენის მარცხენა წინა ფეხის გასწვრივ; ამ დროს შეუძლებელია ფეხის წვერებით ცხენისკენ მიტრიალება და რამდენადაც კი შეიძლება მოსწავლე მოშორებით უნდა იყოს და უფრო ვოლტის გულისკენ. ჩამოხტომა მაშინ უნდა, როდესაც ცხენი ადგამს თავის მარცხენა ფეხს მიწაზე; ამის შემდეგ უნდა მიღებულ იქნას მდგომარეობა მოხსენებული 192—194 მუხ.

198. მეორე რიგად ჩამოხტომისთვის უნდა მოკიდოს ორთავე ხელებით წინა სახელურებს და წა-

რიგზავნოს სხეული წინ და მარცხნივ გამართულ
მკლავებზე; ამავე დროს მარჯვენა ფეხი გაქანდება
ფერდიდგან, გადიტანება რამდენადაც კი შეიძლება
მაღლა და გაჭიმული ცხენის გავაზე მარცხენა ფეხ-
თან, რომელიც უძრავად ჩემება და შეუფერხებლივ
ხტება კაცი მიწაზე, როგორც ზემოთ იყო მოხსე-
ნებული.

199. ჩამოხტება რა ცხენიდგან, მხედარს შე-
უძლიან მაშინვე კვლავ შეხტეს ცხენზე, ან გაირბი-
ნოს რამოდენიმე ნაბიჯი და მერე. ცხენზე შეხტო-
მისთვის მაშინვე ჩამოხტომის შემდეგ, საჭიროა უნა-
გირიდგან ჩამოშვებისთანავე ორთავე ფეხებით აის-
კუპოთ მიწიდგან, როგორც ნაჩვენებია 195 მუხ.

თავისუფალ ვარჯიშობის განსაკუთრებითი ილეთები.

200. ორთავე ფეხებით რომ დაჯდეს უნაგი-
რის მარჯვენა მხრივ, უნდა მხედარი მოიქცეს, რო-
გორც ნაჩვენებია მე-195 მუხ., მხოლოდ ბიძგის
შემდეგ ფერდებთან უნდა მოახდინოს მიტრიალება
ფეხებით, გადიტანოს ცხენის გავაზე, შეჯდეს უნა-
გირზე მარჯვენა მხრიდგან ნახევრად მიტრიალებუ-
ლი მარჯვნივ და ჩაუშვას მარჯვენა ხელი, მარცხე-
ნა კი დასტოვოს სახელურზე.

201. ամ թղթամարյանքութեան հռամաշնացործ Շեշ-
քըս, մաժին հռացեսաւ Կրեեն Բինա մարկեենա ույես
ազգամի մովաս, սահա մարչաւենա եւլո հասպութու թե-
զարմա Բինա սաելուրե, ամազք դրու սեյլու Բին
դա զոլութու ցուլուսկյեն Բարթուու, մեթրատաւ Բար-
գիազնու ույրագութեան մարչաւենա ցափութու ույես
սկան դա, ասկյապեծ հա սնացորութեան մարկեենա
ույեսու, ցադութան մաս ցափութու ցազանց դա հծո-
լաւ դայնացեան սնացործ.

202. մայրաթյուլու մեռլութ նազարդնց կատաց-
ծա ամուսատցու սափուրու մոյքութու ռարտաց եւլո
Բինա սաելուրեծ դա Բարուցիազնու սեյլու Բինա
ցամարտուլ մյուլացեծնց, Կռտատո զոլութու մերու-
կյեն ցադաթեցու, ույեցեծ կուցաւ Շեմուցեծու դացա-
հաւ ցամարտուլու մյուելութե, ոյմութե ցայանցեծու,
Կրեենու նազարդու այոլուցեու, Սթրատաւ Բարուցիազ-
նեցօան սկան, ցադափութուան դա յաբու չգցեան პո-
րու Կրեենու ցազուկյեն սեյլու սթորու կըրու.

203. Բինասկյութ դասաջալումատ, յ. ո. პորու
Կրեենու տացուկյեն, սահա հայքութու սնացորե օւց,
հռա ռուե տուու ուուու սկանա սաելուրեծու Շոցնու,
Կրերեծ ցարյացան, դա եւլութնց դածչյենու, սեյլու
Բին Բարթեցա օմ դրու, հռացեսաւ Կրեեն Բինանաս
ասթեցս, ույեցեծ կուցաւ ոյմութեութեան Սթրատաւ ցաց-

ზავნეთ უკან, შეაჯვარედეენეთ ისინი და დაჯექით
პირით წინ.

თავისუფალი ვარჯიშობა სამწყობრო უნაგირზე.

204. სამწყობრო უნაგირზე ვარჯიშობის დროს
ყველაფერი ისევე სრულდება, როგორც სავარჯიშო
უნაგირით შეკმაზმის დროს, მხოლოდ მარცხენა ხე-
ლი იჭირება ფაფარი ომდენადაც კი შეიძლება კის-
რის შუა ადგილას თხემთან სულ ახლო, მარჯვენა-
თი კიდევ მოავლეთ წინა ტახტას; ჩამოხდომა
ყოველთვის უნდა ხდებოდეს ფეხის გადატანით გავაზე.

205. სამწყობრო უნაგირზე ვარჯიშობისას
სრულ ბარგიანად და სრულ საჭურველით, აგრეთვე
პირდაპირი მიმართულებით ვარჯიშობის დროს უნდა
ვხელმძღვანელობდეთ წინა მუხლში ნათქვამით (ნახ,
54, 55, 56 და 57).

როგორც ვოლტზე, ისე პირდაპირი მიმართუ-
ლებით თავისუფალ ვარჯიშობის დროს ტოტები იმ
ხელში უნდა იჭირებოდეს, რომელიც დაიდება წი-
ნა ტახტაზე.

ქვეითად.

თ ა ვ ი XIII.

დგომა და მიბრუნ-მობრუნება ადგილას.

დგომა.

206. წყობილებაში უნდა იდგე სწორად, გაუ-
ჭიმავად: ქუსლები ერთად, ჰვინტები უნდა გასწიო
კედაროს ხაზზე, ტერფის სიგანეზე; მუხლები უნდა
გამართო. მხოლოდ არ გაჭიმო კი; გულ-მკერდი
უნდა გაიშალო და მთელი სხეული ცოტა წინ წაი-
წიო, მუცელი აიკრიფო, მაგრამ წელში კი არ უნდა
მოიღუნო; მხრები გადიჭიმო სწორედ: ხელები
თავისუფლად უნდა ჩაეშვას ისე, რომ ხელის გუ-
ლით შებრუნებული შიგნით, გვერდებიდან და ბარ-
ძაყების შუაზე იყოს; ხელები ცოტა შეკუმშულები
იჭირება. თავი კიდევ აწეული და პირდაპირი, ნიკა-
პი წინ არ გამოიშვირო; უნდა იყურებოდე პირდა-
პირ შენს გასწვრივ, ჯარის კაცმა რომ სწორი დგო-
მა მიიღოს წარმოითქმის განკარგულება: „დადექ,“

207. პატივსაცემად, განკარგულების შემდეგ:
მარჯვნივ (მარცხნივ) სალამი, თავი აღნიშნულ
მხრისკენ მოიბრუნე; ამ დროს ნიკაპი ცოტა მაღ-
ლა აიწიე და პატივსაცემ პირს უყურე პირდაპირ-

გააყოლე თვალები და თანდათან თვალებიც მიიბრუნე მისკენ, რომ თვალები არ დაიბრიცო; დანარჩენში უნდა შეინარჩუნო დგომა, როგორიც მე 206 მუხლში მოითხოვება.

208. განკარგულებით „დაწეჭ.“ უნდა მოტრიალდე (მარცხენა ფეხის წვერზე) ნახევრად მარჯვნივ, ამავე დროს ნახევარ ნაბიჯზე უნდა წაიდგას წინ მარჯვენა ფეხი, მარტათ დაეშოს მარცხენა მუხლზე; ამის შემდეგ დაეყრდნობა რა მარცხენა და მარჯვენა სუხლს, წვება ახალ მიმართულებით მუცელზე.—მარცხენა გვერდზე და ნიდაყვზე კი მაშინ, როდესაც ოთვი იტენება.

ერთგვარი მოთავსება თავების და ფეხებისა არ მოეთხოვება ჯარის კაცთ ამ დროს.

განკარგულებით: „აღეჭ.“ საჩქაროდ უნდა ადგეს და მიიღოს სწორი დგომა.

209. განკარგულებით: „თავისუფლად“, ჯარის კნცშა უნდა ცოტა შეისვენოს იმ მდგომარეობაში, რომელშიაც განკარგულებამ მოასწრო.

განკარგულებით: „მოისაქმე“, თავის ალაგის დაუტოვებლად და თავისუფლად დგომით შეიძლება ტანისამოსის და მოკაზმულობის გასწორება; თუ მოუნდება, შეუძლია, თავის უახლოეს უფროსის ნებაზოვით წყობილებიდან გავიდეს კიდეც.

განკარგულებით: „სმენა,“ წამსვე დადგებით იმ მდგომარეობაში, რომელშიც იყავით განკარგულება: „თავისუფლად მოისაქმე-მდე“; მიღებით რა წესდების მიხედვით გამოწყობას, უნდა დარჩეთ უძრავათ.

იგივე შეასრულეთ ყოველ საჭინაშო განკარგულების შემდეგ, თუ მანამდის ნება დართული იყო დგომა თავისუფლად ან მოსაასქმებლად.

მიბრუნ-მობრუნება.

210. მიბრუნებები სრულდება განკარგულებით:

- ა) მარჯვნისა — პენ!
- ბ) მარცხნისა — პენ!
- გ) ნახევრად მარჯვნისა — პენ!
- დ) ნახევრად მარცხნისა — პენ!
- ე) ზურგისა — პენ!

მობრუნება ზურგისაკენ ($1/2$ წრეზე მარცხნა ხელისაკენ), მარცხნივ ($1/4$ წრეზე) და ნახევრათ მარცხნივ ($1/2$ წრეზე) უნდა შესრულდეს მარცხენა ფეხის ქუსლზე და მარჯვენას წვერზე; მიბრუნ-მობრუნება მარჯვნივ და ნახევრად მარცხნივ-წინა უკმოდ. მიბრუნ-მობრუნების დროს ტანი სწორად

უნდა ეჭიროს კაცს. მიბრუნ-მობრუნების შემდეგ უკან დარჩენილი ფეხი უნდა იქმნას მიღმული ფეხ-აყოლებით.

თ ა ვ ი XIV.

მოძრაობა.

211. მოძრაობა სრულდება ნაბიჯით და რბენით.

212. მოძრაობა ნაბიჯით იწყება განკარგულებით: ნაბიჯით-შე.

ამ განკარგულებით ტანი ცოტა წინ უნდა წაიწიოს, ისე კი რომ ტანის სწორი დგომა დაცულ იქმნეს; თავისუფლად გაიწევა წინ მარცხენა ფეხი, არ იზნიქება იგი მუხლში ძან და ფეხის ტერფი, რამოდენათაც კი შეიძლება გაჭიმული, უნდა იყოს; შემდეგ მოწყვეტით უნდა დაიდგას იგი მიწაზე მთელის ტერფით და ამასთანავე მარჯვენა ფეხი უნდა მოჰშორდეს მიწას და იმ გვარადვე უნდა გაიწიოს წინ, როგორც მარცხენა და ასე გაგრძელდეს მოძრაობა.

მკლავებს მხრებიდან მოკიდებული თავისუფალი მოძრაობა ეძლევა სხეულის ახლო და იღრიკებიან ნიდაყვებში იმდენად, რომ ქამრამდე უწევდნენ, თითები ცოტა მოკუმშული უნდა იყოს ამ დროს,

213. მოძრაობის დროს სალამის მიცემა განკარგულებით: „მარჯვნივ“ (მარცხნივ), სალამი. უნდა ასრულდეს თანახმად 207 მუხ., აღგილზე დგამის დროს ხელის მოძრაობა უნდა შეწყდეს.

რაკი მისახალმებ კაცს გავცდებით თავი უნდა გასწორდეს და ხელებს თავისუფალი მოძრაობა მიეცეს.

214. ნაბიჯით სიარული ჩვეულებრივ ითვლება 120 ნაბიჯი წუთში. ნაბიჯი უდრის $1 - 1\frac{1}{4}$ არშინს.

215. მიბრუნ-მობრუნება მოძრაობის დროს იმავე განკარგულებით სრულდება, როგორც აღგილობრივ (მუხ. 21), მაგრამ უნდა შესრულდეს შემდეგი:

ა) მარჯვნივ და ნახევრად მარჯვნივ მიბრუნებისთვის ასასრულებელი განკარგულება მაშინ უნდა წარმოითქვას, როდესაც მიწაზე იღგმება მარჯვენა ფეხი. ამ განკარგულების შემდეგ კიდევ უნდა გადიდებას ნაბიჯი მარცხნია ფეხით, ამ ფეხის წვერზე მოტრიალდეს, მოტრიალებისთანავე წაიღგმება მარჯვენა ფეხი, ახლ მიმართულებისაკენ და გრძელდება მოძრაობა.

ბ) მარცხნივ და ნახევრად მარცხნივ ასასრულებელი განკარგულება უნდა წარმოითქვას მაშინ,

როდესაც მიწაზე მარცხენა ფეხი იდგმის; მიტრია-
ლება მარჯვენა ფეხის წვერზე სრულდება.

გ) ჰურგისკენ მიბრუნებისთვის იძენის განკარ-
გულებას: „ჰურგისკენ“ (გრძლად) — შპ.

განკარგულება — „შპ“ წარმოითქმება მაშინ,
როდესაც მიწაზე იდგმება მარჯვენა ფეხი. ამის შემ-
დეგ კიდევ უნდა წაიღვას ლაჯი მარცხენა ფეხით,
შემდეგ ჰარჯვენა ფეხი წაიღვით ნახევარ ნაბიჯზე,
ორთავე ფეხის წვერებზე მოტრიალდება კაცი და
მოძრაობა გრძელდება მარცხენა ფეხით.

216. სირბილით მოძრაობისათვის წარმოითქ-
მება განკარგულება: „სირბილით“ (გრძლათ) — „შპ“!
განკარგულება „სირბილით“ შემდეგ ჯარის კაცნი
ხელს ნიდაყვში ჰერიან იმდენათ, რომ მუშტად შე-
კუმშული თითები ნიდაყვის სიმაღლეზე იყოს; ნი-
დაყვები, გულის გადაშლის მიზნით, ცოტა უკან
მიიწევა, მაგრამ სხეულს არ ჰშორდება; იმასთანავე
სხეულის მთელი სიმძიმე შეუმჩნევლად გადაეცემა
მარჯვენა ფეხს. განკარგულება „შპ“ ჯარის კაცნი
იწყებენ სირბილს ჰარცხენა ფეხით; ამასთან ფეხი
მუხლისი თავისუფლად მოიღუნება, გადიტანება პირდა-
პირ წინ და დაიღვება მიწაზე ტერფის წინანაწილით.

სირბილიდგან ნაბიჯზე გადასვლისთვის და წი-
ნაუკმო წარმოითქმება განკარგულებანი სირბილით

(მოკლედ) — „ შპ “ ან ნაბიჯით — „ შპ “ ასასრულებელი განკარგულება მაშინ წარმოითქმება, როდესაც დედამიწაზე იდგმება მარცხენა ფეხი. ამ განკარგულების შემდეგ, კიდევ გადაიდგმება ნაბიჯი მარჯვენა ფეხით და განკარგულების შესაფერი მოძრაობა იწყება მარცხენა ფეხით.

სირბილით მოძრაობის შეჩერება სრულდება განკარგულებით: „ სდექ “ ასრულდება რაც 218 მუხლ. ნათქომია.

217. სირბილის დროს მიბრუნ-მობრუნება შესრულდება იმ განკარგულებათა შემწეობით, რომელნიც ნაჩვენებია ნაბიჯით მოძრაობისათვის.

218. მოძრაობის შეწყვეტისთვის წარმოითქმება განკარგულება: „ მწკრიივო—სდექ “.

ასასრულებელ განკარგულების შემდეგ ნაბიჯით მოძრაობისას, რაიც ფეხის მიწაზე დადგმისთანავე გაიცემა, მეორე ფეხით იდგმება კიდევ ნაბიჯი და მიედგმება უკან დარჩენილი ფეხი.

219. განკარგულების შემდეგ: ადგილას, ნაბიჯი ფეხის აღებით და დადგმით აღინიშნება ფეხაყოლებით. მოძრაობის გაგრძელებისთვის წარმოითქმება განკარგულება „ წინ “ (პირდაპირ).

220. სირბილიდგან ნაბიჯზე გადასასვლელად დაწინაუკო წარმოითქმება 216 და 218 მუხ. ნაჩვენები განკარგულებები.

თ ა ვ ი XV.

ხმლით ილეთები (ლეკურით ან პალაშით).

221. განკარგულებით — ხმლები იშიშ-ვლე, ხმალი ამოილება და მხართან იჭირება სამ ილეთად; ამასთან პირველი ილეთი სრულდება განკარგულება ხმლები იში — შემდეგ, დანარჩენი — შვლე შემდეგ.

პირველი ილეთი. მარჯვენა ხელით შემოიჭიდობა დავა, მარცხენათი იჭირება ქარქაში სახელურს ქვემოდ და ამოიწვდება ხმალი ხელის გულის ოდენაზე.

მეორე ილეთი. ამოილება ხმალი და იწევა წვერით ისე, რომ პირი მიბრუნებული ჰქონდეს მარცხნივ, დავა კიდევ თავზე ზემოთ; მარცხენა ხელი ჩაიშვება თავის ალაგას.

მესამე ილეთი. მიიღება ხმალი შვეულად ყუით მარჯვენა მხარის ამოლრმავებულში, დაიჭირება რა საჩვენებელ და შუალ თითებით სახელური გარედგან, ცერათი შიგნით მხრივ, დანარჩენი ორი თითი ცოტა მოხრილებია. ამ დროს ორთავე მკლავი უნდა იყოს მე-206 მუხ. ნაჩვენებ მდგომარეობაში და მარჯვენა ხელის ცერა უნდა ეხებოდეს მარჯვენა ბარძაყს(ბარკალს); ხმალი ისე უნდა იყოს დაყენებული მარჯვენა მხრის შუა, რომ პირი არც მარჯვნივ იყოს გადახრილი, არც მარცხნივ (ნახ. 60 და 61).

222. ჯარის კაცნი განკარგულება იარაღით

სალა—მი შეჩიდგან ერთ ილეთად აძლევენ სა-
ლაშს. სახელურის ყველა თითებით შემოჭდობით
და ხმლის ცოტა მაღლა აწევით, დაიჭირება იგი
პირით წინ შვეულად ისე, რომ ყუა მარჯვენა მხა-
რის ამოლრმავებულის გასწვრივ იყოს. მარჯვენა
ხელი თავისუფლად ჩაშვებული, სხეულს არ უნდა
ეკვროდეს. ხელი ნიდაყვის სიმაღლეზე უნდა მი-
დიოდეს (ნახ. 62). ბინის შინა მდგომა გუშაგებმა
ხმლის პირი ცოტათი მარჯვენა მხრისკენ უნდა მის-
წიონ, პირით ნახევრად შეტრიალებული მარჯვნივ.

**223. აფიცრები განკარგულება იარაღით სა-
ლა—მი, სალაშს ორ ილეთად აძლევენ.**

პირგელი ილეთი. სახელურის ხელით შემოჭ-
დობით ხმალი აიწევა ზემოთ ისე, რომ შეკუმშული
ხელი მოვიდეს საყელოს სიმაღლეზე და ერთი ჩა-
რექით წინ; ცერა სახელურს გასწვრივ უნდა ედოს;
ხმალი ამ დროს იჭირება პირით მარცხნივ, წვერით
ზეჟოთ და ცოტათი უკან გადახრილი (ნახ. 63).

მეორე ილეთი. დაეშვება ხმალი ისე, რომ
ხელი მოხვდეს მარჯვენა ბარძაყთან იმ აღგილას,
რომელიც ნაჩვენებია მე-222 მუხლში (მესამე ილე-
თი), ხმალი უნდა ყუით იყოს წინ და პირით მარ-

ცხენა ფეხის წვერის გასწვრივ, მიწიდგან ერთს ჩა-
რექცე (ნახ. 64).

224. განკარგულება **მხარ—ზე** ხმალი სასალ-
მოდგან მხარზე იღება ერთ ილეთად. პირი იდება
ყუით მხრის ამოლრმავებულში. პირი მიიდება მხრის
ამოლრმავებულზე და ამავე დროს სახელური იჭი-
რება თითებით ისე, როგორც ნაჩვენებია მე-222
მუხ. მესამე ილეთში ხმლის მხართან ჰერისოვის.

225. აფიცრები განკარგულებით **მხარ—ზე**
ხმალს იღებენ ორ ილეთად; პირველის შემდეგ ხმა-
ლი მაღლა აიწევა, მეორეს შემდეგ — მიიდება
მხარზე.

226. ზემო ნაჩვენებ მდგომარეობაში ხმალი
მარტო ადგილას დგომის დროს იჭირება; როცა
მოძრაობაა დასაწყები, მაშინ ხმალი უნდა დავიჭი-
როთ თავისუფლად ორ ილეთით.

პირველი ილეთი. ორთავე ხელის შეერთებით
ერთი ხელის გულის დადებაზე ქამარს ქვემოთ,
ხმლის სახელური დაებჯინება მოლუნულ მარცხენა
ხელის გულს და ჩაიჭიდება შუალა, უსახელო და
ნეკათი რკალის და სახელურს შუა, ცერათი და
საჩვენებლით რკალის ზემოთ; ამავე დროს ხმლის
პირი მხრიდგან ყუით ნიდაყვის მოლუნულში.

მეორე ილეთი. ორთავე ხელი თავთავის ად-
გილას გადიტანება.

227. სიარულის დროს მარჯვენა ხელს ხმლიანად თავისუფალი მოძრაობა უნდა ჰქონდეს წინ და უკან.

უფროსის მახლობლად გავლის დროს ყოველ შემთხვევებში მარჯვენა ხელი უძრავად არის ხოლმე, რისთვისაც წარმოითქმება **სმენა**. განკარგულება **თავისუფლად** შემდეგ მარჯვენა ხელით თავისუფალი მოძრაობა იწყება წინ და უკან.

ქარქაში სიარულის დროს უნდა მარცხენა ხელით იჭირებოდეს ქვეითა რგოლის ქვემოდ ოთხ ცოტათი მოღუნულ თითებით გარედგან, ცერათი—უკანიდგან და შიგნიდგან. მარცხენა ხელში ქარქაში ყოველთვის უძვრელადაა.

228. შეჩერების შემდეგ ხმალი უნდა თავისუფლად იჭირებოდეს, ვიღრე არ წარმოითქმება მხარ—ზე ან ქარქა—სში.

229. თავისუფლად ჭერიდგან განკარგულებით მხარ—ზე ხმალი მხართან რა ილეთად იღება.

პირველი ილეთი. ორთავე ხელის შეერთებით ხელი გულის დადებაზე ქამრის ქვემოთ, ხმლის სახელური დაებჯინება მოღუნულ მარცხენა ხელის გულს და ჩაიჭიდება მარჯვენა ხელით ისე, როგორც ნაჩვენებია ეს ხმლის მხართან ჭერისთვის.

მეორე ილეთი. ორთავე ხელი გადიტანება თავთავის აღვილას და ხმლის პირი ყუით მიიღება მხრის ამოღრმავებულში.

230. განკარგულება ხმლები ქარქა-სში ხმა-
ლი ჩაიგება მხრიდგან ორ ილეთად.

პირველი ილეთი. მარჯვენა ხელით შემოიჭ-
დება სახელური და აიწევა ხმალი წვერით ზემოთ,
პირით მარცხნივ ისე, რომ დავა იყოს თავზე მაღ-
ლა, მარცხენა ხელი კიდევ ეკიდება ქარქაშს, რო-
გორც ეს ნაჩვენებია ხმლის ამოღებისთვის.

მეორე ილეთი. ამოტრიალდება ხმალი წვე-
რით ქვემოდ და, ჩაიმართება რა ქარქასში, შეჩერ-
დება მარჯვენა ხელი საყელოს სიძალლეზე.

მესამე ილეთი. ჩაიგება ხმალი ქარქასში და
ხელები თავთავის ადგილას გადიტანება.

231. თავისუფლად ჭერისგან განკარგულება
ხმლები ქარქა - სში, ხმალი ჩაიგება ქარქასში ოთხ
ილეთად.

პირველი ილეთი სრულდება ისე, როგორც
პირველი ილეთი მხართან თავისუფლად ჭერის მდგო-
მარეობიდგან, დანარჩენები—როგორც ხმლის ჩა-
გება მხართან ჭერის მდგომარეობიდგან.

232. ილეთების ქვეითა ჯართან შესრულების
დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ შემდეგით:

1) როცა თოფები ქვეითა ჯარში ფეხთან არის,
ხმლები ჩაგებულებია.

2) განკარგულება მხარ—ზე უნდა შესრულდეს, როგორც განკარგულება ხმლები იშიშ—**ვლეთ** შემდეგ, პირველი ილეთი სრულდება საწინაშო, მეორე და მესამე კიდევ—თოფის ილეთებთან ერთად — ასასრულებელ განკარგულების შემდეგ.

3) განკარგულება ფეხ—**თან** ხმლები ქარქა-შებში ჩაიგება თოფის ილეთებთან შეთანხმებით.

4) განკარგულება იარაღით სალა—**მი** ხმალი ამოილება სასალმოთ სამს ილეთად.

პირველი ილეთი სრულდება საწინაშო განკარგულების იარაღით და აგრეთვე, როგორც პირველი ილეთი ქარქაშიდგან ამოლების დროს; მეორე და მესამე—ასასრულებელ განკარგულების შემდეგ თოფის ილეთებთან შეთანხმებით, ამასთან მეორე ილეთი სრულდება ისევე, როგორც მეორე ილეთი ხმლის ქარქაშიდგან ამოლების დროს, მესამე ილეთთან ხმალი იჭირება ისე, როგორც ეს სასალმოთ არის ნაჩვენები.

5) განკარგულება ფეხ—**თან** ხმალი ჩაიგება სასალმოდგან სამ ილეთად, ამასთან ესენი სრულდებიან ქვეითა ჯართან ერთად, და პირველი პირველთან შეთანხმებით, მეორე და მესამე—მხრიდგან ქარქასში ჩაგების ძლეთების შესაფერისად.

6) აფიცრები ქარქასში ჩაგებულ ხმლების შემთხვევაში, განკარგულება იარაღით სალა—მი სამი ილეთად ამოიღებენ ხმალს სალმისთვის.

პირველი ორი ილეთი ისევე სრულდება, როგორც ჯარის კაცების მიერ, მესამეს შემდეგ ხმალი დაიშვება მე-223 მუხ. ნაჩვენების თანახმად.

7) აფიცრები ჩაგებენ ხმლებს იარაღით სალმიდგან განკარგულება ფეხ—თან სამ ილეთად, ამ მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით.

233. ყველა ზემოთ მოყვანილი ილეთები სრულდება მხოლოდ ადგილას დგომის დროს.

გამონაკლისს შეადგენს ილეთები, რომლებიც სრულდება ხმლით სალმის მიცემის დროს იმ პირთა მიერ, რომელნიც მოვალენი არიან ასე მიესალმნონ უფროსებს; ესენი სიარულის დროს ასწევენ ხმალს ზევით, შემდეგ დაუშვებენ, როგორც ეს მოხსენებულია მე-223 და ამასთან ხმლის წვერი უნდა მოვიდეს მარჯვენა მხირის გასწვრივ.

თავი XVI.

ილეთები თოვით.

234. ფეხთან თოფი უნდა გეჭიროთ მარჯვენა ხელში თოვის თასმით წინ ისე, რომ კონდახი მთელის დუმით მიწაზე იდოს, მარჯვენა ფეხის ტერფს

ეხებოდეს და კონდახი უსწორდებოდეს ფეხის წვერს. მარჯვენა ხელი უნდა ჩაეშვას თავისუფლად, ცერა თითი უნდა ლულას შემოეჭდოს, დანარჩენნი უნდა დაეწყვნენ თოფის ხეზე (ნახ. 65 და 66).

235. მოძრაობის და მიბრუნ-მობრუნების ღროს, როდესაც თოფი ფეხთანაა, საწინაშო განკარგულების შემდეგ იგი ცოტათი უნდა აიწიოს ტუჩის მხართან მიახლოვებით.

236. შარში მოძრაობისას თოფები იტარება ისე, ვისაც როგორ ეხერხება; გატენილ თოფების ფეხი დაბალ ფეხზე უნდა იყოს დაყენებული.

237. ფეხილგან ხელზე თოფი ერთ ილეთად აიღება, განკარგულება ხელ—ზე.

ამ განკარგულების შემდეგ ჯარის კაცი უნდა მიბრუნდეს ნახევრად მარჯვნივ, თავის მიუბრუნებლად, მარცხენა ფეხის მიუდგმელად, რომელიც სწრაფად უნდა წაიღგას წინ ნახევარ ნაბიჯზე და დაიდგას სწორედ, მარჯვენა ფეხის ქუსლის პირდაპირ; ამავე ღროს მარჯვენა ხელით თოფი წინ წაისროლება ხიშტის იმ გვარად წახრით, რომ მისი წვერი მოვიღეს მარცხენა თვალის გასწვრივ და ყელის სიმაღლეზე, მარცხენა ხელით წაივლება თოფი ქვემოთა სალტის ზემოთ.

თოფი უნდა იჭირებოდეს ლულით ზემოთ,
 ორთავე ბელით შემოჭდობილი: მარჯვენათი თოფის
 ხის კისერზე და ფეხის ბოჭვენთან, მარცხენათი—
 ქვეითა სალტის ზევით, ნიღაყვის თოფ ქვეშ შეუ-
 ტრიალებლივ, სხეული სწორედ უნდა იჭირებოდეს
 და ფეხები მუხლებში არ იხრებოდეს.

238. ილეთიდგან ხელზე ფეხთან თოფი ერთი
 ილეთით იღება განკარგულებით, **ფეხ—თან.**

ამ განკარგულების შემდეგ უნდა მიტრიალდეს
 კაცი მარჯვენა ფეხის ქუსლზე, დადგეს თავდაპირ-
 ველ მდგომარეობაში და ამავე დროს მარჯვენა ხე-
 ლით თოფს უნდა წაჰკიდოს კორას ზემოდგან ხელი
 და ფეხთან დაიდგას.

239. თოფით სროლის ილეთები სრულდება
 წესებით, რომელიც მოხსენებულია „ვ-მ ხაზიან
 შაშხანა თოფის აწერაში“ გვერდი 121.

თ ა ვ ი XVII.

სალმის მიცემა, ქუდის და საყვირების ჭერა.

სალმის მიცემა.

240. სალამი ყოჩალად უნდა მიიცეს მე-206
 და 212 მუხ. ნაჩვენებ წესების სწორად შესრუ-
 ლებით.

241. შეხვედრისას უმცროსი მეუფროსეს და უფროს სალამს აძლევს 4 ნაბიჯის სიშორიდგან.

242. ადგილას დგომის დროს სალმის მისა-
ცემად უნდა მიბრუნდეს კაცი მისასალმებელ უფრო-
სისკენ პირით და დადგეს წყნარად, უყუროს მას
და გააყოლოს თვალი თავის მიტრიალებით; თუ
ქუდი ჰქონდეს ამის გარდა ხელს მიიღებს ქუდთან
მარჯვნივ ისე, რომ თითები ერთად ხელის
გული ცოტათი მიბრუნებულ იყოს გარეთ, ნიდაყ-
ვი კიდევ მხრის ხაზზე და სიმაღლეზე.

243. მოძრაობის დროს მისასალმებელ პირის
მახლობლად გავლისას უნდა მიტრიალდეს მისკენ
თავი და ხელები უძრავად იყოს, თუ ქუდიანია
კაცი, მაშინ მას მიედება ხელი, როგორც ეს მე-242
მუხ. ნაჩვენები.

244. როცა მისასალმებელი პირი გასცდება
სალმის მიმცემს, უკანასკნელი ჩამოილებს ხელს და
მიღის (სდგება) თავისუფლად.

ქუდების კერა.

245. ლოცვაზე ქუდის მოხდისთვის წარმოით-
ქმება განკარგულება: **ლოცვად.**

ქუდები მოიხა—დე. ამ განკარგულების შემ-
დეგ ქუდი მოიხდება მარჯვენა ხელით და გადაეცე-
მა მარცხენას.

ქუდი იჭირება მარცხენა ნიდაყვში მოღუნულ
ხელით ისე, რომ ცერა თითს ეჭიროს შიგნიდგან,
დანარჩენებს—გარედგან, (ნახ. 68).

შენიშვნა. აფიცრები და საპატიო გუშაგნი
კუბოსთან, აგრეთვე ტაძრის კარებთან მდგომი გუ-
შაგნი, ქუდის ნაჩვენებ ჭერასთან ერთად მარცხენა
ხელში იკავებენ ხმლებსაც, რომლებსაც წვერები
ქვემოთ აქვთ დაშვებული, პირი მარცხნივ და მი-
წას დაყრდნობილი; უსახელო და ნეკა თითები
უნდა რკალის და სახელურს შუა იყოს, ცერა, სა-
ჩვენებელი და საშუალო—რკალის გარეთგან.

247. წყობილების გარეთ შემდეგი სრულდება:

1) უფროსის წინ, თუ ქუდი დახურული არ
არის, ჯარის კაცთ ქუდები ზემო ნათქვამის თანა-
ხმად უნდა დაიჭირონ.

2) აფიცრებს უჭირავთ ქუდები აგრეთვე.

248. ქუდები იხურება განკარგულებით **დამ-
ხურება.**

საყირების ჭერა

249. ქვეითა წყობილებაში საყირები იჭირე-
ბა თავისუფლად ჩაშვებულ ხელის ყველა თითებით, შე-
მოჭდობილი მოხრილის ზემოთა კიდურთან, სატუ-
ჩეთი წინ და ცოტათი მაღლა (ნახ. 69).

თანდართი.

1. რკინა, რომელიც ედება ცხენს პირში და რომელზედაც მიბმულ აღვირის ტოტების საშუალებით ცხენს გადაეცემა მხედრის განძრახვები ორგვარია: აღვირის რკინა და ლაფამი.

2. აღვირის რკინა შესდგება ორ ცოტათი მოლუნულ ნაწილისაგან, რომლებიც ერთმანეთზე გადაბმულებია რგოლით ან მოჭლე თავბოლოში რგოლებიან ღეროთი. ნაწილების გარეთა მხარე ცოტათი სქელდება და აქ გაყრილი აქვთ დიდი, თავისუფლად მოძრავი რგოლები აღვირის ტოტების შესასხმელად და ავშარასთან მისამაგრებლად (ნახ. 70).

აღვირის რკინა მოქმედობს ენაზე, ქვეითა ყბის უკბილო ნაწილზე და პირის ლაშებზე დაჭირებით.

3. ლაგმის რკინა შესდგება აღვირის რკინისაგან, რომელსაც ამოლმერთილი აქვს შუა წელი ენის მოსათავსებლად—რკალი, აღვირის რკინაზე ჰერპენდიკულიალურად შიძეწყილ ლოყებისაგან, რომელსაც ზევითა ნაწილში აქვს მოძრავი კაუჭები, 13-15 რგოლიან ჯაჭვის მისამაგრებლად (ნახ. 71). ლოყის ზემოთა ნაწილი $1\frac{1}{2}$ —2 ჯერ მოკლეუნდა იყოს ქვემოთაზე, რის გამოც აღვირის რკინის დაწოლა $1\frac{1}{2}$ —2-ჯერ უფრო ძრიელია ტოტების მო-

ჭიმვაზე; ამ რიგათ ჯაჭვ მიშმული ლაგამი ბერკეტია, რომელიც გაანაწილებს რა ცხენის დგნობის ძალას, მხედარს უადვილებს მართვას.

4. ლაგამი თავის ბერკეტულ დაჭირებით, რომელიც უფრო ძრიელია მიშმულ ჯაჭვის დროს, და უფრო სუსტი მის მოხსნისას, მოქმედობს ქვემოთ ყბის უკბილო ნაწილზე; ლაგამის რკინა ცოტა დაბლა უნდა მოდიოდეს აღვირის რკინაზე.

5. ლაგმის მოქმედების ძალა (მკაცრობა) დამოკიდებილია ლოყის ქვემოთა ნაწილის სიგრძის მის ზემოთა ნაწილის სიგძესთან შედარებაზე. ამას გარდა ლაგმის სიმკაცრეზე გავლენა აქვს: რკინის ზომას, აღვირის რკინის სისქეს და ჯაჭვის სიგძეს; რამდენადაც უფრო ზედგამოჭრილია რკალი ენის სიღიღეზე, რამდენადაც უფრო წვრილია აღვირის რკინა და მოკლეა ჯაჭვი, მით უფრო მკაცრია ლაგამი, და წინაუკმოდ.

ლაგმის სასარგებლო მოქმედებათ ითვლება მხოლოდ აღვირის რკინის დაწოლა უკბილო ნაწილზე (ღრძილზე), ჯაჭვის დაწოლა ყბაზე კიდევ მავნებლად, მაგრამ აუცილებელ მოვლენად ჩაითვლება.

6. ლაგმის მართებული მოქმედება შეიძლება მიხწეულ იქმნეს მხოლოდ მის მოწყობით ცხენის პირთან შეფარდებით, ამისათვის:

ა) აღვირის რკინის სიგრძე უნდა უდრიდეს ცხენის პირის სიგანეს.

ბ) სისქე უნდა შეეფარდებოდეს უკბილო ნაწილის მგრძნობელობას; რაც უფრო მოწვეტა ყბის უკბილო ნაწილი, მით უფრო მგრძნობიარეა და ამიტომ მით უფრო სქელი უნდა იყოს რკინა.

გ) რკალის ზომა უნდა შეეფარდებოდეს ენის ზომას; რაც უფრო სქელი და განიერია ენა, მით უფრო მაღალი და განიერი უნდა იყოს რკალი, რადგანაც უამისოდ საგრძნობი დაჭირება მოხდება ენაზე.

დ) ჯაჭვის მისამაგრებელი კაუჭები უნდა სიგრძით აღვირის რკინამდე მოდიოდეს.

ე) ჯაჭვის სიგრძე, მაგალითად, უნდა $1\frac{1}{2}$ ჯერ მეტი უნდა იყოს აღვირის რკინაზე.

ვ) ჯაჭვის სიგანე, დაჭრების უკეთესად (უმტკინვეულად) განაწილებისავის, უნდა შეეფარდებოდეს ნიკაპის ამოლრმავებულის სიგანეს.

7. აღვირი ცხენის თავს და კისერს მაღლა ჟღვეს; ლაგამი ძირს სწევს თავს და მოპლუნავს კისერს კეფაში. ამიტომ, ცხენზე სრულ ზედგავლენის მოხდენისათვის საჭიროა ამოდებული ჰქონდეს ორთავე რკინა—აღვირისა და ლაგმისაც.

1896 ରାମପାଲ ପଦମନାବଶାନ ପ୍ରୟୋଭିଲ୍ଲେବିଲ୍ ରେସଲ୍‌ଫିଲ୍ ସାହେଳ-
ମହାବାନ୍‌ଦ୍ଵାରା ରଖିଥିଲୁଗଲା.

ଠାନ୍ଧାରାଟୀ

ପଦମନାବଶାନ ପ୍ରୟୋଭିଲ୍ଲେବିଲ୍ ରେସଲ୍‌ଫିଲ୍ ପିଣ୍ଡବ୍ୟାଲୀ
ନାଟ୍‌କିଲ୍‌ବିଶ୍ୱାସ

თ ა ვ ი ს.

ჩხვლეტა დარტყმა და ცდენა ხმლით.

ჩხვლეტა.

128. ხმლით ჩხვლეტა ხდება: 1) მარცხნივ,
2) ნახევრად მიტრიალებით მარცხნივ და 3) ნახევ-
რად მიტრიალებით მარჯვნივ.

129. ჩხვლეტისთვის ხმლის სახელური შემოი-
ჭდობა ოთხი თითით, ცერა კიდევ სახელურის
ზურგის გასწვრივ იდება, ამავე დროს ხმალი მარ-
ჯვენა ხელით აიწევა მარჯვენა ყურთან ისე, რომ
შისი ნალესი პირი ზემოთ იყოს მოქცეული, წვე-
რი კი სახელურის (დავის) სიმაღლეზე და იმ მიმარ-
თულებით, საიდკენაც უნდა ეჩხვლიტოს.

სხეულის მიბრუნებით და გადაწვდით ჩხვლე-
ტის მხრისკენ, ამასთან ერთად მკლავის მძლავრ
მოძრაობით ხდება ჩხვლეტა, რის შემდეგაც სწრა-
ფად გამოიტაცება ხმალი უკან და იჭირება მარ-
ჯვენა ყურთან, (ნახ. 33).

დარტყმა.

130. ხმლით დარტყმა ხდება: 1) ნახევრად
მიბრუნებით მარჯვნივ, 2) მარჯვნივ და 3) ძირს
მარჯვნივ.

131. ნახევრად შიბრუნებით მარჯვნივ ან მარჯვნივ დარტყმისთვის ხმლის დავა იღება ყველა თითებით შემოჭდობილი და გადიტანება მარჯვენა მკლავის ხელი მარცხენა მხართან ისე, რომ ხმლის პირი წინ კიდევ მოქცეული, წვერი, უკან დაწეული, კიდევვა დავის სიმაღლეზე.

სხეულის მიტრიალებით და გადაწვდით დარტყმის მხრისკენ, უნდა ამასთან ერთად, ხელის მსწრაფ და მძლავრ მოძრაობით მოხდეს დარტყმა, მხრების სიბრტყეში (შანდაკში), მარცხნიდან—მარჯვნივ.

დარტყმა უნდა ხდებოდეს გამოკვრით, რომ მას უსათუოდ მოსდევდეს ჭრილობა (ნახ. 34).

132. მარჯვნივ ძირს დარტყმის შობდენისთვის, ხმლის დავა იღება ყველა თითებით შემოჭდობილი და გაიტანება ხმლიანი ხელი წინ თავს მაღლა ისე, რომ პირი მოქცეული ჰქონდეს წინ, წვერი, აწეული ზემოთ და ცოტათი უკან გადაღმერთილი.

სხეულის მიტრიალებით და გადაწვდით დარტყმის მხრისკენ ამასთან ერთად ხდება დარტყმა ისე, როგორც ეს ნაჩვენებია წინა მუხლში, მხოლოდ ზემოდგან—ძირს. (ნახ. 35).

133. დარტყმაში და ჩხვლეტაში ვარჯიშობის-თვის იხმარება: 1) საფთხური (ნახ. 36), 2) წნე-

ლები (ნახ. 37) და შ) თიხა (ნახ. 38).

ც დ ვ ნ ა.

134 ხმლით შუბის აცდენა ხდება მარჯვნივ ან მარცხნივ.

შუბის მარჯვნივ აცდენისათვის, ხმლის დავა აიღება თითებით შემოჭდობილი და გაჭიმული მარჯვენა ხელი წინ წაიწევა ისე, რომ იგი ცოტათი დაბლა იყოს მარჯვენა მხარზე. ხმალი აშ დროს უნდა მიმართული იყოს წინ, ცოტათი დაბლა და პირით მიბრუნებული მარჯვნივ.

სხეულის წინ წაწევით, შუბს უნდა შეახვე-დროთ ხმალი საომარ წვერით, ასწიოთ ხმლიანი ხელი და გადასწიოთ შუბი მარჯვნივ. (ნახ. 39).

135. ამასთან შეთანხმებით ხდება შუბის აც-დენა მარცხნივ, მხოლოდ ხმლის პირი აშ შემთხვევაში უნდა მოქცეული იყოს ზევით. (ნახ. 40)

136. ჩხვლეტის, დარტყმის და ცდენის შემდეგ ხმალი კვლავ საომრად იჭირება.

137. ცხენზე იარაღის ხმარების დროს, მარცხენა ხელი სრულიად თავისუფლად უნდა იჭირებოდეს, რომ სადავით (ტოტებით) ცხენი არ შეწუხდეს.

138. შუბის აცდენის სწავლებისთვის იხმარება სამოსწავლო შუბი.

სამოსწავლო უზბი.

სამოსწავლო უზბი შესდგება რბილ ბოლოიან ხისაგან, რაიც უდრის შუბის ლახვარს. ლითონის ცილინდრისაგან ა, ორ აშკიან (მშვილდიან) კავით ბ და გ; ორ ჩრჩოლისაგან დ და ე, რომლებიც უძრავად მიძეწკილია ბუნზე (ტარზე); რკინის მოძრავ რგოლისაგან გ და ნემსკავურ მშვილდისაგან ჸ, რომელიც ჩამოცმულია ტარზე ჩრჩოლებ გ და დ შუაზე.

შუბი ჩხვლეტისთვის დაიჭირება ცილინდრით.

ხმარებამდის, ცილინდრი უნდა დაიწიოს მშვიდლზე ისე, რომ თავის კავებით მოეჭიდოს მოძრავ რგოლს გ.

ცილინდრი ამ მდგომარეობაში მიმაგრებულია შუბის ტართან ნემსკავიან აშკით.

საგანში შეჩხვლეტის დროს, ნემსკავიანი აშკა იქნობამდის იკუმშება, ვიდრე მისი მდრეკაობა არ აიძულებს ცილინდრის კავებს ცოტათი გიზნიქოს.

როგორც კი ეს მოხდება, შუბის ტარი აღარ არის შეკავშირებული ცილინდრთან და ერთ მხრივ საგანზე დატტყიმის, მფორეს მხრივ მშვილდის გაშლის ზეგავლენით — თავისუფლად მოსლიგინებს ცილინდრზე უკან.

ასეთ შუბით ჩხვლეტა შესუტდება: მშვილ-
დის მდრეკაობით, შუბის ტარის თავისუფლად მო-
ძრაობით ჩხვლეტის მიმართულების წინააღმდეგ და,
დაბოლოს, სათიხრის სირბილით (ნახ. 41, 42და43).

139 სამოსწავლო შუბით ჩხვლეტა ხდება ნა-
ხევრად მიბრუნებით მარჯვნივ და ნახევრად მიბრუ-
ნებით მარცხნივ.

მხედარი, რომელიც ამ გვარ შუბით არის შე-
ჭურვილი, აიღებს რა მას საომრად, ახდენს ჩხვლე-
ტას ნახევრად მობრუნებით მარჯვნივ შემდეგნაი-
რად: სხეულს იზნიქავს ჩხვლეტის მხარისკენ, სწრა-
ფად წარგზავნის შუბს, იღლიადგან გაუშვებლად,
მარჯვენა მკლავის მთელს სიგძეზე.

ამის შემდეგ იგი ისევე სწრაფად გამოიტაცება
შუბი უკან.

ნახევრად — მიბრუნებით მარცხნივ ჩხვლეტი-
სათვის, მხედარი, აიღებს რა შუბს საომრად, გადი-
ტანს ცხენის კისრის მარცხენა მხრივ და ისევე მოი-
ქცევა, როგორც მარჯვნივ ნახევრად მიბრუნებით
ჩხვლეტის დროს.

ნაწილი V.

ა რ ი ა თ ბ ა.

თავი I.

ც ა ლ მ ხ რ ი გ ფ ა რ ი კ ა თ ბ ა.

საბრძოლველი (საოშარი) დგომა.

195. ცალმხრივი ფარიკაობისთვის, მოფარიკენი უნდა ხმლით იყვნენ შერარელებულნი და დაწყობილნი გაჯრილად, ერთი მეორისაგან ოთხ ნაბიჯზე.

196. განკარგულება **დადექ,** მოფარიკენი მიტრიალდებიან ნახევრად მარცხნივ ისე, რომ მარჯვენა ფეხის წვერი და ქუსლი იყოს მარცხენას ქუსლის წინ, მარცხენა ფეხის წვერი კი მხრების თავდაპირველ მდგომარეობის მიმართულებით. მოფარიკავენი თავებს ისე იჭერენ, რომ მარცხენა თვალი მივიდეს გულ-მკერდის შუას გასწვრივ.

197. მოფარიკავეთ რომ მიიღონ, ეგრეთ წოდებული საბრძოლი დგომა, წარმოითქმება განკარგულება **ბრძოლად-მზად.** შესრულება ხდება სამილეთად, ამასთან პირველი ილეთი სრულდება განკარგულება ბრძოლად შემდეგ, დანარჩენები— განკარგულება **მზად.**

პირველი ილეთი. მოფარიკე ავლებს დავას ოთხთავე თითს შემოჭდობილად და თან მარცხენა ხელით ქარქაში უჭირავს დავას ქვემოდან.

მეორე ილეთი. მოფარიკე ამოილებს ხმალს ქარქაშიდგან და ასწევს მას წვერით მაღლა, პირით მარცხნივ ისე, რომ დავა თავზე მაღლა იყოს.

მესამე ილეთი. მოფარიკე სწრაფად გაიტანს მარჯვენა ფეხს ერთს ნაბიჯზე წინ ისე, რომ ქუსლები ერთს ხაზზე მოვიდეს, წვერებს წინა მუხლში ნაჩვენები მიმართულება ჰქონდეს, მუხლებს კიდევ იმდენად ჰლუნავს, რომ ნახევარ ტერფს დაჰყურებდეს; ამავე დროს მოფარიკე სხეულის მთელს სიმძიმეს გადაიტანს მარცხენა ფეხზე სხეულის შვეულად ჰერის შერჩენით.

ამასთან ხმალს გადახრის წინ, პირით მარჯვნივ და თან ყურს უგდებს, რომ წვერი მოვიდეს მარცხენა თვალის გასწვრივ და საყელოს სიმაღლეზე; მარჯვენა ხელს მოჰქონდება ნიდაყვში, რომელსაც ცტა წინ წასწევს. მარჯვენა ხელი, თითებით ქვემოთ ჩაბრუნებული და ცერათი სახელურის გასწვრივ გაჭიშვით, უნდა მხარზე დაბლა იყოს და არ უნდა გაჰშორდებოდეს ფეხის გასწვრივი ხაზს; მარცხენა ხელი იჭირება წელის მძივთან, ნიდაყვში მოხრილი და თითებ მუშტად შეკუმშული.

საბრძოლი დგომა უნდა იყოს თავისუფალი და დაუჭიმავი. (ნახ. 91).

198. სხეულის სიმძიმის მარცხენა ფეხზე გადა-
ცემის სისწორის შესამოწვებლად საბრძოლველ
დგომის დროს წარმოითქმება განკარგულება: **ასწი
მარჯვენა ფეხი, ან დააბარტუშეთ ორ-
ჯელ.** მეფარიკემ უნდაშეასრულოს ეს განკარგუ-
ლებანი, სხეულის მდგომარეობის შეუცვლელად,
და მეორე განკარგულების ასრულებისას — დაარტყას
მარჯვენა ფეხის მოელი ტერფი.

199. ფარიკაობის დროს, უფროსის მოახლოები-
სას, წარმოითქმება განკარგულება **სმენა.** ამ განკარ-
გულების შემდეგ მოფარიკენი მიაღვამენ მარჯვენა ფეხს
მარცხენასთან, კედაროზე მობრუნებით მიიღებენ
მდგომარეობას, როგორიც ნაჩვენებია ქვეითად სწავ-
ლების დროის დადგომისთვის, ამავე დროს იღებენ
ხმალს მხართან.

ფარიკაობის გასაგრძელებლად იგანკარგულება:
იზარე. ამ განკარგულების. შემდეგ მოფარიკენი
მე-197 მუხ. მოხსენებულის თანახმად დგებიან.

200. განკარგულები — **დაუშვით სალები,**
მოფარიკენი წვერით მიწაზე დაუშვებენ. განკარგუ-
ლები **იზარე** იგი კვლავ დგება მე-197 მუხ. მო-

წ რ ე ვ ბ ი.

201. წრეები კეთება ტატნობრივი და გვერდი-
სები: ტატნობრივი — მარცხნილან — მარჯვნივ და
მარჯვნილან — მარცხნივ, გვერდისები — მარცხნივ და
მარჯვნივ.

202. განკარგულებით ტატნობრივი წრე მარ-
ცხნილან-მარჯვნილი, მოფარიკე შეატრიალებს
მარჯვენა ხელს თითებით ზევით და აკეთებს წრეს
თვის წინ მარჯვნილგან — მარცხნივ, რის შემდეგაც
ხმალს თავდაპირველ მდებარეობაში მოიყვანს.

203. განკარგულებით ტატნობრივი წრე მარ-
ჯვნილგან-მარცხნილი. მოფარიკე ამოატრიალებს
მარჯვენა ხელს თითებით ზემოთ და ხმლით აკე-
თებს წრეს თავის წინ მარჯვნილგან — მარცხნივ, რის
შემდეგაც იჭერს ხმალს თავდაპირველ მდგომა-
რეობაში.

204. განკარგულება გვერდის წრე-მარცხნილი,
შეფარიკე ატრიალებს ხმალს პირით ძირს და, დაუ-
შვებს რა წვერს ძირს მარცხნივ, უკან მარცხენა
მხართან ასწერს წრეს.

წვერის დაშვების შესაფერისად, იგი ამოატრი-
ალებს ხმალს პირით ზევით და, დაათავებს რა წრეს,
იჭერს თავდაპირველ მდგომარეობაში.

205. განკარგულება გვერდის წრე-მარჯვენი,
იგივე სრულდება, რაც წინა მუხლში, მხოლოდ
მარჯვენა მხრისკენ.

როგორც ტატნობრივი, ისე გვერდის წრეები,
აიწერება მხოლოდ ხელის მაჯაში მოძრაობით, ამას-
თან ხელი შეძლების დაგვარად უმოძრაოდ უნდა
დარჩეს (ნახ. 93).

206. ტატნობრივ და გვერდის წრეების შეუ-
წყვეტლივ კეთებისთვის, იგანკარგულება: ტატნო-
ბრივი მარცხნიდგან — შარჯვნივ, ან მარჯვნიდგან
— მარცხნივ, ან გვერდის წრეები მარცხნივ და
მარჯვნივ-იწვევ. ეს წრეები რომ ჩქარ-ჩქარა ან ნე-
ლა კეთდებოდეს, წარმოითქმება განკარგულება:
ჩქარა ან ნელა.

207. ვარჯიშობის შესაწყვეტად წარმოისთქმე-
ბა: სღეპ. ამ განკარგულებით ხმლები თავდაპირ-
ველ მდგომარეობაში იკავება.

მ ო ძ რ ა ო ბ ა.

208. განკარგულება ნაბიჯით-შინ, მეფორიკე
ადგამს სწრაფად შარჯვენა ფეხს ერთს ნაბიჯზე წინ,
მარცხენას მაშინვე მიუახლიოვებს მას საშრძოლველ
დფომისთვის ნაჩვენებ შანძილზე.

209. განკარგულება ნაბიჯი-შინ, მოძრაობა

ఒమావ్యే వ్యేసిత బడ్జెబా రంగంరిపు వీన్, మెంట్లండ ఉక్కుల్మా వ్యేసిత, ఎ. ఐ. ఉకాన్ లా మార్క్యేన్స ఔచ్చిత.

210. గాన్కార్గుల్లెబా నాంమాగి నాంపిజ్జి-పీన్, మెంట్లార్కొ అడ్జామిస స్టీర్లాట్ఫాడ మార్క్యేన్స ఔచ్చిత మార్క్యేన్సిల్ వీన్ లా మాంసిన్ వ్యే హార్లసఫ్టామిస మార్క్యేన్స ఔచ్చిత మార్క్యేన్సిల్ వీన్ తావ్డాపెంట్రోవ్యేల్ మాన్డిల్చిచ్.

211. గాన్కార్గుల్లెబిత నాంమాగి నాంపిజ్జి-శిప్పిన్, మెంట్లాంబా ఒమావ్యే వ్యేసిత బడ్జెబా, రంగంరిపు వీన్నా మృఖల్చించిం అంబిషన్ట్లో, మెంట్లండ ఉక్కుల్మా, వ్యేసిత ఎ. ఐ. ఉకాన్ లా మార్క్యేన్స ఔచ్చిత.

ప ా ప ా ఏ ణ చ .

212. గాన్కార్గుల్లెబా చుప్పార్లెన్స, మెంట్లార్కొ సెయ్యుల్లిస స్టీర్లాట వీన్ హాప్పెచ్చిత లా మార్క్యేన్స బెల్లిస గాజీమ్చిత, మార్క్యేన్స ఔచ్చిత గాంటాన్చెబా అమావ్యే డాల్స జ్రూస నాంపిజ్జె వీన్, తింటజ్మిస మించిస మెంట్లుప్రింల్చెబ్లాడ లా గాస్ట్రాండ్రెబా మార్క్యేన్స. మార్క్యేన్స ఔచ్చితిస వ్యేర్లు మ్యా-196 మృఖ.— నాంపెచ్చెబి మెంట్లాంబా; మార్క్యేన్సిస ట్రీఏర్ఫ్యి మ్యుచ్చింద్రాత ల్చెబా అంగిలాస. మార్క్యేన్స బెల్లి ఉన్డా న్యూస మెర్లిస సిమాల్లెంట్చె, బెల్లిస వ్యేర్లి కిండ్చె లావాంట్చె డాబ్లా, ఎర్రతి బెల్లిస గుల్లిస అంగ్చెన్చిచ్.

213. మెంట్లార్కొమ ల్చెబా వ్యుచ్చార్లెన్సిస శ్చెమ్చెం మింల్చిస సాంధ్రమొల్లి డాల్సిమా న్యూస హార్లమ్చె-100.

კარგულება: ① ცარი. ამ განკარგულების შემდეგ, მარჯვენა ფეხით მძლავრად აისკუპებს მიწიდგან და სხეულის სწრაფ გადაცემით მოხრილ მარცხენა ფეხებს, მიიღებს თავდაპირველ მდგომარეობას.

214. მეფარიკე რომ წავარდნიდგან ნახტომი გააკეთოს უკან, წარმოითქმება განკარგულება: **ნახტომი-უბან.** ამ განკარგულების შემდეგ მეფარიკე, წაიწევს რა სხეულით წინ და აისკუპებს რა მარჯვენა ფეხით, აკეთებს ნახტომს უკან ერთს ნაბიჯზე და დგება საბრძოლველ დგომით.

ჩხვლეტა და დარტყმა:

215. ჩხვლეტის და დარტყმის მოსახდენად ჟფარიკე აკეთებს წავარდნას; რაკი მოახდენს ჩხვლეტას ან დარტყმას, იგი იღებს საბრძოლველ დგომას.

216. ჩხვლეტისთვის მეფარიკე ყველაფერში მა-112 მუხ. თანახმად იქცვა შესახებ წავარდნისა.

217. ჩხვლეტა ხდება განკარგულებით: პირდაპირ-ჩხვლეტა.

218. დარტყმა ხდება თავში და სხეულზე: ზევიდგან მარჯვენა და მარცხენა მხრივ.

219. დარტყმის მოსახდენად ზემოდგან — ქვემოთ, მეფარიკე, მიატრიიალებს რა ხელს ფრჩხილებით მარცხნივ, ამასთანავე ხმლის წვერს ცოტათი

ზევით სწევს. მარჯვნიდან—მარცხნივ დარტყმის მოხდენისთვის მეფარიკე აბრუნებს ხელს თითებით ზემოთ, ხმლის წვერს კიდევ ამავე დროს ცოტა მარჯვნივ მისწევს, მარცხნიდგან—მარჯვნივ დარტყმის მოხდენისთვის, მოვარჯიშე დასტოვებს რა ხელს თითებით ქვემოდ, ხმლის წვერს ცოტათი მარცხნივ მისწევს.

220. განკარგულება თავი-ჩეხე, მეფარიკე ზე-მოდგან ქვემოთ ახდენს დარტყმას.

221. განკარგულება მარჯვენა ლოჟა, ჩეხე, მეფარიკე, დარტყმას ახდენს მარცხნიდგან—მარჯვნივ (მარჯვნიდგან—მარცხნივ).

222. განკარგულებით მარცხენა (მარჯვენა) ფერდი ან მარჯვენა ფეხი-ჩეხე, მეფარიკე ახდენს დარტყმას მარჯვნიდგან—მარცხვნივ (მარცხნიდგან—მარჯვნივ).

დ ა ფ ა რ ვ ა .

223. დაფარვა ხდება ყოველთვის ხმლის შეა დავასთან უფრო ახლო ნაწილით, ყოველთვის სარძოლველ დგომით და პირით დარტყმის შეხვედრით.

224. ჩხვლეტა გადიცილება ყოველ მიმართულებით.

225. ზემოდგან — ქვემოთ დარტყმისაგან დასა-
ფარავად, მეფარიკე ასწევს მარჯვენა ხელს ზევით
და მარჯვნივ ისე, რომ ხმალი მოვიდეს თავის წინ
და ზევით; ამასთან წვერი უნდა მირცხნივ იყოს.

226. მარჯვენა ლოყაზე მოხდენილ დარტყმი-
საგან დასაფარავად, მეფარიკე გაიტანს მარჯვენა
ხელს მარჯვენა მხრისკენ, მოჰლუნავს რა მას ნი-
დაყვში ცოტა მეტად, ვიდრე საბრძოლველ დგომის
დროს, და ამასთანავე ხმლის წვერს ასწევს ზემოთ.

227. მარცხენა ლოყაზე მოხდენილ დარტყმი-
საგან დასაფარავად, მეფარიკე გაიტანს მარჯვენა
ხელს მარცხენა მხრისკენ ისე, რომ ხელი ნიდა-
ყვის სიმაღლეზე და მარცხენა მხარის გასწვრივ
მოვიდეს; ხმალი ისევე უჭირავს, როგორც წინა
შემთხვევაში. (ნახ. 96 და 97).

228. მარჯვენა ფეხზე და ფერდზე დარტყმის
დასაფარავად, მეფარიკე გაიტანს (გასწევს) ხელს
მარჯვნივ: პირველ შემთხვევაში მხრის სიმაღლეზე,
მეორეში ცოტა უფრო ქვემოდ, გაისწორებს მას
და ხმალს წვერით დაუშვებს ძირს და ცოტათი წინ.

229. მარცხენა ფერდის დასაფარავად დარ-
ტყმისაგან მეფარიკე გაიტანს (გასწევს) მარჯვენა
გჟლავს მარცხნივ ისე, რომ ხელი მოდიოდეს მარ-
ცხენა მხრის გასწვრივ; ხმალი ამ დროს წვერით

ძირს და ცოტათი წინ უნდა იყოს დაშვებილი.

230. დაფარვის მოყვანილი სახეები შეაღგენს მის პირველ ილეთს (იშკილს); მეორე ილეთი შეღგება მეფარიკესაგან ხელის თავის ადგილას გადატანა.

231. დაფარვისთვის იგანკარგულება; იფარე-
თავი; იფარე მარჯვენა (მარცხენა) ლორე; იფარე მარცხენა (მარჯვენა) ვერდი; იფარე მარ-
ჯვენა-ვერდი. შესრულება დაუნაწილებლივ ხდე-
ბა; იმისვე დანაწილებით შესრულებისთვის, ზემო
მოყვანილ განკარგულების წინ დაემატება: ილე-
თებად ამის შემდეგ კიდევ: შეასრულე-მრთ შე-
ასრულე-ორ.

232. ფარიკაობის გათავების შემდეგ იგანკარ-
გულება: **სმენა**, ამ განკარგულების შემდეგ მეფა-
რიკე ასრულებს მე-199 მუხ. მოხსენებულს, ამის
შემდეგ წარმოითქმება განკარგულება ხმლები ჩაა-
გეთ, რომელნიც საერთო წესებით სრულდება.

თავი II.

ორ მხრივი ფარიკაობა.

233. ორ მხრივი ფარიკაობისთვის მეფარიკენი
შეიარაღებულნი უნდა იყვნენ ესპადრონებით.

ესპადრონი იჭირება თავისუფლად ჩაშვებულ
მარცხენა ხელში, დავის ქვემოთ, რკალით წინ,
წვერით უკან.

234. ორ მხრივი ფარიკაობისთვის, ცვლებად
დაყენებული მეფარიკენი, უნდა ორ-ორად გაითვა-
ლნენ, რისთვისაც წარმოითქმება განკარგულება:
ორ-ორათ-გაითვალე,

შემდეგ წარმოითქმება განკარგულება: პირ-
გელ ნომრებო, ამდენი და ამდენი ნაბიჯი წინ,
ნაბიჯით-წპ; როდესაც დასახელებული ნომრები
გაივლიან განსაზღვრულ რიცხვ ნაბიჯებისას და
შესდგებიან, ისინი უნდა მოტრიალებულ იქმნენ
ჰურგისკენ და შემდეგ უჭანგარგულოთ: შუადან
მარჯვნივ და მარცხვნივ ესპადრონზე გაი-შემრ.

უკანასკნელ განკარგულების შემდეგ გაიჯრე-
ბიან ოთხს ნაბიჯზე ერთი მეორისაგან და დგებიან:
პირველი ნომრები მეორეს პირის-პირ.

235. განკარგულებით **დადექ** და **საბრძო-
ლად-მზად**, მეფარიკენი მე-196 და 197 მუხ. ნა-
თქვამის თანახმად მოიქცევიან.

ესპადრონები ისე უნდა გადაჯვარინდეს, რომ
ერთმანეთს პირებით წვერიდგან დაახლოებით ერთს
ჩარექზე ეხებოდნენ (დარტყმის ცქიტის პირადპირ).

236. ორ მხრივი ფარიკაობის დროს უფროსის

მთახლოებისას იგანკარგულება: **სპეც.** ამ განკარგულების შემდეგ მეფარიკენი, მიაღვამენ რა მარჯვენა ფეხს მარცხენას, მიიღებენ მდგომარეობას ჭვეითად სწავლებაში დგომისთვის ნაჩვენებს და იქერენ ესპადრილებს, როგორც აწერილია მე-199 შუხლში.

ფარიკაობის გასაგრძელებლად წარმოითქმება განკარგულება: **დადებ** და საბრძოლველათ-მზად.

237. ცალმხრივი ფარიკაობის ყველა წესები ერთნაირად გამოყენების ორმხრივი ფარიკაობის დროსაც.

238. ორ მხრივი ფარიკაობის დროს, როდესაც ერთი ნომრები ახდენენ დარტყმას, მეორეში აწარმოებენ დაფარვას.

ამისათვის წარმოითქმება განკარგულება: პირველი (მეორე) ნომრები სჩეხენ; მეორები (პირველები) იფარებიან.

შესრულება ამის შემდეგ ხდება იმ განკარგულებებით, რომლებიც წარმოითქმება ცალ მხრივი ფარიკაობის დროს.

მაგალითად:

- 1) პირველი ნომრები სჩეხენ, მეორეები იფარებიან.
- 2) თავი

- 3) ჩეხე, ან
- 2) მარჯვენა ლოფა
- 3) ჩეხე, ან
- 2) მარცხენა ფერდი
- 3) ჩეხე, ან
- 2) მარჯვენა ფეხი
- 3) ჩეხე.

მ ო ტ ჟ უ ე ბ ა ნ ი.

239. მოტყუება ეწოდება სათვალშაქუო დარტყმას, რომელიც იხმარება მოწინააღმდეგის შეცლომაში შესაყვანად.

როცა მოწინააღმდეგე იფარება სათვალშაქუო დარტყმისაგან, მაშინ მეფარიკე ახდენს დარტყმას მის დაუფარავ მხარედგან.

140. სათვალშაქუო დარტყმა წავარდნასთან ერთად ხდება, აშასთან მეფარიკე თავის ხელს ისეთ მდებარეობას აძლევს, რომელიც ნაჩვენებია შესაფერ დარტყმისათვის; ამის შემდეგ მეფარიკე სწრაფად ახდენს დარტყმას მოწინააღმდეგის დაუფარავ მხრიდგან.

231. ზემოაღნი შნულის შესასრულებლად წარმოითქმება განკარგულებები — ჯერ მოტყუებისთვის: მოტყუება თავზე (მარჯვენა ან მარცხენა ლო-

ყაში, მარცხენა ან მარჯვენა ფერდზე), შემდეგ
ამისა ნამდვილ დარღუმის მოსახლენად, როგორც ეს
მოხსენებული მე-220, 221, 222 და 238 მუხლებში.

მაგალითად:

მოტყუფება მარცხენა ლოუაზე, მარჯვენა ფერ-
დი-ჩენე.

უკანასკნელ განკარგულების შემდეგ, თუ პირ-
ველი ნომრები სჩეხავენ, იფარებიან კი მეორეება-
მაშინ პირველები აკეთებენ მოტყუფებას და სის ჭი-
მეორეები იფარებიან მოტყუფებისაგან და წამშეტყი-
დარტყმისაგან.

შებრუნებული დარტყმები.

242. შებრუნებად იწოდება დარტყმა, რომე-
ლიც დაფარვის შემდეგ წამსვე ხდება.

243. შებრნებულ დარტყმისთვის წარმოი-
თქმება განკარგულება, რომელიც უჩვენებს რომელი
ნომრები და რა გვარ დარტყმას ახდენს, შემდეგ —
რომელი ნომრები საით უპასუხებენ.

მაგალითად:

- 1) პირველო ნომრებო თავი
- 2) მეორე ნომრები შეუბრუნებენ მარჯვენა
ლოუაზე.
- 3) ჩენე.

ასასრულებელ განკარგულების შემდეგ პირველი
ნომრები სჩეხენ, მეორეები იფარებიან; შემდეგ მე-
ორეები შეუბრუნებენ, პირველები კიდევ იფა-
რებიან.

დარტყმები მოტყუებით, და შებრუნებით.

244. მოტყუებით და შებრუნებით დარტყმის-
ას. წინა მუხლში შებრუნებით დარტყმისთვის
229 კანილ განკარგულებების წინ უდნა წარმოი-
ჟვას მოტყუების განკარგულება, თანახმად მე-
241 მუხლისა.

მაგალითად:

- 1) პირველო ნომრებო, მოტყუება თაგზე;
მარჯვენა ფერდი.
- 2) მეორე ნომრები შეუბრუნებენ მარცხენა
ლოკაზე.
- 3) ჩეხე.

ასასრულებელ განკარგულების შემდეგ პირვე-
ლი ნომრები ატყუებენ დასჩეხენ, მეორეები იფა-
რებიან; შემდეგი მეორეები უპასუხებენ, პირველე-
ბი კიდევ იფარებიან.

245. ორმხრივი ფარიკაობის დროს ერთს გან-
კარგულებით არ უნდა აღინიშნოს ორთავე მხრი-
ლგან თითო დარტყმაზე მეტი.

თავისუფალი ბრძოლა.

246. უგანკარგულებოთ მეფარიკეს მიერ ყველა ზემო აღნიშნულ ილეთების (იშკილების) გამოყენებას მოპირდაპირის მოქმედების და მიხედვით ეწოდება თავისუფალი ბრძოლა.

247. ზემოაღნიშნულ ილეთების გარდა თავისუფალ ბრძოლის დროს იხმარება: 1) ხელში ჩარტყმა, 2) ხელის დაფარვა დავის რკალით, და 3) მარჯვენა ფეხის დაფარვა მოწინააღმდეგის თავში დარტყმით. უკანასკნელ შემთხვევაში ესპადრონით კი არ იფარება, არამედ ფეხის მარცხენას უკან გადტანით და წვერზე დადგომით.

248. თავისუფალ ბრძოლის დროს შეიძლება დარტყმის შეუზღვულველ რიცხვის მოხდენა, შეგრამ სახეში უნდა იქონიოთ, რომ ბრძოლის წარმატებით დაბოლოვება დარტყმების რიცხვზე კი არ არის დამკიდებული, არამედ ხარისხზე, ე. ი. მათი სისწორით წარმოებაზე.

249. ყოველ დარტყმის შემდეგ მეფარიკე მოვალეა მიიღოს საბრძოლველი დგომა, და შემდეგ შეუძლიან განაგრძოს ბრძოლა.

თ ა ვ ი III.

ფარიკაობა და თავისუფალი ბრძოლა ცხენზე.

250. ცხენზე ფარიკაობის დროს მხედარი შოვალეა მოიხმაროს ყველა ილეთები, რომლებიც აღნიშნულია ცხენზე იარაღის შოხმარებისთვის და ფარიკაობისთვის.

251. ცხენზე ფარიკაობის დროს მარცხენა ხელი მთლად, თავისუფლად იჭირება, რომ ცხენი არ შეწუხდეს, რადგანაც ცხენის მართვაზე დამოკიდებულია ფარიკაობის კარგი შედეგი. -

252. ცხენზე ფარიკაობისთვის მხედრები ეწყობიან ერთმანეთის პირის-პირი გაჯრილი.

დარტყმა და დაფარვა ამ შემთხვევაში ხდება იმგვარადვე და იმავე განკარგულებითვე, როგორც ქვეითად ფარიკაობის დროს, ჯერ აღვილას, შემდეგ ნახევარ ცვლით (მწკრივით) ერთმანეთ შუა გავლითაც, ყოველ ალიურით, ნავარდითაც აგრეოვე ნახევარ ცვლის გამოჭიმვით თითობლივ, ერთი შეორის შეხვედრით.

253. ზემონაჩვენებ ნახევარ ცვლების შუა გავლით, მხედრები უსათუოდ მარჯვენა მხარით უნდა შეეყრებოდნენ ერთმანეთს, ე. ი. იარაღით ია-

რაღთან; თითოებლივ გავლისას კი — სულ ერთია,
გინ მარჯვენა მხრით, გინ მარცხენათი, რისთვისაც
წარმოითქვება შესაფერი განკარგულება.

254. ცხენების მორტყმა აკრძალულია.

255. ცხენზე თავისუფალ ბრძოლის დროს
მხედარს მოქმედების სრული თავისუფლება ეძლევა,
მაგრამ ფარიკაობის აღნიშნულ ილეთების დაცვით.

256. თავისუფალ ბრძოლის დროს ჩხვლეტის
და დარტყმებისაგან დასაცავად იხმარება შემდეგი
საგნები.

ქვეითად ფარიკაობის დროს:

1) ნიღაბი (ნახ. 100), 2) მარჯვენა ხელთათ-
მანი (ნახ. 101) 3) საგულმკერდე (ნახ. 102).

ცხენზე ფარიკაობის დროს:

- 1) ნიღაბი
- 2) მარჯვენა ხელთათმანი
- 3) საგულმკერდო საზურგეთი (ნახ. 103)
- 4) საკისრე (ნახ. 104)
- 5) მარცხენა ხელთათმანი (ნახ. 105)
- 6) სამუხლეები (ნახ. 106)
- 7) თავსახური ტანსახურით ცხენისთვის (107)

თ ა მ ი Ⅳ.

ჩხვლეტა, დარტყმა და აცდენები ხმლით.

408. ჩხვლეტა, დარტყმა და ხმლით აცდენებში ვარჯიშობა ხდება ქვეითად ადგილას და მოძრაობის დროს, აგრეთვე ხის ცხენილგან, იმავე წესებით, რომლებიც ნარჩევია ცხენზე იარაღის მოხმარები სთვის.

თ ა მ ი Ⅵ.

415. ხიშტით ჩხვლეტას მოხდენისთვის თოფი იღგბა ხელზე, უნდა გაკეთდეს წავარდნა და ამავე დროს მარჯვენა ხელით სწრაფად წარიგზავნოს ხიშტი წინ, ამ დროს თოფი მარცხენა ხელზე უნდა მისლიგინდებოდეს.

როცა თოფი ამ გვარად წინ იქნება გაწვდოლი, მაშინ კონდახის დუმა მარცხენა მხარზე ცოტათი დაბლა უნდა იყოს, მარცხენა ხელი კიდევ კორას ქვეშ უნდა მოხვდეს.

ჩხვლეტის შემდეგ თოფი სწრაფადვე უნდა გამოიწიოს უკან და კვლავ ხელზე დაიჭიროთ (ნახ. 132).

წესვბი შეკმაბენს

და

ცხენობან ჯარის სამწყობრო ცხენების ზარბაზნებისთვის
წამბისა.

თავი 1.

წესები შეკაზმვისა ჯ.-კაცთათვის.

1) ცხენის საჭურველი (შეკაზმულობა).

ამ საჭურველს შეაღგენს: თავთასმები, უნაგი-
რი, უნაგირის კუთვნილება.

თ ა ვ თ ა ს მ ე ბ ი.

თავთასმები შეაღგენს: ა) ავშარა საბმურით,
ბ) ლაგმის თავთასმები საცხვირეთი, გ) ლაგმის და
აღვირის ტოტებით, დ) ლაგაში ჯაჭვით და ე) აღ-
ვირის რკინა.

1) ავშარას შეაღგენს: ა) თავის და ყბების
თასმები, ბ) საშუბლე, გ) საპირბადე, დ) ყბის ქვე-
შედი, ე) შემაერთებელი თასმა, ვ) სატუჩე და
ზ) საბმური, აგრეოვე რგოლები, ბალთები და ამ
თასმებისთვის პოლტები.

2) ლაგმის თავთასმებს შეაღგენს: თავის და
ყბის ლაგმის თასმები და ბ) საცხვირე, აგრეოვე

რგოლები, ბალთები და ამ თასმებისთვის პოლტები.

უ ნ ა გ ი რ ი.

უნაგირს შეადგენს: ა) კეხი, ბ) მოუქნელი ტყავი, გ) უნაგირის ფიცრების ქვეშ ორი ამოსაგები, დ) საჯდომი, ე) ორი საქლეში (საბარკული) ვ) ორი უზანგის თასმა უზანგიანად, ზ) ორი მოსართავი, თ) სამკერძული, ი) საოფლე, კ) თექალთო, ლ) პარკუჭები ორი წინა ბარგულასთვის, მ) ტყავის ხურჯინი უკანა ბარგისათვის და ნ) 10 ბარგის თასმა.

კეხს შეადგენს: ა) არყის ხის ორი ფიცარი და ბ) ორი რკინის მილისებური ტახტა.

უნაგირის კუთვნილება.

უნაგირის კუთვნილებებია: ა) საფარებელი, ბ) საფარებლის მოსართავი. გ) ტყავის პარკუჯები: შაქრისთვის, დ) ბრინჯეულისთვის, ე) მარილის-თვის ვ) შვრილისთვის (ფურაფისა), ზ) შაქარ და ჩაის-თვის, თ) ორი პარკუჭა (ჯიბე) თოფის და საკერავის კუთვნილებისთვის და სამი ჩოტკი: ტანისამოხის, წასასმელი საჭურველის და ცხენის მორთულობის საწმენდათ, ი) თვის ბაღე, კ) თოფრა, ლ) საგდებელი თივისთვის, მ) ცხენის ჩოტკი,

საურველი, ۲) საბმურის მარგილი, ۳) წყლის სას-
მელი ვედრო, ۴) ღუშაყი თასმით შეერთებული,
۵) ტყავის პარკუჭა საურველისთვის, ნალ-ლურ-
სმნისთვის, ۶) საჯინიფოს ავშარა და ტ) შუბისთვის
ფოსო, ვისაც ეს მიეკუთნება.

უნაგირის აწყობა.

კეხს აეწყობა კუთვნილება შემდეგ რიგით:

ბარგის თასმები კეხის ფიცრების წინა და
უკანა ბოლოებს ხამი თასმებით იმდენად მაგრა
მიემბებიან, რომ, რამდენადაც კი შეიძლება, უძრავად
იყვნენ.

მოუქნელი ტყავი (უბალიშოდ, საქლეშების
შემდეგ ჰიოეწყობა), იდება ტახტებზე, ბოლოების
შემოკეცვით და გატარებით რკალის შესაფერ ნა-
ჩერეტებში, რომლებიც მოთავსებულია ტახტებ-
თან, და ამ ტყავის ბოლოები გაიბლანდება ხამი
კოპით. ჯერ გაიბლანდება ტყავი უკანა ტახტასთან,
წინასთან—ყალიბით ტყავის დაჭიმვის სისწორის
შემდეგ. ამ მიზნით ყალიბი იდება ამოჭრილებით
ტახტების შუაზე და ტყავი მტკიცედ იჭიმება ყა-
ლიბის მორკალულზე (წრეზე); თუ ამ დროს ტყავის წი-
ნა გაჭრილი, რომელშიც წინა ტახტამ უნდა გაი-
აროს, საკმარისი არ იქნება ტყავის ასაწევ-დასაწე-

ვად, მაშინ გაჭრილი თანდათან დიდდება. ტყავის
 ასე გაწყობის შემდეგ, მისი ბოლო წინა ტახტას-
 თან იბლანდება ხაში კოპით. ტახტებთან ტყავისგა-
 ბლანდვისოვის, კოპის წვერები ზემოდგან და ქვემო-
 დგან ერთად გატარდება ტყავის განაპირა გაჩვრე-
 ტილში; გარეთ გასფლის შემდეგ, კოპის
 ორთავე წვერი გატარდება შემდეგ ნაჩვრეტში, ზე-
 მოდგან გარეთ გასული ერთი წვერი გატარდება
 მესამე ნაჩვრეტში და, შემოევლება რა ტყავის ნა-
 პირს, მიღის ისევე იმავე ნაჩვრეტში, სადაც თაფის
 მეორე წვერზე ინასკვება ტყავის ქვემოდან. კოპის
 მეტი წვერები არ მოიჭრება და შეიძლება გაშო-
 დგეს ტყავის შემდეგი გაბლანდვისოვის, ამის შედეგ
 მოუქნელი ტყავი კეხის ფიცრებზე მიიჭიმება სამი
 თასმის შემწეობით, რომლებიც გადახლართვით
 ხან ტყავის ნაჩვრეტში გატარდება და ხან კეხის ფიც-
 რისაში; იწყება ხოლმე უკანა ტახტიდგან, გათავ-
 დება წინასთან.

მოუქნელ ტყავის მისაჭიმვად ყოველ დანი-
 შნულხამი თასმის ერთი წვერი ჩამაგრდება უკანა
 ტახტის ნაპირა ნაჩვრეტში, მეორე წვერი ამავე
 თასმისა თანდათან გადახლართვით გატარდება მო-
 უქნელ ტყავის და კეხის ფიცრის შესაფერ ნაჩვრე-
 ტებში, ჯერ კეხის ფიცრის მარცხენა მხრიდგან მე-

სამე ნაჩვრეტაშდე, შემდეგ მის მარჯვენა მხრივ შუაგულაშდე. ყალიბით გაქნილ ტყავის უკანა ნაწილის სისწორის შემოწმების შემდეგ გრძელდება მისი მიჭიმვა წინა ტახტაშდე: ჯერ კეხის ფიცრის მარცხენა მხრიდგან, შემდეგ მარჯვენიდგან, ამასთან ტყავის და კეხის ფიცრის უკანასკნელ ნაჩვრეტში ხამი ტყავი გატარდება ორჯელ, რის შემდეგაც წვერები ჩამაგრდება, რისთვისაც ისინი შემოქვევიან კიდევ უკანასკნელად. თასმები ტყავის მიჭიმვის დროს ტყავს და ფიცრებს მაგრა უნდა ეხებოდნენ გადაუხვლანჯველად.

შენიშვნა: მოუქნელ ტყავის სწორი დების უესამოწმებლად ყალიბი კეთდება ხის ან ლითონის, მორკალული ფორმისა, ზემოთა სწორი ზურგით და თავბოლოს ორ გამოწვდილით, ტახტებზე დასადებათ. ყალიბი ძირს მორკალულ კიდურზე არის ორი ამოლმარვებული, სიგძით $\frac{3}{4}$ ვერშოკისა და სიღრმით $\frac{3}{32} - \frac{1}{8}$ ვერშოკისა, რომლებიც მოსართავების გასატარებელ ადგილას მოდის. ყალიბის სიგრძე ზემოთა ზურგზე უდრის $10\frac{5}{8}$ ვერშოკს, გამოწვდილებს შეაა $9\frac{1}{2}$ ვერშ., სიგანე შუაზე (რაღიუსი) $3\frac{1}{2}$ ვერშოკი. ყალიბის სიგრძე ქვემოთა მორკალულ კიდურთან უდრის $11\frac{1}{4}$ ვერშ.

მოსართავები. მოსართავის თავისუფალი წვერი გადაგდება კეხის მარცხენა მხრივ, მოუქნელ ტყავის ზემოდგან, და კეხის ორთავე ფიცარს მიჰმაგრდებიან ოთხ ხამი ტყავით, ამასთან მოსართავები მოუქნელ ტყავზე დაუჭიმავად უნდა ეშვოს; წინა მოსართავი უნდა გატარებული იყოს მოუქნელ ტყავის და მასზე მიბლანდულ ხამ ოსმის შესა, მოსართავის წვერები კიდევ მარცხენა ფიცრის ქვემოთ ნაპირს უნდა ჰშორდებოდეს $5\frac{1}{2}$ —7 ვერშოვით.

საქლეშები. (საბარკულები) მიებმება კეხის ფიცრებს ამობურთულით წინ, ოთხ ხამ ოსმის საშუალებით, თითო საქლეშზე ოროლი თასმა მოღის.

შენიშვნა. ყოველი ხამი ოსმა, რომელიც კი მიამაგრებს რაიმე კუთვნილებას კეხის ფიცრებს უნდა მაგრა გაიჭიმოს; ამ ოსმების კვანძი კეთდება მიმბულ საგნის გარეთა მხრიდგან; ფიცრებს შიგნითა მხრივ აქვს ამოღარული ადგილები, რომლებიც შეეფერება ხამი ოსმების სისქეს და სიბრტყეს; ამოღარულების არა საკმაო სიღრმის შემთხვევებში, უნდა ამოღრმავდეს, რომ ოსმა შიგ იჯდეს.

ბალიშები. მოუქნელ ტყავს მიჰმაგრდება ხამი ოსმებით, მათი უკანა ყურები უკანა ტახტის მა-

ლიკებს გაეწყობა. ბალიშების მიბმა ხდება უკანა ტახტიდგან წინისკენ, ყოველ თასმის წვერის გატარებით მორიგეობით ბალიშის და ტყავის ნაჩვრეტებში, და კვანძად გამოინასკვნება მოუქნელ ტყავის ქვეშ.

უზანგის თასმები. თასმის თავისუფალი წვერი გაიყრება უზანგის ყუნწში, შემდეგ თავის ტყავის მოძრავ პოლტში კენის ფიცრის ნაჩვრეტებში გარეთა მხრიდგან, შემოევლება ფიცრის ამოღმრმავებულის ზემოთა კიდურს და, გადიკეცება რა ფიცრის გარეთა მხართან, იკვრება მეორე ბოლოზე მიკერებულ ბალთაზე, თასმები ეწყობა საბარკულების ზემოთ, ამასთან მათი ბალთების ზემოთა კიდური უნდა იყოს ამოღმრმავებულის ზემოთა კიდურთან, მოძრავი თასმის პოლტი კიდევ უნდა იდოს უზანგებს ახლო.

შენიშვნა. როცა მხედარი ცხენზე არ ზის, უზანგები რომ არ ქანაობდეს და არ აწუხებდეს ცხენს, უნდა აწეულები იყოს; ამისათვის აიწევა ტყავის პოლტი და უზანგი ზევით უზანგის თასმაზე (უზანგი შიგნითა თასმაზე), კენის ფიცრამდე, გატარდება რა თასმა უზანგში, უნდა ჩაიჭიმოს საბარკულის ზემოდგან.

ნაბეჭის ამოხაგებები. კენის ფიცრებს გაე-

წყობა ტყავის ჯიბეების საშვალებით, რომლებიც
ჩამოეცმება ფიცრების წინა თავებს, და ამავე ფი-
ცრების ბოლოებს მიკმაგრდება ამოსაგებებზე მიკე-
რებულ თასმებით.

საჯდომი გაეწყობა კეხს ისე, როგორც ნა-
ჩენებია ქვემოთ, ხურჯინების გაწყობის შემდეგ.

საოფლე იდება თექალთოს ქვეშ და მიებმე-
ბა მას ორი სამი თასმით, რომლებიც გატარდება
საოფლეს და თექალთოს ნაჩვრეტებში და თექალოზე
დაკრულ ტყავის რგოლებში, რის შემდეგაც თა-
მები შეიკვრება; ბოლოები თავისუფლები რჩება
მოუქნელ ტყავზე თექალთოს მისამაგრებლად.

შენიშვნა. ომის ხანაში უნაგირის ორი
საოფლე აჭვს თექალთოს ნაბდის ქვედა პი-
რის მიუხედავათ. ეს საოფლეები ერთი მეო-
რეზე იდება და მიიბმება თექალთოზე, რო-
გორც ერთი.

თექალთო ნაბდის ქვედა პირით და მიმაგრებულ
საოფლეთი, ომის დროს ორი საოფლეთი, უნაგირს
გაეწყობა და მიიბმება რამდენადაც კი შეიძლება
მაგრა რომ საოფლეს და ცხენის ხერხემალ შეა-
იყოს თავისუფალი დენა ჰაერისა. ამისათვის უნა-
გირის თექალთოზე დადგომის შემდეგ, წინა ტახ-
ტის რკალის და საოფლეს ტყავის რგოლში წინა
შუალა საბარგე თასმა, რომლის ბოლოც კვლავ

გატარდება აღნიშნულ რკალში, ამ თასმით მიჭი-
მული საოფლე თექალთოთი ხელით ჩაიბერტყება
კეხში მოუქნელ თასმამდეს. შემდეგ თექალთო,
საოფლესაგან წამოსულ თასმებით მიჰმაგრდება
მოუქნელ ტყავს, ამასთან ამ თასმების წვერები
შეიკვრება ტყავის ქვეშ და არ დაიკვეცება. ამის
გაკეთების შემდეგ საოფლე გასწორდება და კუთ-
ხებში მიკერებულ თასმებით მიიბმება თექალთოზე
მიმაგრებულ ტყავის ყულფებს. ომის დროს, ორთა-
ვე საოფლე მიჰმაგრდება ყულფებს.

შენიშვნა. ნაბრის კუთვნილებანი: საოფ-
ლე, თექალთოს ზედა პირი და კეხის ფიცრე-
ბის ამოსაგები ვიდრე უნაგირს გაეწყობოდეს,
ჯერ უნდა გაიწმინდოს. გასაშრობათ ყველა ეს
ნაწილები უნაგირს ეხსნება და ცალკე ეწყო-
ბა ხოლმე. დროს უქონლობისას გაშრობის-
თვის უნაგირი ამოტრიალდება და საოფლე
კუთხებიდან ახსნილი გადაიკეცება ჰაერის
გავლისთვის.

სამკერდული. მოუქნელ ტყავზე მიკერებულ
ხამი თასმის ყულფში გატარდება გრძელი თასმა
და მარჯვენა მხრივ შეიკვრება მოკლე თასმის ბალ-
თაზე. სამკერდული უნდა იყოს კეხის ფიცრების
წინა წვერებზე, საბარგულის ბოლოების ქვემოდ.

2) შეკაზმება.

ასე გამზადებული უნაგირი ედება ცხენს ზურ-
გზე, ამასთან წინა ტახტის რკალი უნდა მოვიდეს
ქეჩოს შეა..

შემდეგ მოიჭირება მოსართავები; წინა მოსარ-
თავი ჯერ უნდა გატარდეს სამკერდულის ქვედა
თასმის ყულფში; მოსართავები თანდათან მოიჭი-
რება და არა ერთბაშად: ხან წინ, ხან უკან; ამათ-
განი წინა ცოტა ცერად მიმართული უნდა მოდიო-
დეს ცხენის წინა ფეხებიდგან ვ ვერშოკის სიშო-
რეზე, ამასთან ეს მოსართავი იმდენად მაგრა უნდა
იყოს მოჭერილი, რომ უნაგირი არ გადასხლტებო-
დეს, უკანა მოსართავი უკანა ფეხებისკენ ცერად
მომართული, უნდა წინაზე ნაკლებად იყოს მოჭერი-
ლი, რომ ცხენს სუთქვა არ გაუძნელდეს. უკანა
მოსართავი წინას დაშორებულია შემაერთებელ
თასმის სიგანით. ე. ი. მოსართავების შიგნითა ნა-
პირებს შეა უნდა იყოს 6-6^{1/2} ვერშოკი.

სამკერდულის მოკლე თასმა შეიკერება გრძელ-
თან ტახტზე მოდებული, ამასთან მოკლე თასმის
ბალთა ერთს სიმაღლეზე უნდა იყოს; სამკერდული
სახსრების ზემოთ უნდა იყოს გაწყობილი და იმ-
დენად უნდა იყოს აჭიმული, რომ არ ქანაობდეს
აქეთ იქით.

წინა საბარგულე თასმები: ა) შუალა—გა-
 ტარდება, როგორც ზევით არის ნათქვამი, წინა
 ტახტის რკალში და საოფლეს ტყავის ყულფში,
 შემდეგ კვლავ ამავე რკალში. შემოვლება წინა
 ბარგულას და შეიკვრება ბალთაზე, რომელიც ცხე-
 ნისკენ უნდა იყოს მიტრიალებული; ბ) გვერდისე-
 ბი გატარდება კეხის ფიცრებში მხედრის მხრივ,
 მოკლე თასმის მიკერების აღვილამდე; წინა ბარგუ-
 ლას გაწყობის შემდეგ, ამა თასმების თავისუფალი
 წვერები იკვრება ჯერ ქვემო ბალთებზე, ბუდეების
 გაწყობის შემდეგ, რა კი ეს გაკეთდება ზემოთა
 ბოლთებზე—შინელის გაწყობის შემდეგ; ქვემო
 ბალთებზე შეკვრამდის თასშები ბუდეების ყულფებ-
 ში გატარდება; ბალთები ცხენისკენ უნდა იყოს
 მიბრუნებული, გ) ქვემოთები-დაკეცილ შინელის
 ბალთების გაწყობის შემდეგ, გატარდება ოქალთოს
 წინა საბარგულე ბალთებში და თვის ტყავის პოლ-
 ტებში, შემდეგ შემოვლებიან გარედგან დაკეცილ
 შინლის ბალთებს და გატარდებიან ოქალთოს
 მეორე საბარგულე ბალთებში, თავისუფალი წვე-
 რები კიდევ შეიკეცება უკან და თვის ბალთებზე
 იკვრება, რომლებიც ოქალთოს წინა საბარგულის
 ბალთებთან, შეძლებისა დაგვარად, ახლო გაეწყობა
 და შებრუნებულია მხედრისკენ.

უკანა საბარგულე თასმები: ა) შუალა, საჯ-
დომის გაწყობის შემდეგ, გაიყრება ტახტას რკალ-
ში, საოფლეს ტყავის ყულფში (ორ საოფლეს
დროს — ქვემო საოფლეს ყულფში) და კვლავ იმავე
რკალში შემოევლება დახვეულ საფარებელს შუაზე
და შეიკვრება ცხენისკენ მოქცეულ ბალთაზე;
ბ) გვერდის თასმები — ხურჯინის გაწყობის შემდეგ,
გაიყრებიან კეხის ფიცრის საფარგულის ბალთებ-
ში და თავის ტყავის პოლტში, რომლებიც განსა-
კუთრებულ თასმაზე მიკერებულნი; საფარებლის
და ქვაბის გაწყობის შემდეგ, ეს თასმები, მხედრის-
კენ მოქცეულ, თავის ბალთებზე იკვრება; ქვაბის
უფრო მაგრა გაწყობისთვის, მისი მომჭიმი თასმა,
შემოევლება უკანა ტახტას და იმ თასმის ქვეშ
გატარდება, რომელიც ამოდებულს მიამაგრებს კე-
ხის ფიცარს; გ) ქვემოთები — თასმები, ხუჯინის მიმ-
მაგრებელნი, თავის თავისუფალ წვერებით გატარ-
დება ოქალთოს უკანა საბარგულე ბალთებში და
სარტყულაზე მოკერებულ თავის ტყავის პოლტებში,
შემდეგ შემოევლება გარედგან ხურჯინს, გატარ-
დება ოქალთოს მეორე საბარგულე ბალთებში,
გადაიკეცება უკანვე, შემოევლება რა კვლავ ხურ-
ჯინს, იკვრება თავის ბალთებზე, რომლებიც გაე-
წყობა რამდენადაც კი შეიძლება ახლო თექალთოს

საბარგულე ბალთასთან და მხედრისკენ არიან მო-
ქეული.

ბარგული გაეწყობა უნაგირს ცხენზე; უნდა
ყოს ორი: წინა და უკანა.

წინა ბარგულის შეაღენს: თოფრა შვრიით
(ქერით), ბუდეები, ფარაჯაში და ცხენ-საბმელი
პალო.

თოფრა აივსება 3—4 გარნეც შვრიით, ვი-
საც როგორ ეკუთვნის, თითო ნახევარში 1—2 გარ-
ნეცი. თოფრის ბოლოები ბუდეებში თავსდება,
სადაც დაიხვევა სამი თასმით იმდენად მაგრა, რომ
თოფრიდგან შვრია გარეთ არ გამოიპნას; შემდეგ
თოფრის შუა ნაწილი ბუდეების შემატერთებელ თას-
მასთან ერთად გადაიგრიხება და ბუდეები იდება
კეხის ფიცრის წინა ბოლოებზე, რომლებზედაც
გვერდის საბარგულე თასმებით მაგრა მიიჭიმება; ეს
თასმები ბუდეებზე არსებულ ყულფებში გადიან
და ბუდეებს ევლებათ შუაზე. ბუდეები ცერად უნ-
და ეწყოს წინისკენ და ქვეითა მათი კიდური ეხე-
ბოდეს თექალთოს.

ფარაჯა დასახვევად გაიშლება სიგანით სარ-
ჩულით ზევით, ყაბალახი სამხრევებს ქვეშ გატარ-
დება; ფარაჯის უკანა გაჭრილი უკვრება ლილებზე,
სახელურები კიდევ სამაჯურებით გადმობრუნებული

და ყაბალახის წვერებით გაიშლება მოელი სიგძით.
შემდეგ გადიკეცება სარჩულზე: საყელო ყაბალახით
და სახელუებით 7 ვერშოკზე, ფარაჯის ბოლო 7
ვერ., ფარაჯა კიდევ ისე იკეცება, რომ მისი სიგა-
ნე ამ ღრმას იყოს 7—7 $\frac{1}{2}$ ვერ.; კალთები იმდე-
ნად ვადიკეცება შიგნითკენ, რომ ფარაჯის შუამ-
დე ორთავე მხარე ვერ მიღიოდეს 4 ვერშ. დაკე-
ცილ ფარაჯის სიგძე უნდა იყოს 25—27 ვერშ.,
რომ მისი ბოლოები მოღიოდეს თექალთოს ქვემო
პირის თანახმად.

დახვეული ფარაჯა იდება ტახტას წინ და ბუ-
ლების (პარკუჭების) ზემოდგან ისე, რომ ფარაჯა
ჰათ შიგნით მხრივ მოვიდეს (მხედრისკენ), გაწყო-
ბით თექალთოზე, ამასთან ფარაჯის ნაკეცები მხედ-
რისკენ უნდა მოექცეს. შემდეგ ფარაჯა უნაგირის-
კენ მიიჭიმება საბარგულე თასმებით: შუათი, რო-
მელიც თოფრის შუა წელსაც ეხვევა, გვერდის და
ქვეითა თასმებით, მარცხენა მხრიდგან ცხენსაბმელ
პალოს მიმაგრებით, კვანძით წინ, ამასთან პალოს
ქვემოთა წვერი უნდა იყოს დაკეცილ ფარაჯის
მარცხენა წვერთან.

უკანა ბარგულას შეაღვენს: ა) ორი ხურჯინი
გ) საფარებელი თასმით და ვედროთი და გ) ქვაბი.
ხურჯინებში იწყობა შემდეგი ნივთები:

მარჯვენა თვალში.

- 1) თივის საგდებელი.
- 2) 1 ჩოტკი (ტანისამოსის ან წასასმელი, ან ბოკაზმულობის).
- 3) 1 პერანგი.
- 4) ტილოს პერანგის ამხანაგი..
- 5) ერთი მწყვილი ყელმოჭრილი წალები.
- 6) ტილოს ფეხსახვევები.
- 7) თივისთვის ბადე.
- 8) საჯინიფო (თავლის) ავშარა.
- 9) 2 ნალი; 1/3 სამისო ლურსმანი და ტყა-
ვის პარკუჭაში ჩადებული საურველი, რომელიც
ყველა ნივთებს ზემოდან ედება.

შენიშვნა: ზემოაღნიშნული სამი ჩოტკი
სამს მხედარს გაეყოფა, თივის ბადე იხმარება
მხოლოდ ცხენების ცალკე კვების დროს; უმ-
თავრესად ომიანობას, ამასთან $\frac{1}{2}$ ესკადრონი
შეიძლება იყოს ბადიან თივით დატვირთული,
ნახევარ საომარად შზად. საფრთხის მოულო-
დნელობის შემთხვევაში შეიძლება მთელს ეს-
კადრონს ჰქონდეს ცალ მხრივ ბადიო თივა
მეორე მხრივ საგდებლის ხმარების დროს, თი-
ვის კონებიან ეგრედ წოლებული თივის და-
ყრები, რაიც უფრო მოხერხებული იქნება

წლის დროის და გარემოების მიხედვით. თი-
ვით გატენილ ბალის გაწყობა უნაგირზე არ
დადგინდება, ყოველ ერთეულს უფლება ეძ-
ლევა თავის შეხედულებისამებრ მოაწყოს ეს.

მარჯვენა თვალში.

- 1) პარკუჭა 3 გირ. ორცხობელათი.
 - 2) დაჭრილ თავთის შესახვევი.
 - 3) პარკუჭები: ბრინჯეულით (64—80 მის.),
მარილით ($1/8$ გირ.) და ჩაი—შაქრით (3 მის.), შე-
ხვეული საჩოხეს ნაჭერში საკერებლად.
 - 4) პარკი თოფის კუთვნილებებით შარვლის
ნაჭერში გახვეული (საკერებლად).
 - 5) პირსახოცი, საპნის ნაჭერი და პარკი საკე-
რავ კუთვნილებით და სავარცხლით, ტილოს ნაჭე-
რში შეხვეული (საკერებლად).
 - 6) დუშაყი თასმით.
 - 7) თოფრა.
 - 8) ცხენის ჩოტკი.
- ხურჯინი ისე გადიკიდება, რომ წინა შემაერ
ოებელი თასმა მოვიდეს მოუქნელ ტყავზე, უკან
შემაერთებელი თასმა—უკანა ტახტას უკან, ამ თა
სმის ნაჩვრეტებში საბარგულე ბალთების გატარე
ბით, რომლებიც კეხის ფიცრებზეა.

საჯდომი პირველად ჩამოეცება უკანა ტახტის რკალს, შემდეგ ზამი თასმებით შეემშება წინა-ტახტას.

შენიშვნა. უბარგულებოთ შეკაზმვის ღროს, შუალა საბარგულს თასმები მიიჭიმება ბალთებით რკალამდე, თავისუფალი წვერები საჯდომს ქვეშ ჩაიწევა.

საფარებელი დაიხვევა და შიგ ჩასტანდება მისი თასმა და სიგანით მოკეცილი წყლის ვეღრო იდება უკანა ტახტის უკან, ხურჯინის უკანა შემა-ერთებელ თასმის ზემოდგან და მიიბმება უკანა სამ საბარგულე თასმებით: შუალათი და გვერდებისებით საფარებელი დასახვევათ გაიშლება მთელის სიგანით; შუა იდება მისი თასმა ოთხად მოკეცილი; საფარებლის გვერდები სამაც ისე გადიკეცება, რომ მის სიგანე გამოვიდეს 11 ვერშ., გადაკეცილი გვერდები კიდევ არ უნდა უახლოვდებოდნენ ერთმანეთს 2 ვერშ., რათა საფარებელი მაუდის ერთი კეცით უფრო თხელი იყოს ვიღრე გვერდებზე. მაგრა და-ხვეული საფარებელი წარმოადგენს სორსოლას, შუაზე გადაჭდობილი, სიგრძით 11 ვერ. და სისქით 3 ვერშოკამდე; შეკეცილი საფარებელისა ტახტისა-კენ უნდა იყოს მიბრუნებული.

თითბრის ქვაბი გაეწყობა დახვეულ საფარებ-

ლის მარცხენა მხრივ და ტილოს ვეღროს შიგ ჩატენით; ქვაბის ყური გაეწყობა საფარებელს ზემოთ ამასთან გვერდის საბარგულე თასმა მავთულზე გადახრილის ქვეშ ქვაბს ევლება, შუალა საბარგულე თასმა კი მიღის ქვაბის მავთულის კაუჭას ზემოთ.

3) დ ა ლ ა გ მ ვ ა.

თავთასმები ცხენის ოვზე ჩამოცმული შემდეგ ნაირად გაეწყობა:

1) თავის თასმები უნდა იყოს ცხენის კისერზე, ყურებს უკან და მათ შეუხებლად, ყბებისა კიდევ გასწვრივ, ცხენის პირის კუთხეებისკენ მიმართვით, ამასთან ლოყის თასმებზე ბალთები უნდა გაეწყოს, რამდენადაც კი შეიძლება, ცხენის მარცხენა თვალის ქვემოთა მხრის სიმაღლეზე.

2) საშუბლე გაწყობილ უნდა იღოს შუბლზე, ყურებს ახლო, ამასთან ქოჩორი არ ამოიდება საშუბლეს ქვეშ.

3) საცხვირე იმდენად თაფისუფლად შეიკვრის რომ მის ქვეშ ორი თითი გაიტევოდეს, ამასთან მისი ბალთა უნდა დაახლოვებული იყოს ლოყის თასმასთან.

4) ყბის ქვეშედი იკვრება ბალთით მარცხენა

მხრივ, რომელიც შეძლებისა დაგვარად, ლოკის
თასმების სისწირივ გაეწყობა.

5) ლაგმი ცხენს პირში უნდა ედოს ტიტველა
ღრმილზე, ეშვის (სალაგმე კბილი) ზემოთ ერთი თი-
თით, ჭავებს, რომელთაც ეშვი არა აქვთ — ნიკაპის
ამოლრმავებულის პირდაპირ.

6) ლაგმის ჯაჭვი იკვრება კაუჭებზე, რომლე-
ბიც აქვს ლაგმის ლოკების ზემოთა წვერებს, ამას-
თან იგი უნდა იდოს ნიკაპის თვით ამოლრმავებულ-
ში, იმდენად თავისუფლად, რომ მის ქვეშ ორი
თითი გაეტიოს. მიმაგრებულ ჯაჭვის ყველა რგო-
ლები თავის ბრტყელ მხრით უნდა მიქცეულ იყვ-
ნენ ნიკაპის ამოლრმავებულისკენ და თავისუფალი
რგოლი ორზე მეტი არ უნდა იყოს, თითო ყო-
ველ მხრივ.

7) აღვირის რკინა უნდა ედოს ცხენს პირში
ლაგმისაზე $1/2$ ვერშოკით მაღლა და პირის კუთ-
ხეებს შეუხებლად.

8) საბმური სატუჩეს რგოლზე იკვრება, სა-
ბმურზე ბალთა უნდა იყოს შარცხენა მხრივ.

შენიშვნა. საბმურიანად შეკაზმვის დროს,

მისი თავისუფალი წვერი გაიყრება ცხენსაბამ
პალოს რკინის ყულფში, გადიკეცება ორ ან
სამ ვერშოკზე და დაიხვევა ყულფში გატარე-

ბულ წვერით; ეს ყულფი მიიღება საბმურის ორმაგ კეცვის გამო. საბმური იმდენად თავი-სუფლად მიამაგრდება, რომ ჩამოყიდებული იყოს წინა ბარგულის ან თექალთოს არა ქვე-მოდ; როცა უნაგირზე არ არის ცხენსაბმელი პალი, საბმური მიჰმაგრდება უნაგირის მარ-ცხენა მხრივ, საბარგულე წინა გვერდის თა-სმაზე, უბარგულოდ შეკაზმვის დროს — საბარ-გე რკალზე, რომელიც არის კეხის მარცხენა ფიცრის წინა წვერზე.

თ ა ვ 0 II.

შეკაზმვის წესები აფიცირებისთვის.

1) ცხენის საჭურველი.

თავთასმები.

ისეთივეა როგორც ჯ.-კაცებისა, მხოლოდ თასმები შეიძლება იყოს თეთრი პეტიონი ტყავისა.

უნაგირი.

უნაგირს შეადგენს: ა) კეხი საჯდომით ფრთი-ბით და 4-ი შესაკრავებით, ბ) 2 კეხის ფიცრ-

ზის და დიდ ფრთებ ქვეშ ამოსაგები, გ) 2 უზან-
გის თასმა უზანგებით, დ) 2 მოსართავი, ე) სამკე-
რდული, ვ) საოფლე თექალთოთი, ზ) წინა ბარგუ-
ლასთვის ორი პარკუჭა, თ) უკანა ბარგისთვის 2
ხურჯინი და ი) 6 საბარგულე თასმა.

აფიცირის უნაგირის კუთვნილებანი.

ა) საფარებელი, ბ) საფარებლის თასმა გ) სა-
კვების თოფრა.

2) შეკაზმვა.

აწყობილ უნაგირის ქვეშ, უბარგულოდ, და
თექიან ამოსაგებით წამოცმულებით კეხის ფიცრე-
ბზე, იდება თექალთო, რომელიც უნაგირს წინა
ტახტაზე ჩამოცმულ ხამი თასმის ყულფით და ხამი
თასმებით მიებმება, რომლებიც უკანა ტახტას ქვეშ,
რკალში გატარდება, შემდეგ უნაგირი ედება ცხენს
ზურგზე თექალთოს წინა პირი უნდა მოდიოდეს
ცხენის ქერძოდან ^{1/2} ვერმოვით უკან. თექალთო
იმდენად მაგრა უნდა იყოს მიჭიმული უნაგირისკენ,
რომ თექალთოს და ცხენის ხერხემალს შეუა ჰაე-
რის თავისუფალი დენა იყოს. ამის შემდეგ გაეწ-
ყობა სამკერდული და მოეჭირება მოსართავები.

— 3 —
 სამკერდული გადაეცემბა ცხენს ყელზე და
 კეხს მისმაგრდება თასმების საშუალებით, ოომლე-
 ბიც გატარდება კეხის ფიცარზე მოთავსებულ ლი-
 ლითონის რკალებში; სამკერდულის შემაერთებელი
 თასმა გაეწყობა ცხენის ჭელს, თექალთოს წინ,
 ლითონის აბზინდა კიდევ — ცხენის მკერდის შუაზე.

წინასტარად მიმაგრებული მოსართავები, ზარ-
 ჯვენა მხრივ ერთბაშად კი არ მოეჭირება, არამედ
 თანდათან, ოოგორც ჯ.-კაცების ცხენებზეა ნი-
 თქვამი.

ბარგულები მიღებულია: წინა და უკანა.

წინა ბარგულას შეადგენს: ა) ბუღეები (პარ-
 კუჭები) და ბ) საფარებელი მის თასმით.

ბუღეები გაღიგდება წინა ტანტაზე, უნაგირის
 თრთავე მხარეზე, და მათზე არსებულ მწყვილ-
 ბალთებიან თასმებით მიიბმება უნაგირზე, ამ თრ-
 სშების წვერები გატარდება: ა) ტყავის ყულფებში,
 ოომლებიც კეხის ფიცრების წინა ბოლოებზეა და
 ბ) ფაჭრილებში, ოომლებიც არის პარკუჭების უკა-
 ნა ვვერდში, მეორე ბალთები საფარებლის მისა-
 მაგრებლიად არის.

საფარებელი და კეცილი ისე, ოომ ბოლოები
 თექალთოს სწორედ იყოს; გადაიგდება წინა ტან-
 ტაზე და მისმაგრდება წინა თასმებით.

უკანა ბარგულა შესდგება: ა) ხურჯინისაფან,
ბ) შვრიის თოფრისაფან და გ) პალტოსაფან.

ხურჯინი გადიკიდება და მიჰმაგრდება თექალ-
ოლს თასმებით, თოფრა ორ გარნეც შერით, თი-
თო თვალში თითო გარნეცი და ტახტას უკან მო-
თავსდება ისე, რომ იგი იღოს კეხის ფიცრებზე და
დაიბმება საბარგულე თასმებით.

პალტო დაიხვევა ისე, რომ მისი სიგანე, არ
იყოს $3\frac{1}{2}$ ვერშოკზე მეტი.

დაკეცილი პალტო გადაიდება უკანა ტახტაზე
და გაეწყობა შვრიის პარკუჭას და ხურჯინს ზემო-
დგან. მიჰმაგრდება თასმებით.

წინა პარკუჭებში და ხურჯინში იდება საჭი-
რო ნივთები, აფიცრის შეხედულებით,

3) დალაგმვა.

თავთასმა შეკრებილი გაუკეთდება ცხენს თავ-
ზე და გაეწყობა, როგორც ჯ.-კაცებისა. საბმური-
ანად შეკაზმვის დროს სამკერდულის შემაერთებელ
თასმაში გატარდება; შაიკვრება როგორც ჯ.-კაცე-
ბისა, როცა სამკერდული არ არის, მაშინ საბმური
მიჰმაგრდება უნაგირს მარცხენა მხრივ, ლითონის
რკალზე, რაიც მოთავსებულია კეხის ფიცრის მარ-
ცხენა ბოლოზე.

III.

შეკაზმვის სხვა და სხვა სახე.

1) გშვიდობიან დროს.

გშვიდობიანობისას დაღვენილია სამგვარი შეკაზმვა: 1) სასწავლო, 2) ჩვეულებრივი და 3) საპარადო.

სასწავლო შეკაზმვას შეაღენს: 1) უნაგირი საოფლეთი უსამკერდულოთ, და უბარგულოთ და 2) თავთასმა საბმურით, ან უამისოდ ბრძანებულობის მიხედვით.

სასწავლო შეკაზმვა საჭიროა ყველა სასწავლო შეცადინეობის დროს; საზერო სამსახურის შესრულებისას; ყველა იმ შემთხვევებში, როდესაც გაცემა ბრძანებულობა და იგრეთვე სამოქალაქო მთავრობისთვის დასახმარებლად გამოხატვის დროს.

განვაშის დროს შეიძლება იყოს სამოსწავლო შეკმაზულობა, ყოველ შემთხვევაში აშის შესახებ ცალკე განკარგულებებია ხოლმე გაცემული.

საოფლების გასაფრთხილებლად, სამოსწავლო შეკმაზმვის დროს შეიძლება უამისოდ შეკაზმვა.

ერთეულის უფროსის მიხედვით შეიძლება სა-

მოსწავლით შეკმაზმვა შეიცვალოს ჩვეულებრივით ან შეიძლება სამოსწავლით შეკაზმვის დროს ნება დაერთოს, იქმნიონ მხედრების საგნები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს, მაგალითად: ფარავა-პალტო, საფარებელი, საკვები, ხელის იარილი, ან ხურჯინი.

უკანასკნელ შემთხვევაში შეკაზმვა ხდება საო-ფლით და საბმურით.

ჩვეულებრივ შეკაზმვას შეადგენს: 1) უნაყი-რი სრულ ბარგულით და ყველა კუთვნილებები და 2) თავთასმა საბმურიანად.

ჩვეულებრივი შეკაზმვა ხდება შინჯვისოვის, ალლუმებისთვის და ლაშქრობისას, აგრეთვე როდე-საც გამოცემული იქნება ბრძანებულობა.

ყოველ ისეთ შემთხვევაში, როდესაც ჯ.-კა-ცებს ხურჯინები უნიფორმ და არა სრულ ნივთე-ბით აქვთ, ჩაწყობილი აგრეთვე საკვების თოვრები უშვრიოთ, ეს საგნები გაიტენება თივით შესაფერ სახის მ.ისაცემად. სანდრის იარაღი წაიღება თან მხო-ლოდ განსაკუთრებულ ბრძანებულობის შემდეგ.

საპარადო შეკაზმვა შესდგება: 1) უსაოფლო უნაგირი, სამკერდულით, მაგრამ უბარგულოთ, უპალტოოთ და უფარავოთ და 2) თავთასმა უსაბ-მუროთ.

2) ომის დროს

ომიანობის ჩვეულებრივი შეკაზმვა უნდა, სტულ
ბარგულით, ყველა კუთვნილებები, სანგრის იარაღით,
და არ საოფლეოთ.

III ა ვ ი IV.

სამწყობრო ცხენების მიბმა ზარბაზნებისთვის.

1) როცა ომის განმაფლობაში ცხენების და-
ხოცვის გამო საჭირო შეიქნება ჩვენებისაგან და-
ტოვებულ ან მტრისთვის წართმეულ ზარბაზნის წა-
ლება, შეიძლება ამ მიზნისთვის მოვიხმაროთ ცხე-
ნოსან ჯარის სამწყობრო ცხენები, ამიტომ ჯ.-
კაცთ უნდა იკოდნენ ზარბაზნისთვის წაბმა ცხე-
ნებისა.

2) სამწყობრო ცხენების შებმის დროს ყური
უნდა ეგდოს: ა) რომ ცხენმა, ვიდრე მთლად არ
იქნება შებმული და მხედარი ზედ არ შეჯდება არ
გაიწიოს, რადგანაც ამ შემთხვევაში, იგრძნობს
რა შეუჩვეველ ტვირთს, იგი იწყებს მგვერდულად
წევას და ნაკლებად გამგონე და ნაკლებად მშვიდობიანი
ხდება, და ბ) როცა მიალად შეიბმება ცხენები, გაწევა
ყველასი ჭრთი და იმავე დროს და თანდათანი უნ-
და იყოს, მოძრაობის შემდეგ შეყენება ფრთხილი,
განსაკუთრებით ჩორთის შემდეგ, რის შემდეგაც

ჯერ ნაბიჯზე უნდა გადიყვანოთ ან მთლად შეა-
ყენოთ.

3) ყოველ ცხენის შესაბმელად გამოდის სამი
შედარი, რომელთაგან ორს უჭირავს ცხენები ჰუკე-
ლის მესამეს ცხენის მიბმაში და არ სტოვებს მას,
ვიდრე იგი მთლად არ შეაბამს და არ შეჯდება ზედ.

4) საჯდომ ცხენების შესაბმელად, მხედრები,
მიუახლოვდებიან რა ზარბაზანს, ჩამოხდებიან და
ამოიღებენ ბარგულიდგან დუშაყს და საკვების სა-
გდებელს. სამ დუშაყიდგან მხედარი, რომელიც
შეაბამს თავის ცხენს აკეთებს ერთ შლეიას, რო-
მელსაც ჩამოაცმევს ცხენს. ამის შემდეგ, აიღებს
რა საგდებელს და შეკვეცავს რა ორად, იგი
გაუყრის შეკეცილ მხარით შლეის რგოლებში რომ-
ლებიც სწორედ ცხენის მხრებთან მოდის; მიღებულ
ყულფში და შლეიაზე არსებულ სხვა რგოლებში
გაუყრის საგდებელის თავისუფალ წვერებს და ასე
მიამაგრებს შლეიას და თავისუფალ წვერებს წააბამს
ზარბაზნის ხორთუმს ან კაუჭებს, შემდეგ შეჯდება
ცხენზე (ნახ. 1).

საკვების მესამე საგდებელი ცხენის მიბმელის
მიერ აიღება იმ შემთხვევაში, თუ საწევრების თი-
მაგრების დროს ზარბაზანზე აღმოჩნდება საჭიროე-
ბა მათ დაგრძელებისა*.


*) ქვეშ დაწოლის შესამსუბუქებლიდ შლეის შეიძლება რამ-
დენიურმე შეკეცილი საფარებელი ამოედოს.

5) საყვერად ცხენების შებმისთვის, უკანა ცხენი შეიბმება, როგორც ზევით არის ნათქვაში, წინა ცხენის საწევრები ყულფით მოედება უკანა ცხენის საწევრებს იმ რელების უკან, რომლებ-ზედაც შეიმაგრება ამ ცხენის საწევრები.** (ნახ. 2 და 3).

6) უწინალოდ დატოვებულ ზარბაზნის წასა-ღებად, შეიძლება საწევრები ან ხორთუმს მოებას, ან კაუჭებს, რომლებიც მოთავსებულია ძირებზე ლულის გარეითად, ამასთან ამ უკანასკნელ შემ-თხვევებში ორმა მხედარმა თოკები ხორთუმის კაუ-ჭებს უნდა გამოსდონ და მათი მოჭიმვით მიმართონ ზარბაზანი. უპირატესობა ეძლევა პირველ წესს, რაღგანაც ამნაირად ზარბაზანი ყოველგვარ ადგი-ლის უფრო სწორედ მიდის და არ მოითხოვს ზედ-მეტ მხედრებს ხორთუმის მისამართად. შეორე წესი კი მხოლოდ მაშინ უნდა იჩმაროთ, თუ ზარ-ბაზნის ხორთუმი ძან გაფუჭებულია.

7) ცხენები შეიბმებიან წინალაში, როგორც ეს ნაჩებნებია ნახ. შე-4.

** თუ შესაძლებელია ზარბაზანზე ცხენების უღლად მიმშა, ეს წესი უსათუოდ უპირატესად იხმარება.



ს ა რ ჩ ი ვ ი

ნაწილი I.

ც ა ლ გ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ა ც ხ ე ნ % გ.

ცხენოსნობის წესები.

8306.

თავ. I.	დალაგმული ცხენის ჭერა და ტარება	1
	ცხენზე შეჯდომა. ტოტების გათავ- თავადება და ჩამოხდომა	3
	ჯდომა	11
	მართვა	17
	საერთო დარიგებანი	—
	წვივებით მოქმედება და მათით მარ- თვა	18
	სხეულის წაწევა — წამოწევა	20
	ტოტების მოქმედება და მათით მართვა — დეზების და წკეპლის ხმარებაზე	26
	ალიურები, მოძრაობა წინ და ერთ ალიურიდგან მეორეზე გადასვლა;	
	შეკრეფა და ნახევრად შეკავება	17
	შეჩერება	36
	ცხენოსმობა პირდაპირი მიმართუ-	

გვ. 1.	339.
ლებით	38
მოძრაობის დროს მიზრუნ-მოძრუნება	
და მხრით შემოვლა	
მიმართულების შეევლა მანეჟში	40
წრეები (ვოლტები)	41
მოძრაობა მარჯვნივ ან მარცხნივ	
უკან	42
აღგილას მიმობრუნ-მობრუნება	43
უკუდაწევა	45
გვერდ-გვერდი მოძრაობა	47
თავ. II. ცვლით ცხენოსნობა	57
თავ. III. გადახტომა დაბრკოლებაზე	62
თავ. IV. საველე ცხენოსნობა	64
თავ. V. ცხენთან ერთად ცურჭა	68
ილეთები მჭრელ იარაღით და თოვით; ლიზე-	
რების, საყვირების და ქუდების ჭერა გა მისალ-	
მება.	
თავ. VI. შიშვლება ხმლისა საომრიად და მი-	
სალმებისათვის და ჩაგება ქარ-	
ქაშში	69
თავ. VI. ილეთები შუბით	73
თავ. VIII. ილეთები თოვით	76

ზურგილან თოფის მოხსნა და მისი გადაგდება ზურ-
გზე; ცხენზე ჯდომის დროს სროლა თოფით.

833რ.

თავ. IX. ლოცვის დროს ლივერის, საყვი-
რის და ქუდის ჰერი 78

ტანკარჭიშობა.

თავ. X. ფანგარჯიშობა ცოცხალ ცხენზე 81
თავისუფალი ვარჯიშობა.

თავ. XI. ვარჯიშობა ხის ცხენზე 85
ხის ცხენის მოწყობილობა —
გაქცევით ხტომები 86
გაუქანებლივ ხტომა 87
ჩამოხტომა 88

თავ. XII. თავისუფალი ვარჯიშობა ცოცხალ
ცხენზე 89
შეხტომა ცხენზე 91
ჩამოხტომა 92

თავისუფალ ვარჯიშობის განსაკუ-
თრებითი ილეთები 93
თავისუფალი ვარჯიშობა სამწყობრო
უნაგირზე 95

ქვეთად.

თავ. XIII. დგომა და მიბრუნ-მობრუნება

830 რ.

96

ადგილას		
დგომა		
მიბრუნ-მობრუნება	98	
თავ. XIV მოძრაობა	99	
თავ. XV ხმლით ილეოთები	103	
თავ. XVI ილეოთები თოვით	109	
თავ. XVII ხალმის შიცემა, ქუდის და ხაყი- რების ჰერა	111	
ხალმის შიცემა	—	
ქუდის ჰერა	112	
ხაყირების ჰერა	113	
თანდართი. ოღვირის და ლაგმის რკინის მოქ- მედება	114	
1896 წლის ექვნოსან წყობილების წესდების სა- სელმძღვანელო მუხლები	IX	
თანდართი	117	
თავ. II. ჩხვლეთა, დარტუმა და ცდენა		
ხმლით	119	
სამოსწავლო შუბი	122	
ნაწილი V თავ. I. ფარიკაობა	124	
თავ. II. ორ მხრივი ფარიკაობა	313	
წესები. შეკაზმვის და ექვნოსან ჯარის სამწყობრო ექვნების გარბაზნისოფეს წაბმისა		
თავ. I. წესები შეკაზმვისა ჯ.-კაცდათვის	143	

		8396.
თავი II	შეკაზმვის წესები აფიცერთათვის	462
თავი III	შეკაზმვის სხვა და ცეკვა სახე	166
თავი IV	სამწყობო ცხენების მიმმა ზარ- ბაზნებისთვის	168

ზოგიერთი წარმატები და სიცავები.

- ამართვა—постановление
 ამოსაგები—подкладка
 არხი—каналъ
 აწევა—подвесъ
 აცდება, აჟორება—отбывъ
 აწოდა, აქცევა—махъ
- ბარგულე—вьюкъ
 ბარძაუი—ляшка
 ბუდე, ბარკუჯა—Вьюкъ
- გაიგდო თავი—закинуться
 გამოჭიმვა—вытянуть
 გათავთავდება—разборъ
 გვერდ-გვერდი (გვერდული) მოძრაობა—боковое
 движение

զՅԵՐԾՈՒՅԻՆ ամսիցք—боковое постановление.

ԶՅԵՐԾՈՒՅՈՒՆ—отлогий

ՀՅԱՏԵՐԾՈՅ (ՅԵՐԾՈՅ)—карьеръ

ՀՅԱՐԾՈՒՅԹ—ударъ

ՀՅԵՎԵՐԾՈՅ—скатанный

ՀՅԵՐԾՈ—станина

ԹԵԲԱՑԻՐԾՈ—плавно

ԹԵՑՄԱՑԻՐԾՈ—врознь

ԹԵՑՄՈՒՅԻՆ ԱՅԱՑԻՐԾՈ, ՎՐԵՄՈՒՄ—бушмать

ԹԵՑՄՈՒՅԻՆ ԹԵՑՄԱ—суголовые

ԹԵՑՄԱՑԻՐԾՈ—оголовье

ԹԵՐԾՈՒՅՈՒՆ—валъ

ԴԵՐԾՈՒՅՈՒՆ—потниковая крыша

ՈՅՈՒՅՑՈՒՅՈՒՆ—шашки вонъ

ԿՅՈՒՅՈՒՆ, ԿՅՈՒՅՈՒՆ—шипъ

ԿՅԵՐԾՈՒՅՈՒՆ—ленчикъ

ԿՅՈՒՅԵՐԾՈՒՅՈՒՆ—маклакъ

ԹԵՇՄԵՐԾՈՒՅՈՒՆ—закидываться

ԹԵՇՄԵՐԾՈՒՅՈՒՆ ԻՄԹՈՒՄ—прибавь рисъ

ԹԵՇՄԵՐԾՈՒՅՈՒՆ—справа

ԹԵՇՄԵՐԾՈՒՅՈՒՆ, ԿՅՈՒՅԵՐԾՈՒՅՈՒՆ—дистанція

- әткармазо — подпруга
 әткүйбүләо өүзө — живецъ
 әткүйбүләо аммуниция
 әткүйбүләо — всадникъ, верховой
 әткүйбүләо — сборъ
 әткүйбүләо-әткүйбүләо — приниманіе
 әткүйбүләо — головной

 әткүйбүләо — галопъ
 әткүйбүләо әткүйбүләо — полуодержка

 әткүйбүләо, әткүйбүләо — намордникъ

 әткүйбүләо — арканъ
 әткүйбүләо — чумбуръ
 әткүйбүләо — подгубникъ
 әткүйбүләо — налобникъ
 әткүйбүләо, әткүйбүләо — снаряжение
 әткүйбүләо — разстояніе
 әткүйбүләо — мѣтчикъ
 әткүйбүләо — попона
 әткүйбүләо, әткүйбүләо — крыло
 әткүйбүләо — переносъ
 әткүйбүләо — бахтармадо
 әткүйбүләо — подстромки
 әткүйбүләо (әткүйбүләо) — шанцевый наструмъ

саму́рдло — подперсье	ві́чапдоп — огомо́літн
са́мфлю — потникъ	а́нбэж — огасо́т ѿвештн
са́могу́лло та́сма — въючный ремень	ві́чнуміс баштшнбо́тн
са́мушкъ — мундшту́къ (трубы)	баштшнбо́тн — о́могвештн
са́мра́бно́лло — наръзка	ко́дс — о́фвештн
са́мзе́то — обсъчка	еінбемнннп — еевештн — еевештн
са́муре́лло — тычокъ	нона́поп — о́мліссе

саму́рда — ходъ	важа́доу́лоп — обе́ззеб ѿмліссе
саму́рда — ложится на поводъ	ла́жітся на поводъ
саму́рда — мяккий поводъ	мяккій поводъ

сама́ба — задъ	а́нкда — о́твештн
сама́бас та́сма — путлище	а́пудму́р — о́мліссе

сама́х, са́мака — шинель	а́нкндоўн — в́ябшн
сама́х — капыто	а́нкндоўн — в́ябшн

само́д — заборъ	а́нкнта́м — о́мшн
само́д — вальтрапъ	и́ннопоп — о́твештн

само́д, фэ́зэ́лло, са́мозало — подбородникъ	а́нкнто́д — о́мшн
	а́нкнто́д — о́мшн

само́д — облечена́я рысь	а́нкнто́д — о́мшн
само́д — обхватъ	а́нкнто́д — о́мшн
само́д — садисъ	(помшн) о́мшн — помшн

ହାମନ୍ଦେବ	— съѣзай	
ହାମନ୍ଦୁମୁଲ୍ଲି ବାଜୁର୍ଗି	наклепки	
ହେବ୍ଲେଟ୍ରା	— уколъ	
ହିମତୀ	рысь	ନେପାଳୀ
କ୍ରେବୋସ	ଶେକ୍ରେଫା	— сборъ лошади
କ୍ରେବୋଦାମ୍ବି	ଶାଲା	коновязный колъ
କ୍ରେବୋଦାମ୍ବି	— коновязъ	
କ୍ରେବୋଟ୍ରବାଂଦା	ଛଢା	
କ୍ରେବୋଟ୍ରବାଂଦା	— щзокъ	ଅଭ୍ୟେଷ୍ଟେସ୍ତେସ୍ତେ
କ୍ରେବ୍ରା	заклепка	ନେପାଳୀ
ଚେଗାବନ୍ଦା	ପୋସିଲିବ	ନେବାର୍ଦେଶ ନେବର୍ଦେଶିବନ୍ଦେ
ଚେଗାବନ୍ଦା	— хлыстъ	
ଚିନବନ୍ଦା	ପେର୍ଦ୍ଯ	ନେବର୍ଦେଶିବନ୍ଦେ
ଚିନବନ୍ଦା	— выпадъ	ନେବର୍ଦେଶିବନ୍ଦେ
ଚେଗାବନ୍ଦା	— хвостяной барьеръ	
ଚେଗାବନ୍ଦା	— строевой разборъ	
କ୍ରେପ୍ରାର୍ଟିଫି		ନେବର୍ଦେଶିବନ୍ଦେ
କ୍ରେପ୍ରାର୍ଟିଫି	ଶିଥାଟ୍ରେ	
କ୍ରେପ୍ରାର୍ଟିଫି	— мягость руки	ନେବର୍ଦେଶିବନ୍ଦେ
କ୍ରେପ୍ରାର୍ଟିଫି	переметныя суммы	ନେବର୍ଦେଶିବନ୍ଦେ
କ୍ରେପ୍ରାର୍ଟିଫି	— рошиль	ନେବର୍ଦେଶିବନ୍ଦେ

მეგრენი უცდლები.

დაბეჭდილია.	მუხლი	უნდა იყოს.
ისეთებივია	1	ისეთივეა
დ	2	და
საშუალო	2	შუალა
მწყვილს	2	წყვილს
ცერას	2	ცერის
გათავდავდება	4	გათავთავადება
მუშტები	4	მუშტი
გავას	6	გავის
მობრუნების თანავე	6	მინბრუნების თანავე
მხედართ	7	მხედარი
წარმოითქმება	8	წარმოითქმება
გათავთავდებკა	14	გათავთავადების
თითები-ღა	14	თითები ღა
(წონასწორობა)	17	(წონასწორობა)
დაჭირით	27	დაჭირებით
უხდა	30	უნდა
წალგავს	34	წალგავს
ცენოსნების	35	ცენოსნობის
მარცენაზე	36	მარცენაზეა
დი	37	და

დაბეჭდილია	მომუხლი	უნდა იყოს
მარცხენაზე	37	მარცხენაზე)
გათავთავდე	39	გათავთავდეს
სამუალებად	41	საშუალებად
აღნიშნავს	47	აღნიშნავს
შემდეგიც	47	შემდეგაც
რაოდენადვე	48	რაოდენადმე
დაზოგისთვის	49	დაზოგვისთვის
წაშში	50	წუთში
დაეგშვება	54	დაეშვება
შეამსუმუქე	54	შეამსუბუქე
წუთისა	55	წუთში
ტემაი	55	ტემპში
ნავარდათ	56	ნავარდით
მიეშვის	57	მიეშვას
ნავარდით	72	ნავარდი
ცერებით	74	ცერად
მოქმედებით	76	მოქმედებით
წრიდგან).	76	წრიდგან),
უკანას	76	უკანას
გვერდ-გრერდ	87	გვერდ-გვერდ
წინას	89	წინანას
კვლე	89	კვალზე

დაბეჭდილია	იუბლიუსი	მუხლი	თემაზების
მოეცესას	78	93	ცხრილიცეს
პრახიორული	88	96	ლეგაჯოგურ
უმიკრობილი	11	98	თაბევფრედეს
სმენაშემდეგ	74	98	ძების სმენა,
უპტერს	74	99	უგცენტერს
ცხამმადიანი	84	105	ლეფაგომოდის
ქვანძილებიც	84	107	ძიგმანძილების
ინწვევი	06	122	ინწვევა!
ტეცადინეობდნენ	16	131	მეცადინეობდეს
შრსეჩენ	16	133	გზატკეცელიზე
სადავეზე	16	137	სადავით
ინდავი	16	139	სადავით ატაროთ.
განკარგულება	16	144	განკარგულებით
დღი უკანიდგან	16	144	უკანიდგან
მიტემლიკში	16	145	ტემლისკში
იტეჭლის	17	153	იტეჭელის
უმენტვენა	17	153	იშენიშვენა
იმრისკენოს	17	170	იმბეჭებსკენ
(ნაგრააა)	17	175	(ნაგრააა)
ქარჯეშობაში	17	178	ვარჯიშობა
უდღეგეთიცედ	18	184	ურცოგ-დადგეთ
აშეაჯგარედეენეთ	18	203	შეაჯვარედინეთ
ცხელი	18	204	ცხელით

დაგეჭიდილია	მუხლის	უცდიაზეწოდ
კანცელია	209	კრემა
დავაზცეცე	221	ვალი
ჭულალიაცე	221	ცეცხლის
დავიგაძე	230	ძირა
მარტის	236	მარს
ბელიშტი	237	ხელისხმ
საყვირეში ჯერა	249	საყვირებელი ფეხა
მოწვევა	216	მოწვევა
(დავის) უად	219	(დავის)
დავაცოძე	220	ვალა
მიგილეს უცხა	224	მოვილეს
გასწვრივი	125	გასწყრივის
მო ად	126	მოხსენებულის თანახმად
მირცხევი	225	მარცხენივ
დავის	233	ვალის
გამოყენების	246	გამოყანების
140		240
231		241
დალყმის	241	დარტყმის
შებრნებულ	143 ვა.	შებრუნებულ
ერთს	245	ერთი
დავის რკალით	247	ვალის რკალით
გინ	253	გინდ


ଭାବେଷଦିଲ୍ଲୋ	ମୁକ୍ତିଲୋ	ଶବ୍ଦା ପ୍ରକାଶ
ଇଲଗଢା	415	ଇଲଗଢା
ଫେସବି	143 83.	ଫେସବି
ତେଜାଲୁଣ୍ଡିଙ୍ଗ	150 83.	ତେଜାଲୁଣ୍ଡିଙ୍ଗ
ଶୁନ୍ଦିଗିରିଳି	150 83.	ଶୁନ୍ଦିଗିରିଳି
ଶ୍ଵା	150 83.	ଶ୍ଵା
ପାତ୍ରିଲିଙ୍ଗ	150 83.	ପାତ୍ରିଲିଙ୍ଗ
ଧାଲତ୍ତେବି	151 83.	ଧାଲତ୍ତେବି
ଧାଲତ୍ତେବିହିଙ୍ଗ	153 83.	ଧାଲତ୍ତେବିହିଙ୍ଗ
ପାଲତ୍ତେବିହିଙ୍ଗ	153 83.	ପାଲତ୍ତେବିହିଙ୍ଗ
ଥିବାର୍ଗ	156 83.	ଥିବାର୍ଗ
ଶାକେଲୁଣ୍ଡିଙ୍ଗିତ	156 83.	ଶାକେଲୁଣ୍ଡିଙ୍ଗିତ

ମୁକ୍ତିଲୋ ପରିଚୟ 88 ୧୨୧ ମୁକ୍ତିଲୋ ପରିଚୟ

ଅନେକମାତ୍ରା ମନ୍ତ୍ରମଧ୍ୟ ମୁକ୍ତିଲୋ 88 ୧୨୧ ଅନେକମାତ୍ରା ମନ୍ତ୍ରମଧ୍ୟ

ମୁକ୍ତିଲୋ ପରିଚୟ 88 ୧୨୧ ମୁକ୍ତିଲୋ ପରିଚୟ

ମୁକ୍ତିଲୋ ପରିଚୟ 88 ୧୨୧ ମୁକ୍ତିଲୋ ପରିଚୟ



ମୁକ୍ତିଲୋ ପରିଚୟ 88 ୧୨୧ ମୁକ୍ତିଲୋ ପରିଚୟ 88 ୧୨୧

ମୁକ୍ତିଲୋ ପରିଚୟ 88 ୧୨୧ ମୁକ୍ତିଲୋ ପରିଚୟ 88 ୧୨୧